ეკონომიკური ტრანსფორმაციის ცენტრი

Economic Transformation Center

FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom

ეკონომიკური მითეზი

მითეზი და რეალოზა

ეკონომიკური მითეზი

მითეზი და რეალოზა

თავისუფლება

ეკონომიკური თავისუფლება

ეკონომიკური სტიმულები და ანტისტიმულები

ეროვნული ვალუტა

საერთაშორისო ვაჭრობა

გახდი მესაკუთრე

მითები და რეალობა

ეკონომიკური მითები

თბილისი 2021

გამოცემა მომზადდა “ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის თავისუფლებისათვის” ფინანსური მხარდაჭერით. წიგნში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავენ ფონდის პოზიციას და ფონდი არ არის პასუხისმგებელი წიგნის შინაარსზე.

რედაქტორები: რამაზ გერლიანი
ირაკლი მაკალათია

ISBN 978-9941-8-3328-1

ეკონომიკური მითები

მითები და რეალობა

ა ვ ტ ო რ ე ბ ი

ივანე ჩხაიძე
ეკონომიკის დოქტორი

რამაზ გერლიანი
ეკონომიკის დოქტორი

ირაკლი მაკალათია
ეკონომიკის დოქტორი

მათე გარდავა
ეკონომისტი, ანალიტიკოსი

ნოდარ სირბილაძე
ეკონომისტი, ანალიტიკოსი

ოთარ ფანცულაია
ეკონომისტი, გეოპოლიტოლოგი

ფარნავაზ ჭკადუა
ეკონომისტი, ანალიტიკოსი

მ კ ვ ლ ე ვ ა რ ე ბ ი :

ია იაკობაშვილი
პრაქტიკანტ მკვლევარი

მარია არქანია
ეკონომისტი,მკვლევარი

ლიკა ვახტანგიძე
პრაქტიკანტ მკვლევარი

გიორგი ტუმასიანი
პრაქტიკანტ მკვლევარი

ალიკა სამელია
პრაქტიკანტ მკვლევარი

FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
South Caucasus

ეკონომიკური ტრანსფორმაციის ცენტრი
Economic Transformation Center

გახდი მესაკუთრე

წინასიტყვაობა

წიგნში განხილულია საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული და ფეხმოკიდებული ეკონომიკური მითები. დამკვიდრებული დამოკიდებულების შესაცვლელად მთავარი იარაღი ფაქტების, ცხოვრებისეული მაგალითების მოყვანა და ლოგიკური მსჯელობაა რეალობის დადგენის მიზნით, რასაც მრავლად შეხვდებით წინამდებარე პუბლიკაციაში. სწორედ ეს გახლავთ წიგნის ავტორების მიზანიც - მარტივი და გასაგები ენით აუხნას მკითხველს ის რთული ეკონომიკური პროცესები, რაც თითოეული მითის უკან დგას და დააფიქროს გამოსავალის პოვნის ოპტიმალურ გზებზე.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საზოგადო მითები..... 7

წარსულის ნოსტალგიები..... 15

თავისუფლება..... 25

კერძო საკუთრება..... 28

რეგულაციები..... 50

ეკონომიკური სტიმულები და
ანტისტიმულები..... 61

სოფლის მეურნეობა..... 83

საერთაშორისო ვაჭრობა..... 101

შრომის ბაზარი..... 118

ფინანსები..... 133

მეგა პროექტები..... 148

სამეზობლო გეოპოლიტიკა..... 152

უკვე 30 წელია გასული მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა საქართველო, როგორც პოსტ კომუნისტური ქვეყნა მუდმივად იყო არჩევანის წინაშე თუ როგორი ტიპის ეკონომიკური წესრიგი უნდა დამდგარიყო ქვეყანაში. საბოლოო ჯამში საქართველოს გაცხადებული მიზანი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და მისი დერეგულაციაა. მიუხედავად გნვლილი პერიოდის და გაცხადებული მიზნებისა, მოსახლეობას ეკონომიკის მიმართ მაინც გააჩნია გარკვეული მცდარი შეხედულებები, რისი მთავარი მიზეზიც საბჭოთა ნარატივია, რომელიც დღემდე მოგვყვება. სწორედ ეს ნარატივია მიზეზი იმისა, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი მცირე და არადამაკმაყოფილებელია. სწორედ იმის გამო, რომ ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე მითების გავლენა დიდია, საქართველოში მაღალია სიღარიბის დონე და ვერ ხდება ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლება. აღნიშნული პუბლიკაცია ერთგვარი პასუხია იმ მცდარი ეკონომიკური მოსაზრებების წინააღმდეგ, რომლებიც ქვეყანაში დიდი გავლენით სარგებლობენ. ნაშრომში მოყვანილი ფაქტები და მსჯელობები შესაძლებლობას გვაძლევს გადავაფასოთ ის ღირებულებები, რომლებიც ქვეყანას საბჭოთა კავშირის არსებობის დროიდან დღემდე მოყვება. წიგნში განხილულია ის მითები, რომლებსაც ჩვენ ყოველდღიურად ვაწყდებით საზოგადოების თავშეყრის სხვადასხვა ადგილას, პოლიტიკოსებისა თუ არასამთავრობო სექტორის გამოსვლებში.

ნაშრომში ასევე განხილულია წარმატებული ქვეყნების სწორი ეკონომიკური მიდგომების მაგალითები, ხოლო მეორეს მხრივ იმ ქვეყნების მაგალითები, რომლებმაც მითებზე დაფუძნებული ეკონომიკური პოლიტიკის გადატარება გადაწყვიტეს. მსჯელობა საშუალებას მოგვცემს გავიგოთ, თუ როგორ მუშაობს ეკონომიკური წარმატების მოდელი, რა არის მისი ფუნდამენტი და რა ძირითად ღირებულებებსა და კანონზომიერებებს უნდა აკმაყოფილებდეს ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია.

საზოგადო მითები

მითი 1. სიმდიდრე და *გამდიდრება* ცოდვაა

სიმდიდრისადმი და მდიდარი ადამიანებისადმი სიძულვილი სრულიად აუხსნელი ფენომენია, რომელიც გვხვდება პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის საქართველოშიც. თუმცა პარადოქსია, რომ ვერ ნახავთ ადამიანს, რომელსაც არ სურს რომ თავად იყოს მდიდარი და წარმატებული. თუკი საკითხს უფრო ჩავუღრმავდებით, დავინახავთ, რომ ტოტალიტარულ სახელმწიფოებში პოლიტიკური ძალაუფლების მქონე ადამიანები სხვაზე უფრო სწრაფად მდიდრდებიან. მათი გამდიდრების წყარო ძირითადად სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ აქტივებზე და ბიუჯეტზე პარაზიტირებაა - ისინი ბოროტად იყენებენ თანამდებობებს პირადი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ამგვარად, ყალიბდება კლეპტოკრატია - "მომპარავების მმართველობა". ამგვარ პირობებში ღარიბები კიდევ უფრო ღარიბდებიან, აქვთ უსამართლობის განცდა, ხოლო თავიანთ მძიმე ყოფაში ადანაშაულებენ მდიდარს და სიმდიდრეს. რეალურად, საქმე გვაქვს უკანონობის ზეობასთან, ვინაიდან სახელმწიფო და მას-

თან ასოცირებული ყოველგვარი სიკეთე თანაბრად ეკუთვნის მის ყველა მოქალაქეს.

ამდენად სიმდიდრე კი არ არის ბოროტება, არამედ პოლიტიკური ძალაუფლების და თანამდებობის გასამდიდრებლად გამოყენება არის ბოროტება.

სასურველია, რომ ყველა გამდიდრდეს, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს სამართლიანად, თავისუფალ კონკურენტულ გარემოში, უნარებისა და შესაძლებლობების რეალიზებისთვის საჭირო ყველასათვის თანაბარ პირობებში.



მითი 2. *ხალხი ჯერ მზად არ არის* კერძო საკუთრებისა და გამდიდრებისთვის

აქ იგულისხმება, რომ ხალხი არ არის მზად ისეთი რეფორმებისთვის, რომელიც მას გამდიდრებს და რომ მოქალაქეები ვერ ისწავლიან სიმდიდრის მართვას იმიტომ, რომ სიმდიდრე არ ჰქონდათ და არ უმართავთ. თუ ეს ასეა, მაშინ გამდიდრების გარეშე როგორ უნდა ემართათ სიმდიდრე? გამოცდილების მოთხოვნა დაახლოებით იგივეა, რომ წყლიან აუზს არ გააკარო ადამიანი იმ მიზეზით, რომ ცურვა არ იცის და ნება დართო მხოლოდ უწყლო აუზით ისარგებლოს. ბუნებრივია, თუკი წყალს არ გააკარებ, ის ვერც ვერასოდეს ისწავლის ცურვას.

ფილოსოფიურ "მასას" რომ ჰკითხო, ის ყოვეთვის მზადაა გამდიდრებისთვის, მაგრამ ფილოსოფიური "ის" ან "ისინი" არ არიან მზად. მოქალაქეთა უმეტესობაც ასე თვლის - მას შეუძლია გამდიდრება, კარგია თუ თავად გამდიდრდება, მაგრამ თუკი

სხვა გამდიდრდება, ხოლო თავად არა, ეს ცუდია. ცალ-ცალკე ყველა მზადაა გამდიდრებისთვის, მაგრამ ერთად - არა ?!

მითი 3. დღევანდელი კვერცხი ჯობია ხვალინდელ ქათამს

მოცემული ანდაზის პოპულარობა საქართველოში განაპირობა ქვეყნის ისტორიამ, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო მუდმივი ომები. ითვლება, რომ ქართველმა კაცმა არ იცოდა ხვალ ცოცხალი გაიღვიძებდა თუ არა, ამიტომ მას ეკუთვნოდა მხოლოდ დღევანდელი დღე და სწორედ დღევანდელ მცირე სიამოვნებას ამჯობინებდა ხვალინდელ დიდ სიკეთეს.

სამწუხაროდ, ეს ანდაზა, რომელიც, აშკარად ყალბია, საკმაოდ გავრცელებულია დღესაც და ატარებს ერთგვარი ეკონომიკური მითის ხასიათს. ზოგიერთი წყარო ამტკიცებს, რომ ის საქართველოში გავრცელდა სპარსეთიდან. ყველა განვითარე-ბულ ქვეყანაში კი წარმატების მიღწევის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი არის საპირისპირო: დღევანდელ სიამოვნებაზე უარის თქმით მეტი სიკეთეების შექმნა მომავალში.

ზემოთ აღნიშნულ მითს ასევე შეგვიძლია დავუპირისპიროთ ხალხური სიბრძნე - ვინც მოითმენს ის მოიგებს.

მითი 4. უფასო ყველი სათაგურშია

ერთი ვერსიით გამოთქმა უკავშირდება ცნობილი იტალიელი ავანტიურისტის ჯაკომო ჯიროლამოს სახელს. ლუდოვიკოს ხაზინის შესავსებად მან ლატარია მოიგონა. რეალურად ეს იყო აფიორა ხალხის მოსატყუებლად და დიდი თანხის შესაგროვებლად. ამ მიზნით მან გამოიყენა ადამიანების სწრაფად და დაუმსახურებლად გამდიდრების სურვილი.

ფრაზა ასევე გვხვდება გენიალური ბრიტანელი ეკონომისტის, ადამ სმითის ნაშრომში "ხალხთა სიმდიდრე". მან არგუმენ-

ტირებულად დაასაბუთა, რომ სიმდიდრის წყაროს შრომა წარმოადგენს.

თანამედროვე მსოფლმხედველობით “უფასო ყველში” უნდა ვიგულისხმოთ პოპულისტური სოციალური პროგრამები, რომლებიც სრულიად ჯანმრთელ და შრომისუნარიან ადამიანებს უსპობენ შრომის მოტივაციას. მსგავსი პროგრამების მოცულობა მუდმივად იზრდება, რაც დროთა განმავლობაში წარმოშობს ახალ ვალდებულებებს, ახალ მოთხოვნილებებს და გადასახადების ზრდის გარდაუვალობას. ამდენად, ყოველივე, რაც დაუმსახურებლად გაიცემა, საბოლოო ჯამში ქმნის სათაგურის ეფექტს.

ცნობილი ფრთიანი გამოთქმა, რომ "უფასო ყველი სათაგურშია" გულისხმობს, რომ ნებისმიერი ფასეულობა, რაც იწარმოება, ნაირ-ნაირი პოლიტიკური, უფრო ზუსტად, პოპულისტური მოსაზრებებით, ატარებს ცდუნებას, რომ გაიცეს უფასოდ ან ობიექტურ საბაზრო ფასზე ხელოვნური ფასდაკლებით - ეს კი ხაფანგია.

ცდუნება, რაიმე პროდუქტი ან მომსახურება გაიცეს უფასოდ, უპირველეს ყოვლისა პოპულისტურია იმიტომ, რომ უფასო არაფერია - თუ მის საფასურს ვინმე არ იხდის, ეს ყოველთვის ნიშნავს, რომ მისი შექმნის და მიწოდების ხარჯი იფარება სახელმწიფოს მიერ, მოქალაქეების საერთო თანხებიდან ანუ ბიუჯეტიდან, რომელიც მათივე გადასახადებით ივსება.

ასეთი მიდგომისას, როგორც წესი ქრება საბაზრო ფასი, არ არსებობს კონკურენცია, პროდუქტის მწარმოებელი კარგავს სტიმულს, იზრუნოს მიწოდებული პროდუქტის ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე. შედეგად ზიანდება არა მხოლოდ მწარმოებლის და მომხმარებლის ინტერესები, ჯაჭვური რეაქციით ზიანდება წარმოების და გაცვლის მთელი ციკლი არა მხოლოდ ხსენებულ პროდუქციაზე, რაც სერიოზული მავნებლობაა და ამასთან, საკმაოდ ვრცელი საუბრის თემაა.

შესაბამისად ფრაზის შინაარსი სწორია არა მხოლოდ ყველისათვის სათაგურში, ყველა პროდუქტისა და მომსახურების მიმართ, რაც იწარმოება, იქნება ეს პერანგი, ტელევიზორი, საკვები ან თუნდაც ჯანდაცვა და განათლება, რაც ხშირად და გარკვეული დოზით უფასოდ ან იაფად გაიცემა ხოლმე, რადგან, როგორც წესი, უპირველეს ყოვლისა იჩაგრება მისი მწარმოებელი, სარგებელს კი, საბოლოო ჯამში არავინ იღებს.

სულ სხვაა, როცა საუბარია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ძირითადი რესურსების მოქალაქეების საკუთრებაში გადაცემაზე პრივატიზაციის გზით.

ჯერ ერთი მთელი ეს ფასეულობა, როგორც თავად სახელმწიფო, მისი მოქალაქეების საკუთრებაა და მისი ფულზე გაყიდვა მოქალაქეებზე მოკლებულია რაიმე ლოგიკას.

მეორეც, ქვეყანაში ბრუნვაში არსებული თანხა, როგორც წესი, წონასწორობაშია წარმოებულ პროდუქციასა და მომსახურებასთან და თუნდაც ეს თანხა თავისუფალი იყოს, ძალიან მცირეა მასობრივი პრივატიზაციის დროს ქონების ბაზარზე მიწოდებაში მყოფ ფასეულობებთან. ზოგჯერ მხოლოდ ერთი მსხვილი საპრივატიზაციო ობიექტის შესადარი მსოფლიო საბაზრო ფასიც კი დიდად ჭარბობს მთელ M2-ს (ფულის რაოდენობა).

საპრივატიზაციო ქონების ფულზე გასაყიდად გამოტანა, ფაქტობრივად, არარსებული ადგილობრივი გადახდისუნარიანი მოთხოვნის ფონზე აუფასურებს პოტენციურ საბაზრო ფასს და მთლიანად საფონდო ბაზარს, რაც ნებისმიერი საბაზრო გარემოს უმთავრესი დამანგრეველი ფაქტორია.

მითი 5. შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ ლხინსაო

რას გვეუბნება ეს ანდაზა? იყავი მუდამ გაჭირვებული, ,,ღარიბი'' და არ ეძებო უკეთესი ცხოვრება, რომელიც შენთვის

შეუჩვეველია, რაც ადამიანს უქმნის იმის ილუზიას, რომ თუ ის ღარიბია, მუდამ ღარიბი იყოს, არ განვითარდეს, სიახლის შიშით არ გადადგას ნაბიჯი წინ და მუდამ ღარიბად დარჩეს... და ეს ყოველივე მიიღოს როგორც ნორმა.

ადამიანი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეჩვიოს ჭირს, არ შეეჩვიოს სიღარიბეს. შეგუებული სიღარიბე აფერხებს ადამიანის პროგრესს, არ იყენებს მის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებს და რჩება სხვისი დახმარების შემყურე/მომლოდინე. ამ გარემოებით სარგებლობს ყველა მთავრობა. ნებისმიერი მთავრობაში მოსვლის სურვილის მქონე პოლიტიკოსი ჰპირდება ხალხს, რომ ის დაეხმარება, ის აღმოუჩენს შემწეობას. რეალურად კი მათი დახმარება სიღარიბეში მყოფი ადამიანებისთვის მხოლოდ მინიმალური საარსებო შემწეობის გაცემით შემოიფარგლება და ისიც მრავალი ვალდებულებითა და პირობით. ხოლო, თუ სახელმწიფო შემწეობის მიმღები ადამიანი არ შეასრულებს მთავრობის მითითებებს/დირექტივებს, ამ უმნიშვნელო ლუკმის გარეშე დარჩება.

სახელმწიფო ქვეყნის ეკონომიკური აქტივების უდიდესი წილის მფლობელია, რაც გამოთიშულია რეალური ეკონომიკური სექტორიდან. ამ აქტივების გადასვლა კერძო სექტორში, ამ აქტივების გადასვლა საქართველოს მოქალაქეების საკუთრება-ში, მათ გამდიდრებას და კეთილდღეობას უზრუნველყოფს (სრულად თემაზე: *#გახდიმესაკუთრე*, 100 კითხვა 100 პასუხი). იმ მოტივით რომ ადამიანები უნდა შეეგუონ იმ სიდუხჭირეს, სადაც დღეს არიან, არ მოითხოვონ უკეთესი ცხოვრება, ეს ,,პოლიტიკანთა'' წისქვილზე ასხამს წყალს და მთავრობის შემწეობასა და მასზე დამოკიდებულს ხდის. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლება და ეკონომიკური შესაძლებლობა განვითარდეს, სამართლიანად მიიღოს მეტი ეკონომიკური კეთილდღეობა, არ იყოს დამოკიდებული სხვის შემწეობაზე, არ შეეჩვიოს სიღარიბეს და იშრომოს მისი კეთილდღეობის ზრდაზე.

მითი 6. ფეხი იქამდე უნდა გაშალო, სანამდეც საბანი გაგწვდებაო

აღნიშნული გამოთქმა გვეუბნება, რომ ადამიანის მიზანი იმის იქით არ უნდა მიდიოდეს, რა მატერიალური სიმდიდრეც აქვს. უნდა შეეგუოს მის დაბალ სოციალურ სტატუსს, შეეგუოს იმ სიდუხჭირეს, სადაც უწევს ცხოვრება და განვითარების პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს. მოუწოდებს, რომ ბედნიერად იცხოვროს იმ მოცემულობაში, რა მოცემულობაშიც არის და სიახლეზე აღარ იფიქროს.

ადამიანს უნდა ჰქონდეს უკეთესის მიღწევის მოტივაცია (ცხადია სამართლიანად და არა უსამართლოდ) და ამ მოტივაციას არ უნდა თრგუნავდეს საზოგადოებაში გამეფებული მითები და არც მთავრობის ისეთი პოლიტიკა, რომელიც ადამიანის განვითარებას უშლის ხელს. აქედან გამომდინარე, **თუ საბანი არ გვყოფნის, რატომ არ უნდა ვეცადოთ საბნის განახლებას?! და თუ საბანი არ გწვდება, ეს გამოუსადეგარი საბანი გამოვცვა-ლოთ.**

მითი 7. სახელმწიფოს ფულის მეტი რა აქვს, სახელმწიფო *„მეწველი ძროხა“* ხომ არ გგონიათ?

მოცემულ ფრაზაში იგულისხმება, რომ სახელმწიფოს რესურსები შეზღუდულია და ყველა საჭიროებაზე ხარჯს ის ვერ გასწვდება. საპასუხოდ, ჩვენ ვსვამთ რიტორიკულ კითხვას: იყენებს თუ არა სახელმწიფო თავის რესურსებს მაქსიმალურად ოპტიმალურად და ეფექტურად? არის თუ არა ეკონომიკური შესაძლებლობები სრულად ათვისებული და გაცოცხლებული ეკონომიკაში?

შეზღუდულია ყველაფერი, რაც ბუნებაში არის დათვლადი, მათ შორის - რესურსები, მაგრამ ვერავინ ვერასოდეს შეზღუდავს გაზრებას და იდეებს, რომლებიც ემსახურებიან არსებულის გაუმჯობესებას.



დიდი ამბავი სახელმწიფოს/მთავრობას ვპარავ ფულს

კომუნისტური გაგებით, როდესაც „მეწველი ძროხა სახელმწიფოა და ის კვებავს ხალხს“ - სინამდვილეში ამ ძროხის საკვებია ხალხი, მთელი მათი მატერიალური და არამატერიალური რესურსით. იმ პერიოდში, ალბათ კანონზომიერიც იყო სახელმწიფოსთვის მოპარვა, როცა ჯერ ყველას ყველაფერი წაართვეს და ყველაფერი სახელმწიფოსი იყო, კარაქიდან დაწყებული კოსმოსურ ხომალდამდე დამთავრებული. დიახ, ამ რეალობაში სახელმწიფოს ყველა პარავდა და ეს ფარული კანონი თუ კანონზომიერება იქცა „ქურდის ქურდი ცხონდესო“ პრინციპით.

თავისუფალ საზოგადოებაში, თავისუფალ საბაზრო სისტემაში სახელმწიფოს კი არა, პირდაპირ მოქალაქეს პარავ - დასაქმებულ ადამიანებს, რომლებიც შრომობენ და ქმნიან ეკონომიკურ კეთილდღეობას.

შესაბამისად - თუ პარავ სახელმწიფოს ხაზინას ე.ი. მპარავ მე და ჩვენი ყულაბიდან იპარავ.

მითი 8. მარტო ბორჯომიც გადაგვარჩენს

ხშირად გაიგონებთ ასეთ მოსაზრებებს, განსაკუთრებით ადამიანთა იმ წრეებში, რომლებსაც საბჭოთა კავშირის ნოსტალგია გააჩნიათ.

ქვეყნის გადარჩენა საერთოდ არ უნდა დგებოდეს დღის წესრიგში ისეთ ქვეყანაში, სადაც მისი ძირითადი ეკონომიკური აქტივები გამოირჩევიან კაპიტალიზაციით და ლიკვიდურობით. (მაღალი ღირებულებით და ფინანსური მიმზიდველობით) შესაბამისად, რამე კონკრეტულ აქტივზე აქცენტის გაკეთება, რომ ის ქვეყნის ეკონომიკის "გადამრჩენ" ფაქტორად უნდა იქცეს, როცა სხვა დანარჩენი აქტივები გათიშულია ეკონომიკური აქტივობისგან, რბილად რომ ვთქვათ, ტყუილია.

დღევანდელ რეალობაში, კონკრეტულად ბორჯომს (იგულისხმება მინერალური წყალი) საკუთარი რეალური პოტენციალის მცირე ნაწილის რეალიზებაც უჭირს. ამის მიზეზი მარტივია: ის წიაღისეული, რომლის უსაზღვრო იმედიც შეიძლება ჰქონდეს ბევრ მოქალაქეს, საერთოდაც სახელმწიფო საკუთრებაა და შესაბამისად, მისი კაპიტალიზაცია არის ნულის ტოლი. სწორი იქნებოდა მისი განკერძოება, ფასის აღდგენა და ინტეგრაცია საერთაშორისო ბირჟებზე, რომლის შედეგადაც მოცემული აქტივი მოიზიდავდა მისთვის საჭირო კაპიტალს და ეკონომიკაში ჩაერთვებოდა სრული სიმძლავრით.

წარსულის ნოსტალგიები

მითი 9. სოციალიზმი უკეთესად აცხოვრებს ხალხს, ვიდრე საბაზრო ეკონომიკა

სოციალისტური საბაზრო ეკონომიკა ძირითადად ორიენტირებულია მოსახლეობას შორის დოვლათის თანაბარ გადანაწილებაზე. საბაზრო სოციალიზმი არ ეწინააღმდეგება კერძო საკუთ-

რების ინსტიტუტს, თუმცა მთავრობა აქაც უპირატესობას კოლექტიურ საკუთრებას ანიჭებს. ეს სისტემა თავისი არსით მთავრობისგან ეკონომიკის კონტროლსა და მასში აქტიურ ჩარევას გულისხმობს, მაგრამ ის მოსაზრება, რომ ამგვარი სისტემის პირობებში ხალხი უკეთესად ცხოვრობს, ვიდრე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, არის მითი.

ამ მითს ადასტურებს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება, რომლებმაც გეზი საბაზრო ეკონომიკისკენ აიღეს. სოციალიზმის მეხოტბეებს თავისი აზრის გასამყარებლად ძირითადად მოჰყავთ შვედეთის მაგალითი, სადაც ცხოვრების დონე მაღალია, ხოლო სისტემა ისეთია, რომელშიც სახელმწიფოს როლი დიდია. თუმცა ეს არგუმენტი სინამდვილეს არ შეესაბამება. შვედი ავტორი და ფილოსოფოსი იოჰან ნორბერგი შვედეთის განვითარების შესახებ წერს, რომ მათი ეკონომიკური წინსვლა არა სოციალიზმმა, არამედ საბაზრო ეკონომიკამ და ეკონომიკაში მთავრობის ჩაურევლობამ გამოიწვია.

შვედეთმა და სხვა ისეთმა ქვეყნებმა, სადაც ამ ეტაპზე ,,სოციალური მზრუნველობა'' დომინირებს, თავიანთი ეკონომიკური განვითარება სწორედ საბაზო ეკონომიკის კონცეფციით დაიწყეს, სადაც მთავრობის ზომა იყო მცირე, ბაზარზე დომინირებდა კერძო საკუთრება და დოვლათის ძირითადი შემქმნელი სწორედ კერძო სექტორი იყო. დღევანდელ რეალობაშიც, შვედეთს შეგვიძლია ვუწოდოთ არა სოციალისტური ქვეყანა, არამედ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყანა, ანუ ბიუჯეტი სხვებთან შედარებით მეტადაა სოციალურად ორიენტირებული.

მსოფლიო მასშტაბით საბაზრო ეკონომიკის არნახული წარმატება სწორედ იმითაა განპირობებული, რომ მოსახლეობა საქმიანობებში არ იზღუდება. როდესაც ქვეყანაში დომინირებს კერძო საკუთრება, ხოლო მთავრობა ეკონომიკაში არ ერევა, ეს აჩენს დადებით სტიმულს ინვესტორებისთვის, რათა მათ გრძელვადიანი ბიზნეს გათვლები აწარმოონ.

სოციალიზმის პირობებში კი მოსახლეობა შეზღუდულია. ადგილი სადაც მთავრობის ზომა არის დიდი, ეკონომიკის ზრდის ტემპიც არის მცირე. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, სახელმწიფოს ფუნქცია არა ეკონომიკაში უხეში ჩარევაა, არამედ, პირიქით, ადამიანების საკუთრების დაცვა და ეკონომიკური საქმიანობისთვის თავისუფალი გარემოს შექმნა. სადაც მთავრობის როლი უნდა იყოს მცირე, რადგან იგი არ შეიძლება კარგ მენეჯერად ჩაითვალოს, რომელიც უზრუნველყოფს არსებული თანხების ეფექტურ ხარჯვას.

ქაღალდზე სამოთხეა და პრაქტიკაში ?

მითი 10. *"სოციალიზმი"* სამართლიანია

,,თუ სოციალურ პოლიტიკას ატარებს ყოვლის შემძლე, ყოვლის მცოდნე და უაღრესად კეთილსინდისიერ-კეთილშობილი "პრინცი, მაშინ სოციალიზმი სამართლიანი შეიძლება იყოს, მაგრამ როგორ იქნება "პრინცი" სამართლიანი, ის ხომ უკვე "პრინცია".

თავისი შინაარსით "სოციალიზმი" არის იდეოლოგია სოციალური თანასწორობის და სამართლიანობის შესახებ. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ის განსხვავებულად მუშაობს და ეს დიდწილად დამოკიდებულია საზოგადოების მაღალ სამოქალაქო თვითშეგნებაზე, განათლებაზე, საზოგადოების პასუხისმგებლობაზე და არსებულ პოლიტიკურ სისტემაზე.

"სოციალისტურ" სახელმწიფოების უმეტესობა განიცდის პრობლემებს დემოკრატიის და ჩინოსანთა კეთილსინდისიერების კუთხით. ამის მიზეზია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ საერთო ქონება/სიმძლავრეებზე ადვილი წვდომა მათთვის,

ვინც ფლობს ძალაუფლებას და ნულოვანი წვდომა ღარიბი უმრავლესობისთვის.

საზოგადოდ მიიჩნევენ, რომ სკანდინავიის ქვეყნები არიან სოციალისტური და წარმატებას სოციალიზმით მიაღწიეს. რაც ასე არ არის. მიუხედავად, იმისა რომ სახელმწიფო ბიუჯეტი სოციალური მიმართულებით აქვთ ორიენტირებული, რეალურად მათი ეკონომიკური სისტემა კაპიტალისტურია, რაც ნიშნავს, რომ ქვეყანაში დამკვიდრებულია კერძო საკუთრება. კერძო მესაკუთრეები და კერძო სექტორი ქმნის ეკონომიკურ დოვლათს, არიან ფინანსურად მძლავრები, ხოლო კერძო სექტორიდან გადასახადების სახით აკრეფილი საბიუჯეტო შემოსავლები მიმართულია გაზრდილი სოციალური ხარჯებისაკენ.

ამ ქვეყნების განვითარება დაიწყო ეკონომიკური თავისუფლებით, გაძლიერდა კერძო სექტორი, გამდიდრდა და შემდეგ გამდიდრებული კერძო სექტორიდან მთავრობამ გაზრდილი გადასახადებით დაიწყო ბიუჯეტის შევსება. გაზრდილი სახელწიფო რეგულაციებითა და ეკონომიკაში ჩარევით კი ილუზია შექმნა, რომ სოციალიზმმა მოუტანა ამ ქვეყნებს ეკონომიკური განვითარება და წარმატება.

სინამდვილეში კი რეალური წარმატება და განვითარება კერძო საკუთრების დამკვიდრებამ და ეკონომიკურმა თავისუფლებამ მოუტანა. ამიტომაც, თუ სოციალიზმი კარგი და წარმატებულია, ის თანაბრად წარმატებული უნდა იყოს როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის ქვეყნებშიც, მაგრამ ჩრდილოეთში ჯერ კერძო სექტორის განვითარება მოხდა და შემდეგ ამ სექტორზე მთავრობის ზომის ზრდა, ხოლო სამხრეთში ეკონომიკურად არათავისუფალ სისტემაში, სადაც ქვეყნის ეკონომიკური რესურსების ძირითადი მესაკუთრე მთავრობაა, სადაც არ მომხდარა კერძო სექტორის ფორმირება და ამიტომაც მცირეა კერძო სექტორი, შედეგად ვიღებთ მძიმე სოციალურ მდგომარეობას და ახლა წარმოიდგინეთ თუ სახელმწიფო ზღუდავს ეკონომიკურ განვითარებას და კერძო სექტორი ქმნის ეკონომიკურ დოვ-

ლათს, მაშინ რა მოხდებოდა, თუ ჩრდილოეთის ქვეყნებშიც სახელმწიფოს ზომა შემცირდებოდა?

მითი 11. კომუნისტების დროს ბედნიერად ვცხოვრობდით - კომუნისტების დროს ყველაფერი გვქონდა

თაობას, რომელსაც საბჭოთა კავშირის პერიოდის ნოსტალგია ეუფლებათ, რეალურად მათ თავიანთი ახალგაზრდობის ნოსტალგია აქვთ და არა საბჭოთა კავშირში არსებული ცხოვრების პირობების. როცა ადამიანი ახალგაზრდაა, მას მეტი შესაძლებლობები აქვს, მეტად მოტივირებულია, მომავლის იმედი აქვს და სამყაროს უფრო ნათელ ფერებში ხედავს. მისთვის არსებული მატერიალური მდგომარეობა არ არის იმდენად პრიორიტეტული, რამდენადაც ადამიანური ურთიერთობები. მაგალითად, ჩვენ (ავტორებს) ზოგჯერ 90-იანი - 2000 -იანი წლები ტკბილად გვახსენდება, რაღაც დოზით გვენატრება კიდეც. როგორ შეიძლება იმ პერიოდის საქართველოში მაცხოვრებელ ადამიანს 90-2000-იანები წლები გენატრებოდეს, მაგრამ ჩვენ არა 90-იანების საქართველოს ცხოვრების დონე და პირობები, არამედ უდარდელი ბავშობა/სტუდენტობა გვენატრება, მეგობრებთან ხშირი კონტაქტი და სამყაროს ჩვენეული ხედვა. ამიტომაც, არც უნდა გაგვიკვირდეს და არც უნდა გავკიცხოთ ის თაობა, რომელთაც საბჭოთა კავშირის ნოსტალგია აქვთ, რადგან მათ უფრო მეტად თავიანთი ახალგაზრდობის მოგონებები ახსოვთ და ენატრებათ.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირში მოსახლეობის ცხოვრების დონეს. თანამედროვე ეპოქაში არ არის სიმდიდრის ზედა ზღვარი განსაზღვრული, მთავარია ადამიანს ფული ჰქონდეს, სხვა შემთხვევაში მისი ფანტაზია მატერიალურ ქონებაზე არის უსაზღვრო. სამაგიეროდ, საბჭოთა კავშირმა მოახერხა სიმდიდრის ზედა ზღვარის დადგენა. რაში გამოიხატებოდა ეს? საბჭოთა მოქალაქეს განსაზღვრული ჰქონდა ის მაქსიმუმი, რომლის ზემო-

თაც ეკრძალებოდა სიმდიდრის ქონა. ვერ შეიძენდა ავტომობილს მთავრობის თანხმობის გარეშე, ვაჭრობა ასოცირდებოდა სპეკულიანტობასთან და სხვა ნეგატიურ ფრაზებთან, ამიტომ ვაჭრობით გამდიდრება დანაშაულად ითვლებოდა, ხოლო ხელფასები და წარმოება მთავრობის მიერ ცენტრიდან იგეგმებოდა. ამიტომაც კანონიერი გზით გამდიდრების პერსპექტივები არ არსებობდა. შედეგად ერთ ქუჩაზე მცხოვრებ ადამიანებს თითქმის ერთნაირი საცხოვრებელი პირობები ჰქონდათ. არ იყო შედარების შესაძლებლობა. თითქმის ყველა რიგით მოქალაქეს ერთი სტილის ტანსაცმელიც კი ეცვა. საბჭოთა კავშირმა ცხოვრების მინიმალური სტანდარტების უზრუნველყოფა ასე თუ ისე მოახერხა (მისი უზარმაზარი ტერიტორიული და ბუნებრივი რესურსების თუნდა არაეფექტიანი გამოყენების ხარჯზე), რითაც მოსახლეობის დიდი ნაწილი კმაყოფილი დატოვა.

ნათქვამია, ,,ღარიბს როლს-როისი არ ესიზმრებაო''. ზუსტადაც, თუ ცხოვრების ალტერნატიულ პირობებს ვერ ხედავ, ვერც შენს სამეზობლოში და ვერც სხვა ქვეყანაში, ცხადია ექცევი ილუზიაში, რომ კარგად ცხოვრობ, გამოკვების პრობლემა მეტ-ნაკლებად არ გიდგას, ყველა ერთი სტილში ცხოვრობს და შესაბამისაც შენც მიყვები ცხოვრების ამ რიტმს.

ბედნიერება აბსტრაქტული ცნებაა. მისი აღქმა ინდივიდუალური განწყობის სფეროა. თუკი მხედველობაში მივიღებთ მთელი სოციუმის მიერ ბედნიერების კოლექტიური აღქმის მომენტს, ის ხშირად გამომდინარეობს ფიზიკური საფრთხისგან დაცვის შეგრძნებისგან. ეს არის ფიზიკური კომფორტი, რომლის საფასურსაც წარმოადგენს ინდივიდუალური სიკეთეების დათმობა: ინდივიდი უარს ამბობს თავისუფლებაზე და პიროვნული გააზრებაზე (უფლებები, აზრისა და გამოხატვის თვისუფლება, აზროვნებიდან პოლიტიკური კონტექსტის ნიველირება, კომუნისტური დოგმებისადმი ბრმა მორ-ჩილება).

ბედნიერად შეიძლება ცხოვრობენ ცენტრალურ და სამხრეთ აფრიკის ქვეყნებშიც, მაგრამ ეს მათი სუბიექტური აღქმაა. სიღარი-

ბეს შეჩვეულები, ვერც აცნობიერებენ, რომ სხვა უკეთესი ცხოვრებაც შეიძლება ჰქონდეთ და ბედნიერად არიან თავიანთ ნაჭუჭში მოქცეულნი. ობიექტურად, გარე თვალი თუ შეხედავს, აღმოაჩენს თუ რა სიღარიბე სუფევს ამ ქვეყნებში, მაღალი კრიმინალი, ანტისანიტარია, მძიმე საბინაო პირობები და სხვა ნეგატიური ფაქტორები. მძიმე სოციალური პირობების შედეგია ისიც, რომ აფრიკის ქვეყნებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 60 წლამდეა (განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 80 წელზე მაღალია).

ბოლშევიკური რუსეთის მიერ 1921 წელს დემოკრატიული საქართველოს ოკუპაციის შემდეგ დამყარდა საოკუპაციო რეჟიმი, გატარდა რეპრესიები, ინტელიგენცია ფიზიკურად განადგურდა, ქვეყნის ტერიტორიები გასხვისდა. შვიდი ათეული წლის განმავლობაში მოსახლეობა მუდმივად განიცდიდა ზეწოლას ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან. მეორე მსოფლიო ომის და განსაკუთრებით, მარტის მოვლენების შემდეგ, მცირე გამონაკლისის გარდა, ადამიანები დაიცალნენ წინააღმდეგობის უნარისაგან და ისინი შეეგუენ წითელ დიქტატურას.

შეგუება და მორჩილება გახდა საფასური მოჩვენებითი ბედნიერებისა.

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში იდეოლოგიური პროპაგანდის შედეგად მის მოსახლეობაში არსებობდა რწმენა იმისა, რომ საბჭოთა ადამიანი ცხოვრობდა ბევრად უფრო თავისუფალ, კომფორტულ და მდიდარ ქვეყანაში, ხოლო კაპიტალისტურ სახელმწიფოებს აღიქვამდა ისეთ გარემოდ, სადაც ცხოვრობდნენ მხოლოდ ბურჟუაზია და მისგან ჩაგრული ღარიბი კლასი. აღნიშნული მოსაზრების გადამოწმების საშუალება საბჭოთა ადამიანს არ გააჩნდა - იმპერიის საზღვრების დატოვება ტურისტული მიზნებითაც კი რთულ ამოცანას წარმოადგენდა, ხოლო მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა და საცხოვრებლად დასავლურ სახელმწიფოში გადაბარგება, ბოლშევიკური წარმოდგენით, აღიქმებოდა, როგორც სამშობლოს ღალატი.

იმპერიის დაშლის შემდეგ ინფორმაციები ადვილად ხელმისაწვდომი გახდა. აღმოჩნდა, რომ საბჭოთა კავშირს "ბოროტი კაპიტალისტური ქვეყნები" რამდენჯერმე უსწრებდნენ, როგორც ეკონომიკურად, ტექნოლოგიურად, ასევე განათლების და სხვა უმნიშვნელოვანეს სფეროებში.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან რამდენიმე ათწლეული გავიდა, თუმცა პოსტსაბჭოთა სივრცეში ადამიანები ჯერ კიდევ ვერ ეთვისებიან თავისუფალ გარემოს, რადგან მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის ბედნიერება კვლავაც ასოცირდება ფიზიკურ უსაფრთხოებასთან, რის სანაცვლოდაც ის კვლავაც მზად არის, დათმოს ყველა ინდივიდუალური სიკეთე.



მითი 12. ბიზნესმენები ბოროტები არიან, ხოლო მდიდარი ადამიანები სხვებზე არ ზრუნავენ

ეს მოსაზრება ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირში და კიდევ უფრო განმტკიცდა 90-იანების პერიოდში. საბჭოთა კავშირში არ იყო დაშვებული სიმდიდრე, მოქალაქეები არ უნდა გამდიდრებულიყვნენ და ამისთვის ყველა ზომას მიმართავდნენ, უკანონოდ ითვლებოდა თუ რიგით მოქალაქეს ,,ზედმეტი'' ქონება ჰქონდა, შეზღუდული იყო ეკონომიკური შესაძლებლობები, რომ ადამიანს მეტი ქონება დაეგროვებინა, მხოლოდ ერთეულები ახერხებდნენ სხვადასხვა ხერხებით რომ მაგალითად, ავტომობილი ვოლგა ჰყოლოდა. თანამედროვე სამყაროში ვაჭრობის სფერო ერთ-ერთი მზარდი და შემოსავლიანი დარგია, ხოლო საბჭოთა კავშირში კი ვაჭრობა ითვლებოდა სპეკულიანტობად და საზოგადოების მხრიდან განკიცხვის საგანს წარმოადგენდა. ამასთან,

სიმდიდრე ცოდვად გამოცხადდა და საზოგადოებაში ნეგატიური აღქმა შეიძინა. ადამიანს, რომელსაც სხვა დანარჩენებისგან შედარებით მეტი ქონება ჰქონდა, ან მთავრობის წევრი იყო, ან იმ პერიოდის კანონების გვერდის ავლით ჰქონდა მოპოვებული, შესაბამისად უმეტესი ამ ადამიანის მიმართ დანარჩენებს ზიზღის გრძნობა უჩნდებოდათ და საზოგადოება მათ დისკრედიტაციას ახდენდა.

მეორე ეტაპი 90-იანებში გავიარეთ, როცა ბევრი ბიზნესმენი უკანონოდ გამდიდრდა, რამაც კიდევ უფრო გააღვივა სოციალური დისტანცია.

სინამდვილეში გამდიდრება ცოდვა არ არის თუ ის კანონიერად/კეთილისინდისიერად არის მიღწეული. რაც უფრო მეტი შემოსავალი ექნება ადამიანს, მით მეტად ექნება შესაძლებლობა ხელი გაუმართოს დანარჩენებს.

უფასო განკერძოების შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა რომ გახდნენ სახელმწიფოს ბალანსზე არსებული უზარმაზარი ეკონომიკური რესურსების მესაკუთრეები და გამდიდრდნენ. - დანია სადაც 6 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს, 237 ათასი მილიონერი ჰყავს, ხოლო ირლანდიაში სადაც 5 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს, 158 ათასი მილიონერი ჰყავს. - საქართველოს, თავისი ეროვნული სიმდიდრითა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობით შეუძლია იყოს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა, სადაც მრავლად იქნებიან სამართლიანად გამდიდრებული ადამიანები და მილიონერები. წარმოგიდგენიათ თქვენ რომ მილიონერი იყოთ, რამდენ ადამიანს დაეხმარებოდით.

ხშირ შემთხვევაში, როცა მდიდარი ადამიანი თავისი კომფორტისთვის აკეთებს რამეს, პირდაპირ ან ირიბად მისი მომხმარებელი შეძლება იყოს სხვა ადამიანიც. მაგალითად, თუ ამ ადამიანმა იზრუნა საკუთარი სახლის უსაფრთხოებაზე, დააყენა ვიდეო თვალი თუ იზრუნა დაცვის სამსახურის მომსახურებით, მისი მეზობელიც უკვე შედარებით უსაფრთხოდ იქნება, რადგან

ძნელია მძარცველმა მახლობელ ტერიტორიაზე ქურდობა ჩაიდინოს, თუ ამ ადამიანმა მისი სახლისკენ მიმავალი გზა დააგო ან განათება დააყენა, მისი ნაწილობრივ გამომყენებელი ახლოს მაცხოვრებლებიც იქნებიან. რაც შეეხება ეკონომიკას, რაც მეტი ბიზნესი ექნება, მით მეტ ადამიანს დაასაქმებს, მით მეტ პროდუქციას აწარმოებს და მეტ პროდუქციასაც შეიძენს ბაზარზე, მეტ გადასახადებს გადაიხდის ხაზინაში, მით უფრო ხშირად დაისვენებს და დასვენება-კულტურის სფეროში მეტს დახარჯავს და ამით მეტ ფულს ჩადებს ეკონომიკაში, ეს ეფექტი კიდევ და კიდევ უფრო გაიზრდება კონკურენციისა და ბევრი მდიდარი ადამიანის არსებობის შემთხვევაში

ბიზნესში არ არსებობს ბოროტი და კეთილის განსაზღვრება, არსებობს კონკურენცია და მონოპოლია. მონოპოლიის პირობებში, ერთი კომპანია ყოველთვის მონოპოლიური წესებით თამაშობს, ვერ ქმნის ვერც სათანადო ხარისხის პროდუქტს და ვერც დასაქმებულებს უქმნის სათანადო შრომის პირობებს, რაც არ უნდა ადამიანთმოყვარე მენეჯერი ჰყავდეს. ახლა წარმოიდგინეთ, 10 კომპანიის დირექტორი, რომელთაც უბრალოდ ,,უყვართ'' ადამიანები, მაგრამ ისინი ერთმანეთის კონკურენტები არიან, იმისათვის რომ ერთმა დანარჩენებს აჯობოს გაყიდვებში, მეტი მომხმარებელი მიიზიდოს და მეტი მოგება მიიღოს, აწარმოებს ხარისხიან და მომხმარებლისთვის მიმზიდველ პროდუქციას, იმისათვის რომ უკეთეს საწარმოო შედეგებს მიაღწიოს, შრომის ბაზარზეც მოთხოვნას აჩენს კვალიფიციურ თანამშრომლებზე და სთავაზობს მაღალ ანაზღაურებას (წინააღმდეგ შემთხვევაში დასაქმებული კონკურენტ კომპანიაში გადავა სამუშაოდ).

აქედან გამომდინარე ეკონომიკაში არ არსებობს ტერმინი ბოროტი და კეთილი, არსებობს კონკურენცია და მონოპოლია. კონკურენციის პირობებში მწარმოებლები/დამსაქმებლები კონკურენტებთან შედარებით უპირატესობის მოპოვების მიზნით მომხმარებლებს სთავაზობენ უკეთესი ხარისხის ან/და უფრო დაბალი ფასის პროდუქტსა და მომსახურებას, მაღალ ანაზღაურებასა და

უკეთესი შრომის პირობებს, ხოლო მონოპოლიის პირობებში ეს ყოველივე საპირისპიროდ ხდება.

რაც მეტია ეკონომიკური თავისუფლება და თავისუფალი კონკურენცია, მით ნაკლები სხვაობაა მოგებასა და ხელფასების დონეს შორის.

თავისუფლება



მითი 13. ჩემი *თავისუფლება* იწყება იქ, სადაც სხვისი თავისუფლება მთავრდება

ვერ დავეთანხმებით და მიგვაჩნია, რომ მცდარი მოსაზრებაა, თითქოს "ჩემი თავისუფლება იწყება იქ, სადაც სხვისი თავისუფლება მთავრდება". მითუმეტეს, ღვთიური თავისუფლება, რომელსაც არამატერიალური სახე აქვს, ის არ არის სასრული და შეზღუდული დროსა და სივრცეში. ის არ მთავრდება სხვათა თავისუფლების საწყისთან.

ხატოვნად რომ ვთქვათ, თავისუფლება ჰგავს სანთლის ნათებას, მის გამოსხივებას, წმინდა შუქს და რაც მეტია მანათობელი სანთლების რაოდენობა, მით მეტია ნათების სიძლიერე-სიკაშკაშე. ანუ, ჩვენს შემთხვევაში თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა, მისი სიძლიერე. ამრიგად, ჭეშმარიტი თავისუფლება იქ კი არ იწყება, სადაც სხვისი თავისუფლება მთავრდება, არამედ - ჩემი თავისუფლება უფრო ძლიერდება შენი და სხვისი თავისუფლებით.

შეიძლება ითქვას, რომ სხვათა თავისუფლება არის, მათ შორის, შენი თავისუფლების გარანტი, თუ, რასაკვირველია, "რობინზონ კრუზოს" თავისუფლება არ გსურს. თავისუფლება, როგორც ინ-დივიდუალური უნიკალურობის, ასევე საზოგადოებრივი ფე-ნომენია. ინდივიდუალური თავისუფლების გარეშე ვერ რე-ალიზდება საზოგადოებრივი თავისუფლება და პირიქით - თუ საზოგადოება არაა თავისუფალი, იქ, ფაქტობრივად, გართულე-ბულია ცალ-ცალკე პერსონების თავისუფლების არსებობა.

ამრიგად, ეს მითი უფრო მატერიალური (ხილვადი, ხელშესა-ხები) სივრცის ათვისების სფეროს შეესატყვისება, სადაც რე-სურსები მკვეთრად შეზღუდულია (ზოგადად ეკონომიკაში რე-სურსები შეზღუდულია). ასე მაგალითად, ერთდროულად ერთიდაიგივე სივრცეს ვერ დაიკავებს 2 ადამიანი ან ვერავინ აღმოჩნდება ორ სხვადასხვა სივრცეში ერთდროულად. შესაბა-მისად, ერთის არეალი მეორისგან განსაზღვრულ-შემოსაზ-ღვრულია. სწორედ ამიტომაც მოცემულ მითს თავისუფლების ფენომენის სასრულობაზე, ღვთიური თავისუფლების საზღვრე-ბის და ფარგლების ახსნის პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს.



მითი 14. *თავისუფლება* იყოს და ბალახს შევჭამთ

მითი გვეუბნება, რომ თავისუფლება შესაძლებელია ეკონომი-კურ მატერიალური უზრუნველყოფის გარეშეც, თუმცა რამდე-ნად შეინარჩუნებ თავისუფლებას მხოლოდ ბალახის ჭამით, ეგ არის საკითხავი.

თავისუფლება ნიშნავს, რომ "ბალახის ჭამა", როგორც გარდა-უვალობა, არ მოგიწევს. ნამდვილ თავისუფლებას კეთილდღე-

ობაც სდევს თან, პირადი საკუთრებისა (კერძო საკუთების) და “გამდიდრების” სახით, მატერიალური შესაძლებლობის და პერსპექტივების ზრდის სახით, რის კვალობაზეც გარემოებით შექმნილ სიდუხჭირის გამო გარდაუვალობით ბალახის ჭამა არ გიწევს. სხვა საკითხია მზაობა თავისუფლების მოსაპოვებლად დათმო ყველაფერი მისი მოპოვების სანაცვლოდ, თუნდაც “ბალახის” ჭამაც მოგიწიოს თავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე, მაგრამ თავისუფლების მოპოვება უკვე სიდუხჭირის კომპენსაცია იქნება, მათ შორის, მატერიალურად. - შესაბამისად, მცდარია გააზრება თუ აღვიქვამთ უკვე მიღებული თავისუფლების პირობად და მის თანმხლებად - შიმშილს და სიდუხჭირეს. მხოლოდ თავისუფლებას შეუძლია აგარიდოს “ბალახის ჭამას” (შიმშილს-მონობას), რადგან თავისუფლება არჩევანთა სიმრავლეა - პოზიტიურ, სიკეთის და კეთილდღეობისმომტან მრავალ ალტერნატივას შორის და თუ თავისუფალ, მრავალ არჩევანს შორის ვინმემ ბალახის ჭამა აირჩია (გადაწყვიტა), ესეც მისი თავისუფლებაა, საკუთარი თავისუფალი არჩევანით მიღებული, რაც რადიკალურად განსხვავდება მითიური პირადი ნების საწინააღმდეგოდ და გარემოების მიერ ნაკარნახევი იძულებით.



მითი 15. ***გიჟი თავისუფალია***

გიჟი გიჟია და არა თავისუფალი. ამ მითით თავისუფლების სიგიჟესთან დაკავშირების/ასოცირების მცდელობაა, სურვილი სიგიჟის სინონიმად ქცევის, მითი იმ ეპოქის შედეგრია თუ თავისუფლებას ითხოვდი, იყავი გიჟი. გიჟი გიჟია და არა თავისუფა-

ლი, პირიქით, გიჟი თავისუფლებისგან არის თავისუფალი, ანუ სიგიჟე აძევებს და ანაცვლებს თავისუფლებას.

- თავისუფლება გონიერ ადამიანთა ხვედრია. თავისუფლება გონიერებაა - „ადამიანი გონიერი არსებაა, რომელიც სხვა ძუძუმწოვრებისგან აზროვნების უნარით განსხვავდება. ადამიანის საქმიანობის მთავარ მიმართულებას სწორედ აზროვნება წარმოადგენს. მისი პიროვნული თავისუფლების დიდი ნაწილი სწორედ აზროვნების თავისუფლებაა და შესაბამისად, რაც მეტადაა შეზღუდული ადამიანის აზროვნება, მით უფრო არაა თავისუფალი იგი და, პირიქით." ამრიგად, მივდივართ ლოგიკურ დასკვნამდე, აზროვნებისა და გააზრების გარეშე თავისუფლება არ არსებობს.

კერძო საკუთრება

მითი 16. კერძო საკუთრება არის სახელმწიფოსთვის დაკარგული ("წართმეული") ქონება

ეს მოსაზრება იგივეა, რაც - მოქალაქე სახელმწიფოსი არ არის.

ძალიან ხშირად ვხვდებით მსგავს მოსაზრებას ისეთ აქტივებთან მიმართებაში, როგორებიცაა: სასაზღვრო ტერიტორიაზე არსებული მიწები, ტყე, წიაღისეული და ა.შ.

რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ სასაზღვრო ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონება გახდება კერძო? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ეს ქონება სახელმწიფომ დაკარგა? რა თქმაუნდა არა! სინამდვილეში კერძო საკუთრებაში ესა თუ ის აქტივი მოქალაქეს შეიძლება ჰქონდეს ამავე სახელმწიფოში და სახელმწიფოს კანონმდებლობით და არა ამ კანონმდებლობიდან გასვლით!

რაც სახელმწიფოს ევალება, არის ის, რომ არსებული აქტივები დაიცვას როგორც შიდა, ასევე გარე საფრთხისგან!

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვა აქტივების განკერძოება სახელმწიფოს უადვილებს მისი დაცვის ფუნქციის განხორციელებას.

კერძო საკუთრებაში არსებული აქტივი კვლავ სახელმწიფოს ადმინისტრაციულ საზღვრებში რჩება, ის მხოლოდ საკუთრების ფორმას იცვლის. არაეფექტიანი სახელმწიფოს მენეჯმენტიდან გადადის კერძო სექტორში, და თუ სახელმწიფოს ბალანსზე არსებული აქტივი იყო მიტოვებული, არ იყო ჩართული ეკონომიკურ საქმიანობაში, მისი ღირებულება განულებული და ვერ ქმნიდა ეკონომიკურ დოვლათს, ახლა მას ჰყავს მესაკუთრე, რომელიც ეკონომიკური აქტივიდან ქმნის დოვლათს, ჩართულია ეკონომიკურ საქმიანობაში, აწარმოებს პროდუქციას და ასაქმებს ადამიანს, მისი მესაკუთრე ორმაგად დაინტერესებულია, რომ მისი საკუთრება იყოს დაცული და ზრუნავს მის განვითარებაზე.

აქვე უნდა დავსვათ კითხვა - როდის არის აქტივი დაცული და ეკონომიკურად ეფექტიანი? როცა მას კერძო მესაკუთრე უვლის, თუ მაშინ როცა სახელმწიფოს ბალანსზეა და ყველასგან მიტოვებული?

კერძო საკუთრება მის მესაკუთრიანად არის ქვეყნის ფარგლებს შიგნით და ემსახურება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

მითი 17. სახელმწიფო (მთავრობა) უფრო კარგად მართავს/ფლობს ეკონომიკურ აქტივებს, ვიდრე კერძო სექტორი

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ დიდი განსხვავებაა ქონების მესაკუთრესა და მის მმართველ, ანუ დროებით მფლობელს შორის. მაშინ, როდესაც ქონება სახელმწიფო საკუთრებაშია, ეს ქონება ბაზარზე არ იყიდება, ანუ მას არ ჰყავს არც

მყიდველი და არც გამყიდველი. შესაბამისად, ამ ქონებას არ გააჩნია არანაირი ლიკვიდურობა და არანაირი საბაზრო ფასი. ასეთი აქტივი ვერ იზიდავს სასურველ ინვესტიციას და არ არის ეფექტიანად ჩართული ეკონომიკურ საქმიანობაში. სრულიად განსხვავებული სურათი გვაქვს მაშინ, როცა ქონება კერძო საკუთრებაშია და ბაზარზე უკვე არსებობს მისი წონასწორული ფასი. ამ ფასიდან და ლიკვიდურობიდან გამომდინარე ხდება სასურველი ინვესტიციების მოზიდვა და ეკონომიკური დოვლათის ზრდა.

ეკონომიკური აქტივების მმართველი შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიები, მაგრამ მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვის საკუთრებაშია ეს ქონება და მიმდინარე პერიოდში ხდება თუ არა მისი კაპიტალიზაცია საბაზრო პირობებიდან გამომდინარე. სახელმწიფო არ არის ისეთი ეფექტიანი, როგორც კერძო სექტორი და ვერ უზრუნველყოფს აქტივის საინვესტიციო მიზიდულობას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, წარმოება გაცილებით ეფექტიანია მაშინ, როცა ეკონომიკურ აქტივებს ფლობენ და განკარგავენ კერძო სუბიექტები.

ისეთი სახელმწიფო კომპანიები, როგორიც არის საქართველოს რკინიგზა, საქართველოს ფოსტა, სატრანსპორტო, წყალმომარაგების, სოფლის მეურნეობისა და სხვა სფეროს წარმოდგენილი კომპანიები, წლიდან წლამდე მილიონობით ზარალში გადიან, იღებენ საშინაო და საგარეო ვალებს და ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ანუ გადასახადის გადამხდელთა ჯიბეებიდან. რატომ? იმიტომ, რომ ერთპიროვნული კომპანიების მენეჯმენტი არ არის მოტივირებული მოგებაზე, რაც არ უნდა მოხდეს მათ კომპანიას მაინც სახელმწიფო ბიუჯეტი დააფინანსებს და ბაზრიდან გაქრობა არ ემუქრება, არც მოგებაზე ფიქრობენ და არც დასაქმებულებზე და მით უფრო, დასაქმებულთა კვალიფიკაციის დონეზე. ხოლო თუ კერძო სექტორში მოქმედმა ბიზნეს-სუბიექტებმა არასწორი ბიზნეს-პროექტი გაატარეს, ისინი ფი-

ნანსურად გაკოტრდებიან და ბაზარს გაეთიშებიან, ამიტომაც მოტივირებულები არიან რომ მოგებაზე იმუშაონ, ხოლო რაც უფრო დიდია ბაზარზე კონკურენციის დონე, კონკურენტებთან უპირატესობის მოპოვების მიზნით კერძო კომპანიები მით უფრო მეტად ცდილობენ მომხმარებლების მოთხოვნებს ადეკვატურად უპასუხონ.

მითი 18. კოლექტიური საკუთრება უფრო ეფექტიანია ვიდრე კერძო საკუთრება

კაცობრიობის ისტორიამ მკაფიოდ დაადასტურა, რომ კერძო საკუთრება ბევრად უფრო ეფექტიანია ვიდრე კოლექტიური საკუთრება, თუმცა მოცემული მითი არსებობს და საკმაოდ პოპულარულია. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? პასუხი, ალბათ, იმაში მდგომარეობს, რომ კოლექტიური საკუთრების დომინირების შემთხვევაში, სახელმწიფო ფლობს ქვეყნის პრაქტიკულად მთლიან რესურსს და მიუხედავად კოლექტიური წარმოების არაეფექტიანობისა, ხარჯავს ძალიან დიდ თანხებს პროპაგანდაში. მარტივად რომ ვთქვათ, ყველა ცენტრალური/გეგმიანი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში მთავრობები ეწევიან ტყუილის პოპულარიზაციას და მოსახლეობას აჯერებენ კოლექტიური საკუთრების ეფექტიანობაში.

საქართველოში და სხვა ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში კი, სამწუხაროდ, კომუნიზმიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას არ მოყვა ეკონომიკაში არსებული აქტივების აუცილებელი პრივატიზაცია. შესაბამისად, მივიღეთ ის, რომ ეკონომიკის ძირითადი აქტივები დარჩა კაპიტალიზაციის აღდგენის გარეშე და საბაზრო ეკონომიკამ ვერ შექმნა ის სიკეთეები, რასაც ის ქმნის განვითარებულ ქვეყნებში. მოცემულ რეალობაში კი პოსტ კომუნისტური ქვეყნების მთავრობას მოცემული მითის აფიშირება ბევრად უფრო გაუადვილდათ, თუმცა რეალობა არის ის, რომ

კერძო საკუთრება უფრო ეფექტიანია და მეტ დოვლათს ქმნის, ვიდრე საკუთრების ყველა სხვა ფორმა.

აქ მნიშვნელოვანია, გავიგოთ, რომ თუკი არ არსებობს საკუთრება, ადამიანი ღარიბია და ნაკლებად დამოუკიდებელი, შესაბამისად - პოლიტიკურად ადვილად მანიპულირებადი. სიღარიბე წარმოშობს მართულ მასას, რომელიც ტირან სახელმწიფოებში ხდება ძალაუფლების გახანგრძლივების წყარო.

არსებობს მოსაზრება, რომ კოლექტიური საკუთრების დროს მოსახლეობა ერთად დგას, უფრო შეთანხმებულად მოქმედებენ და იცავენ საერთო საკუთრებას, ვიდრე კერძო საკუთრების პირობებში. ცხადია, შეთანხმებული მოქმედება ადამიანთა ინდივიდუალურ უნარ-ჩვევებზე, ინდივიდუალურ პასუხისმგებლობასა და მათ წინაშე მდგარ გამოწვევებზეა დამოკიდებული, რაც შეეხება საკუთრების ფორმას, კერძო საკუთრება უფრო მეტად მოტივირებულსა და ძლიერს ხდის მოქალაქეს. როცა იცავ საერთო საკუთრებას, ადამიანის მოტივაცია ნაკლებია აქციაში ჩართულობაში, რადგან ეს ქონება (აქტივი) ყველასია და ის რაც ყველასია, ის ვერ გამოდის ინდივიდების მოტივირების წყარო. ზოგიერთი ფიქრობს, რომ საქმეს სხვაც გააკეთებს და თვითონ არიდებს პასუხისმგებლობას, ან ნაკლებად აქტიურია.

კერძო საკუთრების პირობებში კი - წარმოვიდგინოთ ხეობა ან მიწის ტერიტორია, სადაც ტერიტორიის თითოეული მიწის ნაკვეთი არის კერძო საკუთრებაში, ამ ტერიტორიის დამცველები არიან კერძო მესაკუთრეები. პირველ რიგში, სახელმწიფო უნებართვოდ ვერ მოახდენს კერძო საკუთრების ხელყოფას, კერძო საკუთრება დაცულია სამართლებრივად. საფრთხის შემთხვევაში, თუ საფრთხე ემუქრება ერთ-ერთ მესაკუთრეს, მაშინ სხვა მესაკუთრეები ხდებიან მისი დამცავი ფარი, რადგან მომავალში საფრთხე ემუქრება მათ კერძო საკუთრებასაც.

კერძო მესაკუთრეებს ზურგს უმაგრებს კერძო საკუთრების ფლობის იურიდიული დოკუმენტი, მათი კერძო საკუთრება არის ღირებული და შესაბამისად მათ უკან ფინანსური მხარდაჭე-

რაც დგას, ამიტომ კერძო საკუთრების პირობებში კერძო მესაკუთრეებს უფრო მეტი ძალა და მოტივაცია აქვთ ერთად დგომისთვის, ვიდრე კოლექტიური საკუთრების პირობებში.

მდიდარი ქვეყანა, სადაც ღარიბი ადამიანები ცხოვრობენ

მითი 19. *საქართველო* ღარიბი ქვეყანაა

ამ მითს ხშირად გავიგებთ საზოგადო საუბრისას. საქართველო ღარიბი რესურსების ქვეყანაა, ჩვენ ნავთობის მქონე მდიდარი ქვეყანა არ ვართ, მხოლოდ წყლის რესური გვაქვს და ამიტომ შეზღუდული რესურსების პირობებში ვერ შევძლებთ მდიდარი ქვეყანა ვიყოთ.

ზოგადად, საზოგადოების მთავარი პრობლემა - ინფორმაციაა. ინფორმაცია რომელიც არ ვიცით ან დამახინჯებული ფორმით არის ჩვენამდე მოსული. ნებისმიერ სფეროში, იქნება ეს ეკონომიკა თუ საზოგადო წეს-ჩვეულებების აღქმა, დაკავშირებულია ინფორმაციულ ნაკლებობასთან.

მსგავს პრობლემას ვაწყდებით, როცა საქართველოს ეროვნულ სიმდიდრეზე ვსაუბრობთ, ერთადერთი, რაც არ იმალება და ზედაპირზე ჩანს, ეს არის წყლის რესურსი, რასაც ფიზიკურად ადამიანებს ვერ დაუმალავ, თუმცა გარდა წყლის დიდი რესურსისა, საქართველო მდიდარი ქვეყანაა თავისი სხვა ეკონომიკური რესურსებით: ურბანული და სასოფლო მიწები, სასარგებლო წიაღისეულის უდიდესი მარაგები, ტყის რესურსი, შენობა-ნაგებობები (ურბანულ ცენტრებში თუ რეგიონებში); ზარალიანი სახელმწიფო საწარმოები. ეს რესურსები არის სახელმწიფო საკუთრებაში, რაც ნიშნავს, რომ ეკონომიკური საქმიანობიდან გა-

მოთიშულია, არ ქმნის ეკონომიკურ დოვლათს და პირიქით, მათი შენახვისათვის უზარმაზარ ფინანსურ რესურსს ხარჯავს.

რეალურად, საქართველო უდიდეს ბუნებრივ რესურსს ფლობს, რომლის კერძო სექტორში გადასვლა, საქართველოს მოქალაქეებისთვის კერძო საკუთრების გადაცემა, გამოიწვევს ადამიანების გამდიდრებას, სახელმწიფო აქტივების ეკონომიკურ გაცოცხლებას, ეკონომიკური დოვლათის შექმნას, მეტი პროდუქციის წარმოებას, მეტი სამუშაო ადგილის გაჩენას ქვეყანაში, კონკურენციის დონის ზრდას, რაც საბოლოო ჯამში მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდაზე აისახება.

თუ რაღა უნდა განვაკერძოვოთ, რაღა დარჩა გასაყიდი, ყველაფერი ხომ ისედაც გაყიდულია საქართველოში, ამ მოსაზრებაზე ცალკე შეგიძლიათ იხილოთ მე-20 მითში.



მითი 20. *რაღა უნდა განვაკერძოვოთ (გავყიდოთ)* **- რაღა დარჩა გასაყიდი? ყველაფერი გაყიდულია**

პირველი, რაც ამ მითზე შეიძლება გაგვახსენდეს, ფრაზებია ერთ-ერთი საიმღერიდან - "თქვენ სიმართლეს გიმალავენ, მოიპოვე სხვა სიმართლე." ჩვენ სწორედ სიმართლის ძიებაში მოვიპოვეთ მონაცემები, რომელიც ამ მითს აშიშვლებს. 31 წლიანი ორომტრიალის, დამოუკიდებლობიდან დღემდე კერძო საკუთების ჩამოყალიბების მცდელობების და აჟიოტაჟის ფონზე, თითქოსდა ლეგიტიმურია, ვიკითხოთ, "რაღა დარჩა გასაყიდი"?

2021 წლის ოფიციალური უწყებებიდან გამოთხოვნილი ინ-ფორმაციით სინამდვილეში, აი, მართლა რა დარჩა:

- **სასოფლო სამეურნეო მიწები (სახნავი,სათიბი, საძოვარი მრავალწლობანი ნარგავები);** სახელმწიფო საკუთრებაში დაზუსტებული 1 115 865 ჰა. და დაუზუსტებელი ფართობი 233 241 ჰა. (218 226 ნაკვეთად/ნაჭრად);
- მუნიციპალურ საკუთრებაში დაზუსტებული ფართობი 163 938 ჰა. და დაუზუსტებელი 13 149 ჰა. (48366 ნაკვეთად/ნაჭრად);

კერძო საკუთრებაშია დაზუსტებული 819 583 ჰა. და დაუზუს-ტებელი 194 644 (2 281 097 ნაკვეთად/ნაჭრად).

<u>ამ მონაცემებით გამოდის 39,92% კერძო საკუთრება და 60,08% ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებად რჩება.</u>

- **არასოსფლო სმეურნეო მიწები შენობით/ნანგრევით ან შე-ნობის გარშე**

  სახელმწიფო საკუთრებაში 2162 703 384 კვ.მ. რაც უდრის 216 270 ჰა-ს (ჯამში 43 109 ნაკვეთად/ნაჭრად/შენობა)

- **ტყის ფონდი 99.9999% სახელმწიფო საკუთრებაში**. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 01/04/ 2021 წელს მოწოდებული ინფორმაციით ტყის ფონდის ფართობი 2 967 200 ჰა. მ.შ. ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის ფონდი შეადგენს 1 993 900 ჰა. (დანარჩენი აფხაზე-თის ა.რ.-ის ტყის ფონდი 369 000 ჰა, აჭარის სატყეო სააგენ-ტოს ტყის ფონდი 150 100 ჰა, დაცული ტერიტორიების ტყის ფონდი 454 200 ჰა.)

სასარგებლო წიაღისეულის 100 % სახელმწიფო საკუთრებაშია.

სახელმწიფო საკუთრებაშია ასევე კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ერევიან საბაზრო ურთიერთობებში და არღვევენ კონკურენციას.

საბაზრო კაპიტალიზმი ეფუძნება კერძო საკუთრებას, სადაც აქტივები კაპიტალიზებულია, დამკვიდრებულია საბაზრო კონკურენციის პირობები, ბაზარი დემონოპოლიზებულია, სახელმწიფო ჩარევა ეკონომიკურ პროცესებში არის მინიმალური, ხოლო კერძო სექტორის (ბიზნესის) წილი შეადგენს მთლიანი ეკონომიკის 50%-ზე მეტს.

საქართველოში ქონების ბაზარზე დომინირებს სახელმწიფო, რომელიც სხვადასხვა ტიპის რეგულაციებით და შეზღუდვებით ეწინააღმდეგება კონკურენტული გარემოს ფორმირებას. მკაფიოდ გამოხატული შემდეგი სოციალიზმისთვის დამახასიათებელი ნიშნები:

- აქტივები სახელმწიფოს მიერ გაიცემა ვადიანი იჯარით;
- მოქმედებს მაღალი გადასახადები;
- უცხოელ ინვესტორებს უწევთ საქმიანი და სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება სახელმწიფოსთან და არა კერძო მესაკუთრეებთან;
- ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო ერთადერთი მომწოდებელია;
- საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა 1000 სულ მოსახლეზე რამდენჯერმე აჭარბებს იგივე მონაცემებს კაპიტალისტურ ქვეყნებში.

პრივატიზაციის დღევანდელი ტემპები კი ძალიან დაბალია და საქართველოს კაპიტალისტურ სახელმწიფოდ ტრანსფორმირებას დასჭირდება რამდენიმე ათეული წელი.

მითი 21. სახელმწიფო ქონების უფასო პრივატიზაცია მხოლოდ მდიდრებს გაამდიდრებს

მოსახლეობაში ფართოდ არის გავრცელებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც პრივატიზება მოსახლეობის მდიდარ ჯგუფს კიდევ უფრო მეტად გაამდიდრებს, ხოლო ღარიბებს კიდევ უფრო მეტად გააღარიბებს. თუმცა აღნიშნული შეხედულება არ შეესაბამება რეალობას იმ შემთხვევაში, თუკი მოხდება პრივატიზება სწორი ფორმით და სამართლიანობის პრინციპების დაცვით. დავიწყოთ იმით, რომ არსებობს, როგორც ფულზე, ასევე უფასო პრივატიზების პრაქტიკა. ფულზე პრივატიზაციის დროს წარმოიქმნება არათანაბარი პირობები, ანუ მოსახლეობის დიდ ნაწილს შეიძლება არ ჰქონდეს რაიმე კონკრეტული საპრივატიზაციო რესურსისთვის საჭირო ფულადი სახსრები და მის შეძენას მხოლოდ შედარებით მდიდარი ადამიანები შეძლებენ. უფასო პრივატიზაციის შემთხვევაში კი აუცილებელია, შეიქმნას საწყისი თანაბარი პირობები, რათა ყველამ შეძლოს პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობა.

იმისთვის, რომ არ მოხდეს ქონების დიდი ნაწილის კონცენტრაცია ადამიანთა ვიწრო წრეში და თითოეულ მოქალაქეს მიეცეს სამეურნეო ნიჭის გამოვლენისა და გამდიდრების შესაძლებლობა, აუცილებელია, განკერძოების პროცესი განხორციელდეს ეტაპობრივად.

განკერძოების პროცესში, უფასო საინვესტიციო ფული (ინვესტი) საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ეძლევა თვეში ერთხელ და ეს პროცესი გრძელდება განკერძოების პროცესის დასრულებამდე. აღნიშნულ პროცესში მოქალაქეები სრულად ჩართულები არიან, ეცნობიან და სწავლობენ სწორი გადაწყვეტილებების მიღებას. თითოეულ თვეს მიღებული ინვესტებით ელექტრონულ აუქციონზე მოქალაქეები ყიდულობენ მიწის ნაკვეთებს ლოტებად, ხოლო სხვა სახელმწიფო რესურსებს - აქციებად, ამ გზით ხდება სახელმწიფო ქონების განკერძოება და ამ უზარმაზარი ქონების დივერსიფიცირება კერძო სუბიექტებს

შორის, აღნიშნული მექანიზმით შეუძლებელი გახდება ქონების გადანაწილებაში უსამართლო დისბალანსის შექმნა. პრივატიზებული ქონებიდან ადამიანებს გაუჩნდებათ მეტი რესურსი და შესაძლებლობები იმისათვის, რომ მოიზიდონ ჯანსაღი ინვესტიციები, აწარმოონ მაღალი ხარისხის საქონელი ან მომსახურება, რაც, თავის მხრივ, გააჩენს უფრო მეტ სამუშაო ადგილს, გაზრდის ეკონომიკის მოცულობას. შესაბამისად, ეკონომიკის განვითარება აისახება ქვეყნის ყველა მოქალაქეზე.

(სრულად უფასო პრივატიზაციის მექანიზმებზე იხილეთ https://bit.ly/33ckY5M)

მითი 22. კაპიტალიზმის პირობებში მდიდარი უფრო მდიდრდება, ღარიბი კი უფრო ღარიბდება

ხშირ შემთხვევაში ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას აბრალებენ საბაზრო ეკონომიკას და კაპიტალიზმს, რაც ასე არ არის, პირველადმა დაკვირვებამ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს და მხოლოდ ზედაპირზე არსებული მდგომარეობა დავინახოთ. ხშირად გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ქვეყნის ეკონომიკა კაპიტალიზმმა დაღუპა, როგორ? საქართველოში არ არის კაპიტალიზმი. კაპიტალიზმის ფუნდამენტური მახასიათებლია კერძო საკუთრება, როცა ქვეყნის ეკონომიკური აქტივების მესაკუთრეები არიან კერძო ფიზიკური/იურიდიული სუბიექტები და მათ შორის, კონკურენციის შედეგად მომხმარებლები იღებენ უკეთესი ხარისხისა და დაბალი ფასის პროდუქციას. საქართველოში ეკონომიკური აქტივების მთავარი მესაკუთრე ჯერ კიდევ სახელმწიფოა, მთავრობის ბალანსზე არსებული კაპიტალი ეკონომიკურად მკვდარია და არ არის ჩართული ეკონომიკურ საქმიანობაში, შესაბამისად ბაზარზე არც კონკურენციის დონეა მაღალი. ხოლო ის რაც კაპიტალიზმად საღდება, არის რეალურად **კრონიკაპიტალიზმი,** ანუ როცა ესა თუ ის ეკონომიკური გადაწყვეტილება მთავრობის წევრების ინტერესებისა და პოლიტიკუ-

რი ლობირების შედეგად მიიღება. ქვეყნის რეალური მმართველობა და მნიშვნელოვანი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება ერთეული სუბიექტების ხელშია.

კაპიტალიზმის დისკრედიტაციისთვის ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად მოჰყავთ ის უსაფუძვლო მითი, რომ თითქოს საბაზრო ეკონომიკის პირობებში მდიდარი უფრო მდიდრდება, ხოლო ღარიბი უფრო მეტად ღარიბდება.

იმისათვის, რომ ამ პათოსის მცდარი წარმოდგენა უფრო ნათელი გავხადოთ, განვიხილოთ ჯინის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენად თანაბრადაა განაწილებული ქვეყნის შიგნით მოქალაქეებს შორის შემოსავალი. ჯინის კოეფიციენტი იზომება 0 დან 1-მდე. 0 ნიშნავს იმას, რომ შემოსავლები სრულად თანაბრად ნაწილდება, ხოლო 1 კი იმას ნიშნავს, რომ შემოსავლები სრულად არათანაბრადაა გადანაწილებული. რაც უფრო უახლოვდება ჯინის კოეფიციენტი 0-ს, შემოსავლებს შორის დიფერენციაცია იკლებს, ცხადია, ,,0'' უტოპიური მაჩვენებელია, საბჭოთა კავშირშიც კი არ არსებობდა ეს მაჩვენებელი, ხოლო საზოგადოდ მიღებულია, რომ აღნიშნული მაჩვენებელი 0,3-ის ფარგლებში არის ოპტიმალური დონე შემოსავლებს შორის თანაბრად გადანაწილებისა. მაგალითად, დღესდღეობით სინგაპური ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში ნომერ პირველი ქვეყანაა, რაც იმას ნიშნავს, ეკონომიკურად ყველაზე თავისუფალი ქვეყანაა, სადაც მაღალია კაპიტალიზმის ხარისხი.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 10 წლიან დინამიკაში სინგაპურის ეკონომიკა იზრდება. 2010 წლიდან 2019 წლამდე სინგაპურში რეალური მშპ (*2017 წლის მუდმივ ფასებში*) ერთ მოსახლეზე გაიზარდა 78,2 ათასი აშშ დოლარიდან 97,3 ათას აშშ დოლარამდე, უმუშევრობის დონე 4,1%-დან შემცირდა 3,1%-მდე. ჯინის კოეფიციენტი 0,4-დან შემცირდა 0,38-მდე.

ხოლო ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში მყოფ მეორე ქვეყანა ახალ ზელანდიაში, 2010 წლიდან 2019 წლამდე რეალური მშპ (*2017 წლის მუდმივ ფასებში*) ერთ მოსახლეზე გაიზარდა

37,8 ათასი აშშ დოლარიდან 43,1 ათას აშშ დოლარამდე. უმუშევრობის დონე 6,7%-დან შემცირდა 4,1%-მდე. ჯინის კოეფიციენტი შემცირდა 2017-2018 წლებში 36,0%-დან 32,5%-მდე.

როგორც ოფიციალური მონაცემებით ვხედავთ, ამ ორ ქვეყანაში, სადაც ყველაზე მაღალია ეკონომიკური თავისუფლება, ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად იზრდება მოსახლეობის ცხოვრების დონე, დაბალ და მაღალ შემოსავლიანი მოსახლეობის შემოსავლები იზრდება, მათ შორის, დიფერენციაცია მცირდება და მცირდება უმუშევრობის მაჩვენებლებიც.

როგორც ვხედავთ, კაპიტალიზმს მოაქვს ეკონომიკური კეთილდღეობა და ის სულაც არ იწვევს მოსახლეობის სოციალურ ფენებს შორის დიფერენციაციას.

ზოგადად კი, ქვეყნების ცხოვრების დონის შედარება ჯინის კოეფიციენტით არ არის მართებული. წარმოიდგინეთ ორი ტიპის ქვეყანა.

თუ A პიროვნების შემოსავალია 1,000 ლარი, ხოლო B პიროვნების 900 ლარი, მათ შემოსავლებს შორის დიფერენციაცია მცირეა, შესაბამისად, ჯინის კოეფიციენტიც დაბალია, ხოლო თუ A პიროვნების შემოსავალია 50,000 ლარი, ხოლო B პიროვნების 10,000 ლარი, ამ დროს ჯინის კოეფიციენტი მაღალია, მაგრამ ამ შემთხვევაში რომელი ვარიანტი უფრო მისაღები იქნება თქვენთვის? აქედან გამომდინარე, მიზანი არა მოსახლეობის შემოსავლებს შორის დიფერენციაციის შემცირება, არამედ შემოსავლების ზრდა და მათი ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევაა.

მაგალითად, ამერიკაში 2018 წელს ჯინის კოეფიციენტი 0.41 იყო, თუმცა მიუხედავად შემოსავლებს შორის შედარებით მაღალი უთანასწორობისა, ჩნდება კითხვა: ამერიკაში მცხოვრები დაბალი სოციალური ფენის ადამიანი და მაგალითად, საქართველოში მცხოვრები დაბალი სოციალური ფენის ადამიანი რომ შევადაროთ, რომლის კეთილდღეობის ხარისხი უფრო მაღალია?

კაპიტალიზმის ერთ-ერთი ღირსება კონკურენციის ცნებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ადამიანს აქვს თანაბარი შესაძლებლობა იმისა, რომ საკუთარი სოციალური მდგომარეობა გაიუმჯობესოს. კონკურენცია ქმნის სტიმულს წინსვლისა და განვითარების. ამ ყველაფერს კი დადებითი გავლენა აქვს ქვეყნის ბიუჯეტზეც. შესაბამისად, რომ რაც უფრო განვითარებულია ბიზნესგარემო, მით უფრო მეტი ფული შედის ბიუჯეტში გადასახადებიდან, შესაძლებელია ეს თანხები სოციალურად ღარიბ ფენას მოხმარდეს.

თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაში რომ მდიდარი უფრო მდიდრდებოდეს, ხოლო ღარიბი უფრო ღარიბდებოდეს, მაშინ მსოფლიოში საშუალო სიცოცხლის ხანგძლივობა ასე არ გაიზრდებოდა. მაგალითად, მე-20 საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში ადამიანების სიცოცხლის საშუალო ხანგძლივობა 34 წელს არ აჭარბებდა, მაშინ, როცა 21-ე საუკუნეში ეს მაჩვენებელი 72 წლამდე გაიზარდა. სიცოცხლის საშუალო ხანგძლივობის ასეთი ტემპით მატება ნიშნავს იმას, რომ კაპიტალიზმის პირობებში, როგორც ღარიბი, ისე მდიდარი ადამიანის ცხოვრების დონე გაიზარდა. ეს ყველაფერი კი განაპირობა ბაზარზე არსებულმა კონკურენციამ და მრავალფეროვნებამ, რომლებიც მსოფლიოს ეკონომიკურ პროცესებს ავითარებენ. მწარმოებლები ქმნიან სამუშაო ადგილებს, ხარისხიან საკვებს, უკეთეს ჯანდაცვას, უკეთეს სოციალურ პირობებს, ცხოვრებისთვის კომფორტულ გარემოს.

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში (და არა კრონიკაპიტალიზმის დროს) მოქალაქის მყიდველობითი უნარი იზრდება, თავისუფალი ეკონომიკის დროს, როგორც მაღალი სოციალური ფენის, ისე დაბალი სოციალური ფენის ადამიანი საკუთარ სოციალურ კეთილდღეობას საყოველთაო გამდიდრების ხარჯზე აუმჯობესებს.



მითი 23. *პრივატიზაციის რეფორმა* შეაფერხებს ეკონომიკის განვითარებას

იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული რესურსები/ქონება ჭარბობს კერძო საკუთრებაში არსებულ რესურსებს/ქონებას, ფაქტობრივად, ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობები მნიშვნელოვნად არის შემცირებული. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული რესურსების უმეტესი წილი არის, სწორედ რომ, აუთვისებელი და გამოუყენებელი რესურსი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკაში რაიმე ღირებულს და სასარგებლოს ვერაფერს ქმნის, უფრო მეტიც, აზარალებს კიდეც (მათ შენახვაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხები იხარჯება). ხოლო ისეთ შემთხვევაში, სადაც ქვეყანაში არსებული რესურსების/ქონების უმეტესი წილი არის კონცენტრირებული კერძო სექტორში, ეკონომიკაში იქმნება გაცილებით უფრო მეტი სარგებელი და დოვლათი. კერძო მესაკუთრე მაქსიმალურად ცდილობს მის ხელში არსებული რესურსების მაქსიმალურად ათვისებას და გამოყენებას იმისათვის, რომ საქმიანობის შედეგად სარგებელი მიიღოს. ეს არის მისი ბუნებრივი ინტერესი და მატერიალურ-ეკონომიკური სტიმული. ამიტომაც, თუ სახელმწიფო მოახდენს მის ხელთ არსებული აუთვისებელი და გამოუყენებელი რესურსების უფასო პრივატიზებას, ეს გამოიწვევს იმას, რომ ქვეყანაში აბსოლუტურად ყველა მოქალაქეს მიუწვდება ხელი განკერძოებულ ქონებაზე და მისგან ექნება სარგებლის მიღების შესაძლებლობა, პრივატიზების შემდეგ შეიძლება იყოს მოსახლეობის ისეთი ჯგუფებიც, რომლებიც არ გეგმავენ და არ აპირებენ აღნი-

შნული რესურსების გამოყენებას, მაგრამ ამ დროს მათ უბრალოდ შეუძლიათ, რომ გაასხვისონ/გააქირაონ მათ ხელთ არსებული რესურსები და ამით გარკვეული სარგებელი მიიღონ. ის მოქალაქეები, რომლებიც განკერძოებული ქონების მესაკუთრეები ხდებიან, უკვე ამ რესურსით და გაცილებით მეტი შესაძლებლობებით ჩაერთვებიან წარმოებაში, რაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას ერთი ორად შეუწყობს ხელს. ასეთ დროს ქვეყანას უფრო მეტი საქონლისა და მომსახურების წარმოების შესაძლებლობა ექნება.



მითი 24. *კერძო საკუთრება* ეწინააღმდეგება მწვანე ეკონომიკის პრინციპებს

1. გარემო, ისევე, როგორც ნებისმიერი სიმდიდრე, უფრო ძვირფასია, როცა მისი გაუმჯობესება მეტადაა ფინანსურად უზრუნველყოფილი, ხოლო ფინასურად უზრუნველყოფის გარანტი ყოველთვის კერძო საკუთრებაა;

2. რაც უფრო მარტივად ხელმისაწვდომია, იაფია და გრძელვადიანია განვითარება-გაუმჯობესებისათვის აუცილებელი და საკმარისი ფინანსური უზრუნველყოფა, ნებისმიერი სიმდიდრე, როგორც წესი, უფრო უმჯობესდება და ძვირდება;

3. ამ მიზნით ყველაზე სასურველი და მოქნილი აქტივები კორუფციული რისკებიდანაც დაცულია. რაც უფრო მაღალი საბაზრო ფასი და ლიკვიდურობა გააჩნია არსებულ სიმდიდრეს, ქონების მესაკუთრეს შეუძლია, თავისი საკუთრების ქვეშ, თვითონვე მოიზიდოს ფინანსები, ცხადია, უფრო იაფად და ხან-

გრძლივი ვადით. ეს შესაძლებლობა კი არ არსებობს, როცა სახელმწიფო მის საკუთრებაში არსებულ ქონებას კერძო პირზე გასცემს ლიცენზიით, იჯარით ან ნებისმიერი დროებითი ფორმით. შესაბამისად, შეზღუდულია გარემოსადმი მათი მეგობრული დამოკიდებულების შესაძლებელობები.

აქ ბევრი ტიპიური მაგალითის მოყვანა შეიძლება მსოფლიო პრაქტიკიდან (როცა საერთო საზოგადოებრივი მწვანე აქტივების ბინძურდება, ხოლო კერძო ნაკვეთები გამწვანებულია და მოვლილი). თუმცა საკუთარ მაგალითზე ყველაზე ნათლად და ხელშესახებად დავინახავთ თუ რამდენად მწვანეა (პირდაპირი გაგებით) კერძო საკუთრება.

აქვე, თბილისის შემოგარენში, შეგვიძლია შევხედოთ ნაკვეთებს: ერთ მხარეს რეკრეაციული და სატყეო ტერიტორიის მასივი, რომელიც კერძო ნაკვეთების მიჯნაზე იწყება და წესით გამწვანებული და მწვანე უნდა იყოს, თუნდაც ფუნქციონალური ზონების სახელწოდებიდან გამომდინარე - "რეკრეაცია და გამწვანება", მაგრამ რეალური სურათი საპირისპიროს გვიჩვენებს - კერძო ნაკვეთები, რომლებიც წლიდან წლამდე მუდმივად მწვანდება, მრავალწლიანი ნარგავებით იფარება (მარადმწვანე და ფოთლოვანი), ხოლო საზოგადო საკუთება (ცენტრალური, მუნიციპალური) კი უფერული ჩალისფერგადაკრული, თვალშისაცემი, დამახასიათებელი ეროზიით იშლებან, ხოლო იქვე, ერთი მტკაველის დაშორებით, ასიმეტრიულად განსხვავებული სურათი იწყება და სიმწვანე გადაიშლება.

თუნდაც აღწერილი რეალობის დასანახად დრო რომ არ დაგვეკარგოს, საკმარისია, შევიდეთ "google"-ში და დავხედოთ ზემოდან რუკის ფუნქციით, ხელის გულივით ნათლად დავინახავთ სურათს, განსაკუთრებით, არაგაზაფხულის პერიოდში (გაზაფხულზე მზრუნველობის გარეშეც ყველაფერი მწვანდება), როდესაც კარგად ეტყობა კერძო მესაკუთრეთა მზრუნველობის კვალი კერძო ნაკვეთებს, შესაძლოა, მართლაც, ათასში ერთი ნაკვეთი გამოერიოს საზოგადოებრივი საკუთრების (სახელმწი-

ფო/მუნიციპალური) მსგავსად გადახრიოკებული, მაგრამ ეს მხოლოდ ათასში ერთია და მხოლოდ მისით მსჯელობა კერძო საკუთრების "არასიმწვანეზე" დიდი შეცდომაა. არადა ზოგჯერ სწორედ ესეთი ერთეულოვანი შემთხვევები უფრო დასამახსოვრებელი და თითის გასაშვერი ხდება და კონტრარგუმენტად მოსაყვანიც, კერძო საკუთრების წინამღდეგ მითიური "არამწვანე", ანუ გარემოსადმი არამეგობრული დამოკიდებულებისა.

ზემოთ აღნიშნული ანალიზი ცხადყოფს, რომ კერძო საკუთრება უფრო მეტ მწვანე შესაძლებელობებს იძლევა, ვიდრე საზოგადო საკუთრება.

/მითზე ვრცელი მჯელობა ასევ შეგიძლიათ იხ. ბმულზე https://bit.ly/3f1dvvP /



მითი 25. ტყე მხოლოდ *სახელმწიფო საკუთრებაშია* დაცული

ისეთ განვითარებულ ქვეყანაში, როგორიც საფრანგეთია, ტყის მთლიანი მასივის 80% არის კერძო საკუთრებაში, ხოლო საქართველოში ტყის მასივის თითქმის 100% არის სახელმწიფო საკუთრება. თუ სათაურში მოყვანილი შეხედულება სიმართლეა, მაშინ ტყე უფრო მეტად უნდა იყოს დაცული საქართველოში, ვიდრე საფრანგეთში. როგორ ფიქრობთ, არის ასე?

ტყის რესურსის განკერძოება არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანამ შეიძლება უარი თქვას ყველა რეგულაციაზე. საქართველოს პირობებში, შესაძლებელია, რეგულაციების ნაწილის დატოვება და ამ აქტივების პრივატიზაცია, რის შემდეგაც შეწყდება მისი განადგურება. თუ დღეს დაახლოებით 5 ათას ჰექტარ ტყის მასივს მხოლოდ ერთი სახელმწიფო მეთვალყურე ჰყავს, მისი განკერძოების შედეგად გაუჩნდება ათასობით მესაკუთრე, რომლებიც

ეცდებიან მის ეფექტიან გამოყენებას. ასეც რომ არ იყოს, რეგულაციების დარღვევის შემთხვევაში სახელმწიფოს ბევრად გაუადვილდება დამრღვევი პირის პოვნა, რადგან მიწებს ეყოლება მესაკუთრე - პასუხისმგებელი პირი.



მითი 26. *ტყე კერძო საკუთრებაში* განადგურდება (ტყეს კერძო მესაკუთრეები გაანადგურებენ)

მესაკუთრის მხრიდან საკუთრებაში არსებული ტყის განადგურების საფრთხე თეორიულადაც არ არსებობს და ამის რამდენიმე მიზეზია:

ა) ეს იქნება საქართველოს ტყის კოდექსით გათვალისწინებული პირობების დარღვევა, რაც გამოიწვევს საჯარიმო სანქციას და ტყეზე უფლების ჩამორთმევას;

ბ) მესაკუთრეს ეკონომიკურ ინტერესებში არ შეიძლება შედიოდეს საკუთარი მუდმივი შემოსავლის წყაროს განადგურება.

ამასთან ერთად, ტყის კერძო საკუთრების შემთხვევაში საერთაშორისო რეკომედაციები და რეგულაციები, რომლებიც ხე-ტყეს და ეკოსისტემას იცავს განადგურებისაგან ჩვეულებრივად იქნება შენარჩუნებული. თუ ტყის ხელყოფა მოხდა მესაკუთრისგან დამოუკიდებლად, ამ შემთხვევაში კანონდარღვევა (მისი ჩამდენი) უფრო ეფექტიანად და სწრაფად გამოვლინდება, ვიდრე მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრების შემთხვევაში. ვინაიდან მესაკუთრე თავად იქნება დაინტერესებული კანონდარღვევის გამოვლენაში, ის თავად შეატყობინებს შესაბამის ორგანოებს მომხდარი უკანონობის ფაქტის შესახებ. ეს ყოველივე ნიშნავს იმას,

რომ მესაკუთრის და სახელმწიფოს ინტერესები სრულ თანხვედრაშია. ამგვარად საკუთრების შემთხვევაში ტყე ორმხრივად არის დაცული.

ეკონომიკური განვითარების პირობებში მესაკუთრეს არანაირი მოტივაცია არ აქვს გაჩეხოს მისი ტყე. რა მიზეზით შეიძლება გაჩეხოს მესაკუთრემ საკუთარი ტყე? პირველ რიგში გასათბობად. მაგრამ, უფასო განკერძოების შედეგად, როდესაც სახელმწიფოს უზარმაზარი ქონება გადავა კერძო საკუთრებაში, ეკონომიკური აქტივები გაცოცხლდება და ის ეკონომიკური კეთილდღეობის მომტანი გახდება მოქალაქეებისათვის. როდესაც, მოსახლეობასთან მისულია გაზი და დენი, როცა მოქალაქეებს აქვთ იმის ეკონომიკური შესაძლებლობა, რომ გადაიხადონ გაზისა და დენის გადასახადი, როცა გაზისა და დენის შეძენა უფრო იაფი უჯდება ვიდრე ხის მოჭრა, სახლამდე მოტანა და დამუშავება, როცა აღნიშნული კომუნალური მომსახურება უფრო კომფორტული და ხარისხიანია ვიდრე შეშის ჩეხვა, როგორ მოიქცევა მესაკუთრე? მაინც გაანადგურებს მის საკუთრებას?

საკუთარი ტყის გაჩეხვის მეორე მიზეზია სამშენებლო მასალების მიღება. პირველ რიგში ყველა ხე და ტყის ყველა მასივი აღნიშნულ ბიზნესს არ ერგება. მეორე, როცა ეს სარფიანი ბიზნესია, როგორ ფიქრობთ, მის მუდმივ, საშვილიშვილო საკუთრებას ერთჯერადად გაანადგურებს და უარს იტყვის შემოსავალზე? ის იზრუნებს ტყის კვლავწარმოებაზე და აღნიშნული ბიზნესის მომგებიან ციკლად ქცევაზე, ამასთან, თუ მესაკუთრეს შესაბამისი უნარ-ჩვევები არ აქვს, აუცილებლად გამოჩდება საქმის მცოდნეები, პარტნიორები, რომლებიც ხედავენ, რომ ამ მესაკუთრის ხელში წარმოება ვერ ვითარდება და რესურსები ნადგურდება, რითაც მათ ბიზნესსაც საფრთხე ემუქრება, ამიტომაც მესაკუთრესთან მიდიან რეკომენდაციებით, რჩევებით, ან თუნდაც წილობრივი მონაწილეობის შეთავაზებით, პირდაპირ ან წილობრივად ერთვებიან ტყის რესურსების წარმოებაში და ტყის ფონდიც გადარჩება, არა მხოლოდ იმიტომ რომ ამ ადამი-

ანებს გარემო უყვართ, არამედ მწვანე გარემოს დაზიანება პირ-დაპირ გამოიწვევს მათი ბიზნესის გაჩერებას.

სხვა შემთხვევაში, მესაკუთრე მის ტყეს იყენებს, რეკრეაციული ან ტურისტული მიზნით, რაც წინაპირობაა იმისა, რომ ტყის ფართობს კიდევ უფრო მეტად მოუვლის და გაუფრთხილდება (არავის სიამოვნებს გაჩეხილ ხეების ფონზე სეირნობა).

ამასთან აღსანიშნავია, რომ სოციალურ-კულტურული ურთი-ერთობების თავისებურებიდან გამომდინარე, ტყის მესაკუთრე-ები ყოველთვის ეცდებიან არ ჩააყენონ ერთმანეთი უხერხულ მდგომარეობაში, არ ხელყონ ერთმანეთის საკუთრება. სახელ-მწიფო ტყეებთან მიმართებაში ანალოგიური მორალური პასუ-ხისმგებლობა ტყის "მჩეხავებს" არ გააჩნიათ.

მითი 27. სტატეგიული ეკონომიკური ობიექტები არ შეიძლება იყოს კერძო საკუთრებაში

„სტრატეგიული" შეიძლება ეწოდოს ისეთ ობიექტს, რომელმაც საომარი მოქმედებების შემთხვევაში შეუფერხებლად უნდა მო-ამარაგოს ქვეყნის შეიარაღებული ძალები საჭირო პროდუქციით და მომსახურებით. ამისათვის აუცილებელია, მოცემული ობი-ექტი ფუნქციონირებდეს გამართულად. მათ შორის რკინიგზა. ამდენად, მისი განკერძოება ხელს შეუწყობს ე.წ. „სტრატეგიული ობიექტების" მიმართ ფორსმაჟორულ სიტუაციაში მოთხოვნი-ლი ძირითადი პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების და-უბრკოლებლად შესრულებას.

კონკრეტულად ვერავინ ახსნის, რა არის ეკონომიკურად სტრა-ტეგიული ობიექტი, რადგან აქტივისთვის ეკონომიკურად სტრატეგიული ობიექტის დეფინიცია არ არსებობს. ნებისმიერი ეკონომიკური აქტივი მაშინ არის დაცული, თუ მას ჰყავს კერძო მესაკუთრეები, რომლებიც ყველაზე ეფექტიანად განკარგავენ და უვლიან თავიანთ კერძო საკუთრებას.

სტრატეგიულ ობიექტად, თეორიულად შეიძლება მოიაზრონ ისეთი აქტივი, რომელიც ერთადერთია ქვეყანაში და ასევე უალტერნატივო მიმწოდებელია ბაზარზე მის მიერ წამოებული პროდუქციისა და/ან მოსახურების. მაგრამ ეს მხოლოდ პირველადი დაკვირვების შედეგია. მაგალითად რკინიგზა ერთადერთია კომპანიაა, მაგრამ ხომ შეიძლება ახალი რკინიგზის გაკეთება, თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში ეს სულაც არ არის შეუძლებელი, მაგრამ თუ რატომ ხდება, ეს დაკავშირებულია მთავრობის ჩარევებთან, მის მონოპოლიასთან, ქვეყნის ეკონომიკური რესურსების მითვისებასა და დაბალ ეკონომიკურ განვითარებასთან. განვითარებული ეკონომიკისა და ფინანსურად ძლიერი მოქალაქეებისა თუ ბიზნესის პირობებში, ძნელია ისეთი ადამიანი იპოვნო, ვისაც, თბილისიდან ბათუმამდე მატარებლით თუნდაც 2 სთ. მგზავრობა არ სურდეს.

აქედან გამომდინარე, რკინიგზა მხოლოდ იმიტომ არის ერთადერთი ობიექტი, რომ მას მთავრობის მონოპოლია იცავს, ხოლო ის არ არის მომსახურების ერთადერთი მიმწოდებელი ბაზარზე, გარდა რკინიგზისა არსებობს, საავტომობილო თუ საჰაერო გადაადგილების შესაძლებლობები.

რკინიგზა სახელმწიფო საკუთრებაშია, რომელიც წლიდან წლამდე ზარალზე გადის. ასე მაგალითად, 2020 წლის 9 თვეში რკინიგზამ 117,7 მილიონი ლარით იზარალა. რადგან, რკინიგზა სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს დაფინანსებას, მმართველებს არ აქვთ მოტივაცია, რომ კომპანიამ ეფექტიანად იმუშაოს. ხშირად ხდება ისეთი ფაქტები, რომ გადამზიდავი კომპანიები, როცა მიდიან რკინიგზის ხელმძღვანელობასთან კონტრაქტის დასადებად, რკინიგზის მესვეურები ამისამართებენ სხვა შუამავალ კომპანიებთან, სადაც პირადი ინტერესებით მოქმედებენ და ეს შემოსავლები აკლდება რკინიგზას. ამასთან, იზრდება გადამზიდავი კომპანიების დანახარჯები და ზოგ შემთხვევაში, უარს ამბობენ კიდეც რკინიგზით სარგებლობაზე.

რა მოხდება თუ რკინიგზა იქნება კერძო საკუთრებაში? პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის, რომ მისი განკერძოების ყველაზე სამართლიანი და ეფექტიანი გზა არის უფასო პრივატიზაცია. შექმნილი სააქციო საზოგადოების ,,საქართველოს რკინიგზა'', აქციები უფასო პრივატიზების შემთვევაში გადადის უამრავი კერძო მესაკუთრის ხელთ, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მხოლოდ მისი წარმატებით. ცოცხლდება რეალურად ის აქტივები, რასაც მსგავსი სახელმწიფო კომპანიები ფლობენ და კაპიტალის ბაზარზე ინტეგრაციით ასეთი ობიექტები, მართლაც, მნიშვნელოვანი ხდება.

რეგულაციები

მითი 28. რეგულაციების გარეშე ეკონომიკური ზრდა არ აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე

მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევასა და ეკონომიკურ ზრდას შორის უარყოფითი კავშირი არსებობს, რა სახითაც არ უნდა განახორციელოს სახელმწიფომ ეკონომიკაში ჩართულობის პოლიტიკა (საგარეო ვაჭრობის, სახელმწიფო მეწარმეობის მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, სახელმწიფო კრედიტები), სახელმწიფოს ჩარევა ზღუდავს ეკონომიკას. ავტორიტარიზმისკენ და დიქტატურისკენ მიდრეკილი სახელმწიფო–სახელისუფლებო მმართველობისა და ადმინისტრირების შემთხვევაში, ეკონომიკური სისტემა ცენტრალიზდება, ის ნებით თუ უნებლიედ ეკონომიკური თავისუფლების წინააღმდეგ მოქმედებს. ამას განაპირობებს მართვის სისტემა, რომელიც ზემოდან ქვემოთაა მიმარ-

თული და ის ნებისმიერ შემთხვევაში, რა დემოკრატიული სარ-ჩულიც არ უნდა დაედოს, მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ ხა-სიათს იძენს.

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის შემთხვევაში ეკონომიკური სისტემა - ქვედა რგოლიდან, რიგითი მომხმარებლებიდან და მწარმოებლებიდან იმართება: მომხმარებელი კარნახობს გამ-ყიდველს, გამყიდველი – მომწოდებლებს, მომწოდებლები – მწარმოებელს და მწარმოებელი აწვდის ბაზარს, მოთხოვნად პროდუქციას. სხვა სისტემებს (სამხედრო მმართველობა, ავტო-რიტარული, სოციალისტური) საბაზრო ეკონომიკის და თავი-სუფალი კერძო ბაზრის საპირისპირო პრინციპები უდევს სა-ფუძვლად.

მ. ფრიდმანის განმარტებით ,,კერძო ბაზარი აბსოლუტურად განსხვავდება სახელმწიფო ბაზრისგან. კერძო ბაზარზე ორი ადამიანი ერთმანეთს შორის ყველა ოპერაციას საკუთარი კეთილდღეობისთვის აწარმოებს ან გარკვეულ ადამიანთა აგენ-ტებს წარმოადგენენ”.

რასაკვირველია, სახელმწიფო ბაზარზეც, ორივე მხარე ზრუნავს საკუთარ კეთილდღეობაზე, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ეს იძ-ლევა საშუალებას სახელმწიფო წარმომადგენლების მხრიდან, პირადი კეთილდღეობის მზრუნველობა გააძლიერონ და ასე წარმოიშობა თავისუფლების და კონკურენციის დამაკნინებელი ელემენტები - კორუფცია და ჩრდილოვანი სფერო ეკონომიკაში.

,,ფ. ნაუმანის ფონდი თავისუფლებისათვის'' და სხვა გამომცემ-ლების, “მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების“, გამოკვლე-ვის შედეგების შედარება ცხოვრების დონის სხვა კრიტერიუმებ-თან და არა მხოლოდ ზრდის ტემპებთან, ასევე, აჩვენებს, რომ მსოფლიოს ყველაზე მეტად თავისუფალ ქვეყნებში სიღარიბის და გაუნათლებლობის პროცენტი უფრო დაბალია, ნაკლებადაა განვითარებული კორუფცია და უფრო მაღალია სიცოცხლის ხანგრძლივობა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური თავისუფლება იძლევა მაღალ, გრძელვადიან, ეკონომიკური ზრდის საშუალებას, ზრდის კეთილდღეობის რესურსებს საზოგადოების ყველა ფენისთვის, თავისუფალი ვაჭრობის პირობებში, გარიგებაში მონაწილე ყველა მხარე მოგებული რჩება. ამგვარად, საზოგადოებრივი კეთილდღეობის საერთო მაჩვენებელიც იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ ერთეულებისთვის ეს მაჩვენებელი მაღალი ტემპით ხასიათდება, ხოლო ზოგისთვის დაბალი ტემპით, კეთილდღეობა მაინც ყველასთვის ზრდადია.

სამწუხაროდ, მსოფლიოში ბოლო დროინდელი ეკონომიკური კრიზისები და გლობალური ეკონომიკური პოლიტიკა მეტწილად ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვისკენაა მიმართული ე.წ. ანტიკრიზისული რეგულატორების გამო.

ბაზარი უნდა იყოს თავისუფალი, სადაც, ერთმანეთს ხვდება მყიდველები და გამყიდველები, ბაზარი არის კონკურენტული და კონკურენციის შედეგად, მოგებული გამოდის მომხმარებელი. როგორც კი, მყიდველსა და გამყიდველს შორის ჩადგება სხვა სუბიექტი და რაიმე ფორმით შეზღუდავს, მათ შორის ეკონომიკურ ურთიერთობას, ეს იწვევს, კონკურენციის დონის შემცირებას და უარყოფით ეკონომიკურ ეფექტებს.

სახელმწიფო რეგულაციის უარყოფითი შედეგის მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ ალ კაპონე. მშრალი კანონის პერიოდი, ანუ სახელმწიფო რეგულაციის შედეგად, ალ კაპონემ არალეგალური ალკოჰოლური სასმელით ვაჭრობა, დამატებით ფულის შოვნის შესაძლებლობად აქცია და მძლავრი მაფია შექმნა.



მითი 29. სახელმწიფომ ბაზარზე ფასები უნდა აკონტროლოს - პროდუქტები რომ არ გაუძვირდეს ხალხს

საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომლის მიხედვითაც, თუ სახელმწიფო, პროდუქტებზე ფასების კონტროლს დაიწყებს, ეს დადებითად იმოქმედებს მომხმარებლის ბიუჯეტზე და ხელს შეუწყობს სტაბილურ ეკონომიკურ გარემოს. სინამდვილეში, ფასების რეგულირების ეფექტიანობა არის მითი და ის ბაზარზე, საქონლის დეფიციტს ქმნის, რაც მომხმარებლის კეთილდღეობას აუარესებს. ამ აზრის გასამყარებლად მოვიყვანოთ შესაბამისი მაგალითი:

ავიღოთ ისეთი პროდუქტი, როგორიც არის ხორცი. ვთქვათ, ბაზარზე კილოგრამი ხორცი იყიდება 15 ლარად. წარმოვიდგინოთ, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში ხორცზე მოთხოვნა გაიზარდა. ცხადია, ხორცი ბაზარზე არის შეზღუდული რაოდენობით. შესაბამისად, როცა ხორცზე მოთხოვნა იზრდება მისი ფასიც ბუნებრივად უნდა გაიზარდოს. მაღალი ფასი კი, სიგნალი იქნება სხვა ბიზნეს სუბიექტებისთვის, რათა მათ დაიწყონ ხორცის წარმოება/მიწოდება. აქედან გამომდინარე, როცა სხვა ბიზნეს სუბიექტებიც იწყებენ ხორცის წარმოებას, ამ პროდუქტის მიწოდება ბაზარზე იზრდება, რაც ფასებს შემცირებისკენ უბიძგებს.

თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა დაიწყებს ფასის რეგულირებას, მაშინ, ხორცზე გაზრდილი მოთხოვნის პირობებში გამყიდველს არ ექნება უფლება, რომ მისი ფასი გაზარდოს. შესაბამისად, მაღალი მთხოვნის დროს ყველას მოუნდება აღნიშნული პროდუქტი ძველ ფასად ანუ შედარებით იაფად შეიძი-

ნოს. თუმცა, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ხორცის რაოდენობა ბაზარზე შეზღუდულია, რის გამოც გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება ვერ მოხდება. აქედან გამომდინარე, ბაზარზე წარმოიქმნება *დეფიციტი* და შესაძლოა მოხმარებელთა იმ ნაწილმა, რომელთათვისაც ხორცი მნიშვნელოვანი და ღირებულია, ეს პროდუქტი ვერ შეიძინოს.

რა შევუკვეთეთ და
რა ჩამოგვივიდა

გარდა ამისა, არსებობს მეორე შემთხვევაც. ვთქვათ, საქონლის მოვლის ხარჯები გაიზარდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ხორცის წარმოების ღირებულება იზრდება. მეწარმე, გაზრდილი დანახარჯების პირობებში, იძულებული იქნება, რომ ხორცი უფრო ძვირად გაყიდოს, რათა ზარალზე არ გავიდეს. თუ სახელმწიფო ამ შემთხვევაში მას აუკრძალავს ხორცის ფასის ზრდას, ბაზარზე მივიღებთ დეფიციტს, რადგან არც ერთ მეწარმეს არ ექნება სტიმული წაგებაზე, ან თუნდაც მოგების მცირე მარჟაზე იმუშაოს. ადგილობრივ დონეზე, მესაქონლეობას სულ უფრო ნაკლები ფერმერი მოისურვებს, დაბალი მომგებიანობის გამო, რაც დაზარალებს დარგს და მოსახლეობას. ამ მაგალითიდანაც კარგად ჩანს, რომ ერთი შეხედვით მოსახლეობაზე **„ზრუნვის“** მოტივით განხორციელებული რეგულირების პოლიტიკა, სინამდვილეში ისევ და ისევ, მოსახლეობასა და მთლიანად ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება.



მითი 30. *თავისუფალი,* არარეგულირებადი ეკონომიკა ხელს უწყობს მონოპოლიების შექმნას

თავისი არსით, მონოპოლია სასაქონლო ბაზრის ის მდგომარეობაა, როდესაც პროდუქციის მიმწოდებელი მხოლოდ ერთ ან რამდენიმე ფირმაა. როდესაც ბაზარი მონოპოლიზირებულია, აქ ჩნდება ბევრი საფრთხე, მაგალითად, მონოპოლისტს შეუძლია თავის საქონელზე ფასი გაზარდოს, ან მისი ხარისხი გააუარესოს. შესაბამისად, მონოპოლიის პირობებში ეკონომიკის ყველაზე დიდი ჯგუფი, ანუ მომხმარებელი ზარალდება.

სამწუხაროდ, მონოპოლიების შექმნას, მემარცხენეები თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას მიაწერენ. მათი აზრით, სწორედ საბაზრო ეკონომიკის ბუნებრივი შედეგია მონოპოლიების შექმნა. თუმცა ასეთი კრიტიკის დროს ნათელია, რომ ამ ადამიანებმა არ იციან, რას ნიშნავს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, მთლიანად კონკურენციაზეა დაფუძნებული, სწორედ ესაა კაპიტალიზმის ეკონომიკური ეფექტი, რომ კომპანიები ერთმანეთთან კონკურენციაში არიან და ცდილობენ მაქსიმალურად ხარისხიანი საქონელი და მომსახურება შექმნან, რათა მეტი მომხმარებელი მოიზიდონ. შესაბამისად, ეს სისტემა პირიქით, ხელს უწყობს კეთილდღეობის ზრდას. ჩნდება ლოგიკური კითხვა, თუ კაპიტალიზმი არაფერ შუაშია მაშინ ვინ ქმნის მონოპოლიებს?

კითხვაზე პასუხის გასაცემად ორი შემთხვევა უნდა განვიხილოთ, კერძოდ, „ხელოვნური“ და „ბუნებრივი“ მონოპოლიები.

ხელოვნური მონოპოლიების გაჩენა, მთავრობის მიერ ეკონომიკაში უხეშ ჩარევას უკავშირდება. ამ დროს, მთავრობა ამა თუ იმ ბაზარზე შესასვლელად, მთელ რიგ კომპანიებს უწესებს ხელოვნურ ბარიერებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბაზარზე შესვლას ბევრი კომპანია ვერ ახერხებს, შესაბამისად,ვხვდებით ნაკლებ კონკურენციას, რის გამოც მონოპოლიის წარმოშობის საფრთხე უფრო რეალური ხდება.

თავისუფალ ეკონომიკაში მთავრობის ჩარევა და გარკვეული ბარიერების დაწესება, საბოლოო ჯამში, მოსახლეობას აზარალებს, რადგან ერთეულ კომპანიას საშუალებას აძლევს, მონოპოლისტები გახდნენ.

ხელოვნური მონოპოლიები წარმოიქმნება მთავრობის წრეებთან დაახლოებული ბიზნესების შედეგად, როდესაც, ცალკეული სუბიექტები სარგებლობენ პრივილეგიებით და იყენებენ პოლიტიკურ გავლენებს.

ბუნებრივი მონოპოლია შედარებით განსხვავებულია. წარმოიდგინეთ, რომ ბაზარზე არის კონკურენცია, ანუ ბევრი კომპანია არსებობს, რომელიც აწარმოებს იდენტურ პრუდუქტებს. იმ შემთხვევაში, თუ ერთი კომპანია აღმოჩნდა უფრო მეტად ეფექტიანი და მოახერხა მაღალი ხარისხის საქონელი, ბაზარზე დაბალ ფასად გაეყიდათ, მაშინ მას აქვს უპირატესობა კონკურენტებთან, რის გამოც ბაზრის დიდი წილი სწორედ ამ ეფექტიანი კომპანიის ხელში აღოჩნდება. ანუ გამოდის, რომ ამ კომპანიამ თავისი ეფექტურობის ხარჯზე მიაღწია მონოპოლიას. თუმცა აქ საგანგაშო არაფერია, პირიქით, მოსახლეობისთვის ეს კარგია, რადგან მათ შესაძლებლობა აქვთ მაღალი ხარისხის პროდუქტი შეიძინონ იაფად. აქედან გამომდინარე, როდესაც მონოპოლიებს ვაკრიტიკებთ, ჩვენ პირველ რიგში, სწორედ მთავრობის მიერ ხელოვნურად გამოწვეულ მონოპოლიებზე უნდა ვისაუბროთ და რეალუად, ამ შემთხვევაში, კაპიტალიზმი დამნაშავე არ არის.



მითი 31. "მითია, რომ სახელმწიფო რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ჩაერიოს ეკონომიკაში"

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით (ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ) რეგულირებად სფეროებად აღიარებულია მხოლოდ: ავტობუსებით, მიწისზედა და მიწისქვეშა ელექტრო ტრანსპორტით სამგზავრო გადაყვანა, დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურება, რიყე-ნარიყალას საბაგირო სამგზავრო გადაყვანა. იგივე უფლებები ვრცელდება მუნიციპალიტეტებზე.

კანონი, სხვა რეგულირებების შესახებ არაფერს გვეუბნება. თუმცა, რეალობა სხვაა. სახელმწიფო:

- ✓ ადგენს ტარიფებს;
- ✓ აწესებს ფასებს;
- ✓ განსაზღვრავს პრიორიტეტებს;
- ✓ აწესებს რეგულაციებს კერძო საბანკო სექტორისთვის;
- ✓ წარმოადგენს მონოპოლისტს, ბაზარზე სახელმწიფო ქონების მიწოდების მხრივ;
- ✓ სახელმწიფო კომპანიები, რომლებიც უკონკურენტოები არიან და უწყვეტად ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან;
- ✓ გადაწყვეტილებებს იღებს იმპერატიულად, ხშირ შემთხვევაში კერძო სექტორის საზიანოდ.

ზოგადად, რეგულირება არის ტვირთი კერძო სექტორისთვის და უხეშად არღვევს სამართლიანი, კონკურენტული გარემოს პრინციპებს, რადგან კოლოსალური რესურსების მფლობელი,

სახელმწიფო ბაზარზე რჩება კერძო სექტორის კონკურენტის რანგში, თავად აწესებს თამაშის წესებს და საკუთარი ინტერესებით ეჯახება ბიზნესს.

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში ჩარევა, ხშირ შემთხვევაში უკავშირდება პოლიტიკურ ინტერესებს, იმ კომპანიების ხელშეწყობას, რომელიც დაახლოებულია ხელისუფლებასთან და ა.შ. შედეგად, მთავრობის მხრიდან მისი ფავორიტი კომპანიების ლობირება აფერხებს ბაზარზე კონკურენციას და იწვევს ეკონომიკური აქტივობების შეზღუდვას.

რაც მეტია ტვირთი (ზეწოლა სახელმწიფოსგან), მით უფრო ნელი ტემპით ვითარდება კერძო სექტორი, მით უფრო უუნაროა ის. ტვირთის შემსუბუქება არის გარანტი, სწრაფი ეკონომიკური განვითარებისა - ბევრად უფრო სწრაფად ვითარდება კერძო სექტორი, იზრდება ხელფასები და ქვეყნის ბიუჯეტი, მაღალი ტემპით მდიდრდება მოქალაქეც და სახელმწიფოც.

მითი 32. ადგილობრივი წარმოების დაცვის მიზნით უნდა შეიზღუდოს უცხოური ბიზნესის/საქონლის შემოსვლა

ხშირად ისმის ასეთი მოსაზრება: "გავზარდოთ საბაჟო გადასახადები, არ შემოვუშვათ უცხოური პროდუქცია და მხოლოდ ადგილობრივი ნაწარმი გავყიდოთ". სამეცნიერო ენაზე ამგვარ მიდგომას პროტექციონიზმი ეწოდება, ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ნეგატიურ პროტექციონიზმთან. სირთულე მდგომარეობს არა იმაში, რომ "უცხოური პროდუქცია არ გვინდა", არამედ იმაში, რომ თავად ჩვენ ვერ ვაწარმოებთ უფრო ხარისხიან პროდუქციას უფრო მისაღებ ფასში. სხვა სახელმწიფოებთან ეკონომიკური ურთიერთობების შეზღუდვა, ავტომატურად შეზღუდავს ჩვენივე ნაწარმის ექსპორტს უცხოეთში, რადგან ამოქმედდება უკუგების ნეგატიური პრინციპი. ასეთ შემთხვევებში, უფ-

რო მეტად ზარალდება ის მხარე, ვისაც სხვაზე უფრო დაბალი იმუნიტეტი გააჩნია პრობლემების მიმართ.

ზარალში იგულისხმება იმპორტირებული პროდუქციის გაძვირება, ხოლო ადგილობრივი ნაწარმის და ვალუტის გაუფასურება. ასეთ მდგომარეობაში ხანგრძლივად ყოფნის გამო, შიდა ეკონომიკური სივრცე სრულიად დაუცველი ხდება გლობალური საფრთხეების წინაშე, რითაც სავსებით შეუძლია ისარგებლოს ნებისმიერმა არაკეთილმოსურნე ქვეყანამ.

ამდენად, ახალი პრობლემების შექმნით, შეუძლებელია ძველი პრობლემების გადაჭრა, პირიქით, მათ მხოლოდ გავამრავლებთ.

ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერისთვის, ან ხარისხზე და ვითომ მოსახლეობაზე ზრუნვით არ უნდა მოხდეს იმპორტის შეზღუდვა და ამით მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის გაუარესება. ხშირად გავიგებთ, ასეთ საუბარს, უხარისხო პროდუქტი შემოდის ქვეყანაში, ან იმპორტირებულმა პროდუქტებმა წაგვლეკა და ამიტომ ადგილობრივი წარმოების მხარდასაჭერად შევზღუდოთ იმპორტი, რაც არის შეცდომა და მოსახლეობის წინაშე დანაშაული!

დაბალ ფასიანი, იმპორტირებული პროდუქტი უფრო მეტად იმიტომ იყიდება, რომ მოსახლეობას შემოსავლები არ აქვს და ღარიბია, თორემ ნატურალური პროდუქტის მირთმევა ყველას სურს, თუმცა ამის შესაძლებლობა არ გვაქვს. იმპორტის ნებისმიერი ფორმით შეზღუდვა, პროდუქტის დეფიციტს, ფასის ზრდას, არჩევანის თავისუფლების შეზღუდვასა და მოსახლეობის კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნას გამოიწვევს.

იმპორტის აკრძალვა, ადგილობრივ წარმოებას ვერანაირად ვერ დაეხმარება, რადგან მას ისევ ის წარმოების საშუალებები და ისევ ის რესურსები ექნება და შესაბამისად წარმოების განვითარების პერსპექტივა არ აქვს, სამაგიეროდ როცა ადგილობრივი

ბაზრიდან იაფიანი პროდუქტი გაქრება პირიქით, ბევრს სტიმულს გაუჩენს რომ ფასები გაზარდონ.

რეალურად, სახელმწიფოს ჩარევებისა და შეზღუდვების გარეშე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორს დიდი პოტენციალი აქვს დაბალი თვითღირებულებით აწარმოოს პროდუქტები და კონკურენტული გახდეს იმპორტირებულ პროდუქტებთან მიმართებით.

ამ პოტენციალს კი სახელმწიფო კლავს. სასოფლო მიწების დაახლოებით 60%-ის მფლობელი სახელმწიფოა, რაც ერთის მხრივ ნიშნავს, რომ ამ რესურსებს არ იყენებს, ხოლო მეორე ჭარბად აწვდის მიწის ბაზარს, ანუ მთავარი გამყიდველი თავად არის, იაფად ყიდის (ან 1 ლარად ჩუქნის) და ამით კერძო მიწების ფასსაც დაბლა წევს (როცა მიწის ყიდვაზე მიდგება საქმე, მყიდველი ცხადია სახელმწიფოსგან ცდილობს იაფად იყიდოს და ის გარიგებას აღარ დებს კერძო სუბიექტთან), ასევე დაბალი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის დაბალი მყიდველუნარიანობის გამო მიწის ყიდვაზეც დაბალი მოთხოვნაა, რაც იწვევს მიწის ფასის შემცირებას. ის, რომ მიწას დაბალი ფასი აქვს, მისი მესაკუთრე ვერ ახდენს დაბალი ღირებულების მიწის უზრუნველყოფით დამატებითი ფინანსების მოძიებას და უსახსრობის გამო, ვერც თანამედროვე ტექნოლოგიებს ყიდულობს და ვერც სხვა საშუალებებს. ამიტომაც ვერ ვითარდება სოფლის მეურნეობა.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შემთხვევაშიც კი, იმპორტი არ უნდა შეიზღუდოს! იმპორტი არ არის ცუდი, ცუდია შენი წარმოება რომ ვერ ვითარდება, სხვა შემთხვევაში, იმპორტის შეზღუდვა არჩევანის თავისუფლებას უკარგავს შენს მოქალაქეებს!

არსებობს ასეთი ეკონომიკურად მცდარი მიდგომა -ადგილობრივი მწარმოებლების დასაცავად და საერთაშორისო მწარმოებლებისთვის კონკურენციის გაწევის უზრუნველსაყოფად პროტექციონიზმი დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე.

პროტექციონიზმი არის სხვა ქვეყნებიდან იმპორტის შეზღუდვის ეკონომიკური პოლიტიკა, ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა ტარიფების შემოღება იმპორტირებულ საქონელზე, ქვოტები და სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო რეგულაციები, რომლებიც ხელოვნურად შექმნილი ბარიერებია და ემსახურება მიზანს, რომ ხელოვნურად გაზრდილმა ფასმა, იმპორტიორებს ვაჭრობის მოტივაცია დაუქვეითოს ან გაზარდონ ფასი წარმოებული პროდუქციის ერთეულზე.

ჩვენთვის მეტად საინტერესოა ის ზიანი, რაც ამ ეკონომიკურ პოლიტიკას მოაქვს მთლიანად საზოგადოებისთვის. კერძოდ, მსგავსი ხელოვნური ბარიერები აზარალებს ადგილობრივ მომხმარებლებს, რადგან მათ ეზღუდებათ არჩევანის საშუალება და უწევთ კონკურენციის შეზღუდვის ხარჯზე დადგენილი, შედარებით მაღალი ფასის გადახდა. შედეგად, მომხმარებლებს უმცირდებათ მყიდველობითი უნარი და მცირდება მათი დანაზოგები, რაც შემდგომ უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე.

ეკონომიკური სტიმულები და ანტისტიმულები



მითი 33. გადასახადის ზრდა და დიდი ბიუჯეტი მოსახლეობის კეთილდღეობას ემსახურება

ამ მოსაზრების მომხრეები ხაზს უსვამენ, რომ რაც უფრო დიდი იქნება სახელმწიფო ბიუჯეტი, მთავრობას მით უფრო მეტი ფული ექნება, რომ დაეხმაროს დაბალშემოსავლიან ადამიანებს,

დაეხმაროს იმ სექტორებს, რომელსაც ყველაზე მეტად სჭირდება დახმარება და ეკონომიკურ სტიმულირებას შეუწყონ ხელი. მაგრამ ეს შეხედულება არის მხოლოდ და მხოლოდ კეთილი სურვილი და პრაქტიკაში ვიღებთ საპირისპირო შედეგს.

რა არის სახელმწიფო ბიუჯეტი? როგორ ივსება ბიუჯეტი? ბიუჯეტის შემოსულობებია გადასახადები, საგარეო და საშინაო ვალი, პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები, სესხები და გრანტები. მათგან, როგორც წესი, ყველაზე მეტი წილი (დაახლოებით 75%) მოდის გადასახადებზე. გამოდის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ¾-ს ვავსებთ ჩვენ, გადასახადის გადამხდელები.

რაც უფრო დიდია ბიუჯეტი, პრაქტიკულად ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უფრო მეტი ფული ამოიღო ბიზნესიდან და მოქალაქეებიდან, ანუ, ბიზნესს წაართვა ფული, რომელიც სხვა ბიზნეს საქმიანობის განვითარებას შეიძლება მოხმარებოდა, ანუ წაართვა მეტად განვითარების პერსპექტივა, ხოლო მოქალაქეებს წაართვა ფული და გააღარიბა. როგორ ფიქრობთ, ეს ამოღებული ფული ღარიბებს დაურიგა ან ამით ეკონომიკის სექტორებს დაეხმარა? გადასახადის გადამხდელებიდან ამოღებული ფულის მხოლოდ მცირე ნაწილს უნაწილებს ღარიბებს, სამაგიეროდ, ზრდის სამთავრობო ხარჯებს, ტენდერებში ყიდულობენ ძვირიან ავტომობილებს და ა.შ. ზოგჯერ ისეთ პროექტებსაც აფინანსებს, როგორიც არის, მაგალითად, სკოლებში მწვანე ვაშლის დარიგება, ქართული მთის ღორის პროგრამა. ასევე, მეტია კორუფციის რისკები, რომ ტენდერებსა და პროექტებში ფული დაიხარჯოს არაეფექტიანად.

რა მოხდება, თუ მცირე ბიუჯეტი გვექნება? შემცირდება საგადასახადო ტვირთი. მოქალაქე ბიუჯეტში გადაიხდის ნაკლებს, შესაბამისად, მას მეტი ფული რჩება, იზრდება მისი ინდივიდუალური კეთილდღეობა, ასევე ის უფრო უფრო მეტს დახარჯავს, რაც ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკაში უფრო მეტი ფული დარჩება. რაც უფრო მეტი ფული დარჩება მოქალაქეს, ის მეტად ეფექტიანად დაეხმარება მისი ოჯახის წევრებს, ვიდრე მთავრობა.

ასევე, როცა ბიზნესს გადასახადი უმცირდება, მას უფრო მეტი მოგება რჩება, რაც ნიშნავს, რომ ის ამ ფულს მოახმარს ბიზნესის განვითარებას, რაც უფრო მეტად განავითარებს ბიზნესს, მით მეტ პროდუქციას გამოუშვებს ბაზარზე (შექმნის პროდუქციის ჭარბ მიწოდებას), გაზრდილი წარმოების პირობებში დასჭირდება მეტი დასაქმებული, რაც ნიშნავს დასაქმების დონის ზრდას.

ასევე, როცა ბიუჯეტი მცირეა, მთავრობა იძულებული იქნება მოახდინოს ხარჯვის ოპტიმიზაცია, პირველ რიგში, დააფინანსოს სოციალური უზრუნველყოფა და ფინანსები მიმართოს ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისკენ. სახელმწიფოს ყველაზე მეტად საჭირო მიმართულებების დაფინანსების შემდეგ, მთავრობას აღარ რჩება ფული დააფინანსოს არაპრიორიტეტული მიმართულებები, აღარ დააფინანსოს არაეფექტიანი პროგრამები და არ გამოიყენოს ბიუჯეტი, კორუფციისა და სახელმწიფო ფინანსების გაფლანგვისათვის.

მთავრობა, მისი გატარებული პოლიტიკით ჯერ ადამიანებს აღარიბებს, შემდეგ ღარიბებზე ზრუნვას იწყებს იმ ადამიანებისგან წართმეული ფულით, რომლებმაც მთავრობის პოლიტიკას გაუძლეს და შედარებით მაღალი შემოსავლები შემორჩათ, ბოლოს კი დაბალ შემოსავლიან ადამიანებსაც ვერ ეხმარება.

მითი 34. პროგრესული გადასახადები ქვეყნის ეკონომიკას აუმჯობესებს

არსებობს სამი ტიპის საგადასახადო განაკვეთი: რეგრესული, პროპორციული და პროგრესული.

რეგრესული გადასახადი ნიშნავს, რაც უფრო მეტი შემოსავალი გაქვს, მით უფრო ნაკლები %-ით იბეგრება შენი შემოსავალი.

პროპორციული გადასახადი ნიშნავს, რომ ყველა შემოსავალი ერთნაირი %-ული განაკვეთით იბეგრება. (საქართველოში გვაქვს პროპორციული საგადასახადო განაკვეთი).

პროგრესული გადასახადი ნიშნავს, რაც უფრო მეტი შემოსავალი გაქვს მით უფრო მეტი %-ით იბეგრება შენი შემოსავალი. ვთქვათ თუ პროპორციული სისტემის

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, თითქოს პროგრესული გადასახადები ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას აუმჯობესებს. პროგრესული გადასახადი ნიშნავს, რომ რაც უფრო მეტი შემოსავალი აქვს დასაქმებულს იგი უფრო მეტი პროცენტით უნდა დაიბეგროს. შესაბამისად, მაღალი შემოსავლების მქონე პირები უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით იბეგრებიან და მეტი ფული შეაქვთ ბიუჯეტში, რომელიც წესით ეკონომიკის მოწყვლად ჯგუფებზე უნდა განაწილდეს. თუმცა, პროგრესული გადასახადები ქვეყნის ეკონომიკას კი არ აუმჯობესებს, არამედ ხელს უშლის მის ზრდას, რაც ისევ და ისევ მოსახლეობის კეთილდღეობაზე უარყოფითად იასახება.

ადამიანებს, რომლებსაც აქვთ მაღალი შემოსავლები, შეუძლიათ, რომ თანხების დიდი ნაწილი დაზოგონ. ეკონომიკისთვის კი დანაზოგი მნიშვნელოვანია, რადგან იგი პოტენციურ ინვესტიციას წარმოადგენს. შესაბამისად, მაღალი დანაზოგები ახალ ინვესტიციებს ნიშნავს, რაც ისევ და ისევ ხელს უწყობს სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზრდას და უმუშევრობის შემცირებას.

გარდა ამისა, პროგრესულმა საგადასახადო წნეხმა, შესაძლოა, შეცვალოს ადამინების სტიმულები, კერძოდ არის შანსი, რომ მდიდარმა ადამიანმა საქმიანობა სხვა ქვეყანაში გააგრძელოს, რათა ნაკლები გადასახადი გადაიხადოს და ამით უფრო მეტი ფული დაიტოვოს ჯიბეში. ამის მაგალითია, ცნობილი ფრანგი მსახიობი ჟერარდ დეპარტიე, რომელმაც მაღალი გადასახადებისგან თავის არიდების მიზნით საფრანგეთი დატოვა და რუსეთში წავიდა. ცხადია ისეთი ადამიანების ქვეყნიდან გასვლა,

რომლებსაც მაღალი შემოსავალი აქვთ დარტყმა იქნება ბიუჯეტისთვის.

მაგალითად, პროგრესული გადასახადის დროს: 1000 ლარის შემოსავლის მქონე ადამიანი ბიუჯეტში თუ იხდის 20%-ს, ის გადაიხდის 200 ლარს, ხოლო 1 მლნ ლარის შემოსავლის შემთხვევაში მან უფრო მეტი უნდა გადაიხადოს (50%ან70%), ანუ ნახევარ მილიონზე მეტის გადახდა უწევს.

პროპორციული საგადასახადო განაკვეთის შემთხვევაში (პირობითად 20%), 1 000 ლარის მქონე 200 ლარს იხდის, ხოლო 1 მილიონის მქონე 200 000 ლარს, ანუ პროპორციული

საგადასახადო განაკვეთის პირობებში მეორე ადამიანს მოცულობით მაინც მეტი თანხა შეაქვს ბიუჯეტში ვიდრე პირველს.

შედეგად პროგრესული გადასახადის დროს:

- ამცირებს ადამიანის სტიმულს, მეტი შემოსავალი მიიღოს (არადა თითოეული მოქალაქის გამდიდრება არის პრიორიტეტული);
- სტიმულს აჩენს, რომ მაღალი შემოსავლის მქონე ადამიანმა დამალოს შემოსავლები;
- სტიმულს აჩენს, რომ მაღალი შემოსავლების მქონე ადამიანმა დატოვოს ქვეყანა და სხვაგან წავიდეს თავისი კაპიტალი, რაც ქვეყნიდან კაპიტალის გადინებას შეუწყობს ხელს;
- რაც უფრო მეტს იხდის ბიუჯეტში, მით უფრო ნაკლები რჩება პირადი მოგების სახით, რის შედეგადაც ვერ ავითარებს ბიზნესს, ვერ ასაქმებს სხვა ადამიანებს, მეტი შემოსავლის პირობებში ის ვერ ხარჯავს ეკონომიკაში და აკლდება ეკონომიკას;
- ვერ აკეთებს მეტ დანაზოგს, რაც შემდგომი ინვესტირების შესაძლებლობებს ამცირებს;
- ამ ნეგატიური შედეგების ფონზე, მცირდება ეკონომიკური აქტივობა, ბიუჯეტშიც ნაკლები შედის, ხოლო სხვა

საბიუჯეტო სახსრები არამიზნობრივად იხარჯება მთავრობის მიერ.

ადამიანი არ უნდა იბეგრებოდეს სხვებზე მეტად მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო წარმატებულია, რაც მეტი წარმატებული, მდიდარი და ეკონომიკურად ძლიერი მოქალაქე ეყოლება ქვეყანას, მით მეტად გაიზრდება ეკონომიკური აქტივობა, მით უფრო მეტი დაიხარჯება ეკონომიკაში, მით უფრო მეტი ბიზნესი გაჩნდება და მეტი ადამიანი დასაქმდება.

მითი 35. ცენტრალიზებული მმართველობა ეფექტურია

ცენტრალიზებული მმართველობის დროს გადაწყვეტილებები მიიღება ერთპიროვნულად. გადაწყვეტილებების მიმღები ვერ იქნება კომპეტენტური ყველა სფეროში, შესაბამისად, შეცდომების დაშვების ალბათობა მაღალია. სწორედ ამ მიზეზით ახლად დამკვიდრებული ერთმმართველი საწყის პერიოდში ცდილობს წინა ხელისუფალთან მიმართებაში საკუთარი უპირატესობის დემონსტრირებას, იღებს ერთპიროვნულ, ნაჩქარევ ან გარკვეული ინტერესებით ნაკარნახევ გადაწყვეტილებებს. ამას შედეგად მოაქვს უამრავი დაშვებული შეცდომა. დროთა განმავლობაში შეცდომების რაოდენობა სულ უფრო ხშირად აჭარბებს წარმატებათა რაოდენობას. შეცდომების დასაფარავად მმართველი იწყებს ძალაუფლების საკუთარ ხელში კონცენტრირებას, დიქტატორული რეჟიმის ჩამოყალიბებას და ყველა წარუმატებლობაში ოპონენტების დადანაშაულებას. ასე იქმნება მტრის ხატი. რაც უფრო დიდხანს გრძელდება დიქტატორის მმართველობა, მით უფრო სასტიკი ხდება რეჟიმი. საბოლოოდ ის კარგავს პარტნიორი ქვეყნების ნდობას, ექცევა პოლიტიკურ იზოლაციაში და ქვეყნის ეკონომიკა იწყებს რეგრესირებას.

დემოკრატიულ და ცენტრალიზებულ მმართველობათა ეფექტურობის შედარება ადვილად შესაძლებელია ორი კორეის მა-

გალითზე, სადაც დემოკრატიული, კაპიტალისტური სამხრეთ კორეა მრავალჯერ უსწრებს სრულიად საპირისპირო პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის მქონე ჩრდილოეთ კორეას.

ცენტრალიზებული მმართველობის დროს ბრძანება გადაეცემა ცენტრიდან მის დაქვემდებარებულ ორგანოებს, ყოველი უწყება ანგარიშვალდებულია მასზე ზემდგომთან, ყოველი უწყება ინფორმაციებსა და დოკუმენტაციებს იღებს ანალოგიური მიმართულებით მომუშავე უწყებებისგან, აღნიშნული პროცესი კი დროში იწელება, ინფორმაციის დაზუსტება, დამოწმება, უწყებების ხელმძღვანელთა ურთიერთობები და რიგ შემთხვევაში, მათი ზერელე დამოკიდებულება საქმისადმი, შესაბამისად, ყოველი დაგეგმილი პროექტი და საქმიანი გადაწყვეტა დროშია გაწელილი. ბიუროკრატიული ბარიერები აფერხებს საქმის დროულად და ეფექტიანად შესრულებას. მაგ; როცა ერთი უწყების თანამშრომლებს სჭირდებათ ახალი კომპიუტერები, მთელი რიგი ინსტაციების გავლა სჭირდება, რომ აღნიშნულ ტექნიკაზე მოთხოვნა დააფიქსირონ, გამოაცხადონ ტენდერი (სადაც რიგი თანამდებობის პირები ხელისმოსათბობად იყენებენ) და ა.შ. ყოველი შესასრულებელი საქმე ჯაჭვურად გადაეცემა ამ უწყებებს და საქმეც ჯეროვნად ვერ სრულდება. ამ ყველაფერს ემატება ის, რომ რიგი უწყებების ხელმძღვანელები პოლიტიკური ნიშნით ან პირადი სიმპათიით არიან დანიშნულნი და მათი კვალიფიკაციაც ვერ აკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტებს, სახელმწიფო უწყებები, სახელმწიფო კომპანიები არ არიან დაინტერესებული, მის ორგანიზაციას ჰქონდეს მოგება, რადგან ბიუჯეტიდან მაინც ფინანსდებიან, შესაბამისად, გაკოტრება და ბაზრიდან გაძევება არ ემუქრებათ.

საპირისპირო სურათია კერძო სექტორში, სადაც კომპანიის მფლობელი ორიენტირებულია მოგებაზე, განსაკუთრებით მაღალი კონკურენციის პირობებში ის მაქსიმალურად ცდილობს, იყოს კონკურენტუნარიანი. კომპანიის მენეჯმენტის ყოველი გადაცდომა და დაბალი კვალიფიკაცია კომპანიისთვის ზარალის მომტანია, აქედან გამომდინარე, მესაკუთრეები დაინტერესე-

ბულნი არიან, კომპანიას ჰყავდეს კვალიფიციური მენეჯერები. და ბოლოს, როცა კერძო კომპანიას, მაგალითად, კომპიუტერების ყიდვა დასჭირდება, ის დროულად, ყოველგვარი ბიუროკრატიული წინააღმდეგობების გარეშე შეიძენს კომპანიისთვის ყველაზე მისაღები ხარისხის კომპიუტერებს.

მითი 36. რაც უფრო დიდია სახელმწიფოს ზომა, მით უფრო ძლიერია ეკონომიკა

სახელმწიფოს დიდი ზომა ეკონომიკაში შეგვიძლია დავახასიათოთ შემდეგნაირად: როდესაც მთავრობას ბევრი ადმინისტრაციული ერთეული აქვს, სამინისტროებისა და მასზე დაქვემდებარებული უწყებების სახით, ასევე დიდი საგადასახადო წნეხი და რეგულაციები ეკონომიკაში, ხოლო ამავე დროს არსებობს დიდი მოცულობის ბიუროკრატიული ხარჯი სრულიად უსარგებლო უწყებებზე, ბიუჯეტის თანხები იხარჯება უკიდურესად არაეფექტიანად. ძირითადი მიზეზი, რის გამოც ამა თუ იმ სახელმწიფოში არსებობს სხვადასხვა ბიუროკრატიული ორგანო, არის ის, რომ ქვეყნის რესურსების დიდი ნაწილი არა კერძო, არამედ სახელმწიფო სექტორის ხელშია.

დიდი მთავრობის კონცეფციას ხშირად ვხვდებით სოციალისტურ ან შერეული ტიპის ეკონომიკებში (სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ჰიბრიდი). მთავრობის დიდი ზომის მომხრეები ხშირ შემთხვევაში თვლიან, რომ ეკონომიკის გაძლიერება სწორედ მთავრობის აქტიური ჩარევითაა შესაძლებელი. თუმცა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ ქვეყნები ეკონომიკურ წარმატებას აღწევენ მაშინ, როცა ეკონომიკა თავისუფალია. ამ ყველაფერის მარტივად აღსაქმელად შეგვიძლია მივმართოთ შესაბამის ეკონომიკურ ანალიზს:

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, დიდი ზომის სახელმწიფოში საგადასახადო განაკვეთები მაღალია. ასევე არსებობს ე.წ პროგ-

რესული გადასახადები, რაც მდიდარი ადამიანების უფრო დიდი განაკვეთით დაბეგვრას გულისხმობს.

როდესაც კონკრეტული ადამიანის შემოსავლები არის მაღალი, ეს იმას ნიშნავს, რომ მას შესაძლებლობა აქვს უფრო მეტი ფული დაზოგოს. დანაზოგების ზრდა კი ახალი ინვესტიციების წყაროა, რაც ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს. თუმცა, როდესაც თამაშში შემოდის მაღალი საგადასახადო წნეხი, ეს იმას ნიშნავს, რომ მდიდარ ადამიანებს სულ უფრო ცოტა თანხა რჩებათ დანაზოგებისთვის. დანაზოგების შემცირება, თავის მხრივ, უკვე ინვესტიციების ზრდაზეც უარყოფითად მოქმედებს, რასაც ეწირება ეკონომიკის სწრაფი და მდგრადი განვითარება.

გარდა ამისა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ სადაც რესურსების დიდი წილი არის კერძო საკუთრებაში, ეს ყველაფერი რესურსების ეფექტიან გამოყენებასა და ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს. მაგალითად, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის რეიტინგით, სინგაპური დღეს ნომერ პირველ ეკონომიკურად თავისუფალ ქვეყნად მიიჩნევა, სადაც სახელმწიფოს როლი მცირეა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია იმაში, რომ სინგაპური ერთ-ერთ ყველაზე წარმატებული ქვეყანა ყოფილიყო. 2020 წელს სინგაპურში შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე 58,800 დოლარს შეადგენდა. მსგავსი სიტუაციაა ეკონომიკურად თავისუფალ სხვა ქვეყნებში, მათ შორის, ახალ ზელანდიაში, შვეიცარიაში, ირლანდიასა და ა.შ.

როდესაც საუბარი მიდის იმასთან დაკავშირებით, რომ დიდი უნდა იყოს თუ არა მთავრობის ზომა ეკონომიკაში, შეგვიძლია დავსვათ ერთი მარტივი კითხვა: რომელი მდგომარეობაა უკეთესი? 1. როცა ადამიანს, რომელსაც გააჩნია საკუთრება, აქვს მაღალი შემოსავლები და თვითონ წყვეტს, სად დააბანდოს ან რაში გამოიყენოს, თუ 2. როდესაც ღარიბი მოსახლეობის ფონზე მთავრობა არის დომინანტი ბაზარზე, რომელიც თვითონ წყვეტს თუ რა სჯობს მოსახლეობისთვის? თუკი მთავრობის ბიუროკრატიის ზომას და მოუქნელობას გავითვალისწინებთ,

სრულიად ნათელი ხდება თუ რომელი პასუხია ამ შემთხვევაში რელევანტური.

მითი 37. კრიზისის დროს სახელმწიფომ უნდა გაზარდოს ხარჯები, რაც ეკონომიკის გააქტიურებას შეუწყობს ხელს

ეკონომიკური კრიზისის დროს, ეკონომიკური სუბიექტების შემოსავლები მცირდება და მათ უჭირთ ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირების გაგრძელება. ასეთ დროს, სახელმწიფო ხარჯების ზრდა ხდება ბიზნესისა და დასაქმებულთა მიერ გადახდილი გადასახადებით, რასაც ვერ მოყვება ეკონომიკის რეალური გააქტიურება. სინამდვილეში, ჩნდება სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური აქტივობის ზრდის ილუზია და კორუფციის დიდი ცდუნება, როდესაც სახელმწიფოს შეუძლია უპირატესობა მიანიჭოს ცალკეულ ფირმებს და მათ საკეთილდღეოდ მიმართოს საბიუჯეტო სახსრები. არსებულ ვითარებაში, სახელმწიფო ხარჯების არაკეთილსინდისიერი გადანაწილება ანგრევს კონკურენციას და კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში აყენებს კომპანიებს.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსგავსი მიდგომა არაერთხელ ყოფილა გამოყენებული მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში და მან მნიშვნელოვნად დადებითი ეკონომიკური შედეგები ვერ მოიტანა. თუმცა, მთელ მსოფლიოში პოპულარული მითია, რომ საბიუჯეტო სახსრები საუკეთესო შემთხვევაში იძლევა პოლიტიკური დივიდენდების მოპოვების საშუალებას, ხოლო უარეს შემთხვევაში, კორუფციული გზით განაწილების შესაძლებლობას.

მითი 38. მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია სწორად განსაზღვროს წარმოების განვითარებისთვის პრიორიტეტული სფეროები

საზოგადოების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ სახელმწიფო ჩარევა დარგების პრიორიტეტულობის განსაზღვრაში, არის ქვეყნისთვის სასარგებლო. მოცემული მითის პოპულარობა განისაზღვრება იმით, რომ მთელს მსოფლიოში ძალიან დიდი თანხები იხარჯება ამ საკითხის პოპულარიზაციაზე. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებშიც კი მეწარმეთა სხვადასხვა ჯგუფები ლობირებენ საკუთარი დარგის მხარდაჭერას და როგორც წესი, ის დარგები იღებენ მას, რომლებიც ფინანსურად უფრო ძლიერები არიან.

განვითარებად ქვეყნებშიც ე.წ. პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრის დროს, ძალიან დიდია ბიუჯეტიდან აღებული თანხების კორუფციულად გადანაწილების რისკები. მოცემული მიდგომა საბაზრო პრინციპებიდან გადახრაა და შესაბამისად, ყველა შემთხვევაში იწვევს რესურსების არაეფექტიან ხარჯვას, რადგან მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალი კონკურენციის შემთხვევაში ხდება წარმოების ოპტიმიზაცია, ანუ მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგის მიღწევა. რაც უფრო დიდია სახელმწიფოს ზომა ეკონომიკაში, ის მით უფრო ცდილობს, გავლენა მოახდინოს ეკონომიკის ცალკეულ სფეროებზე, სწორედაც, რომ პრიორიტეტების განსაზღვის მოტივით, რაც რა თქმა უნდა არასწორი და მიუღებელია.

მაგალითად, 2020 წლის კრიზისის დროს, მთავრობამ სამშენებლო სექტორის მხარდასაჭერად იპოთეკური სესხები დაასუბსიდირა. თავად განსაზღვრა ამ დარგის პრიორიტეტულობა, არადა კრიზისის დროს თითქმის ყველა სფეროს წარმომადგენელს მძიმე ფინანსური მდგომარეობა შეექმნა, განსაკუთრებით ეს ეხება ტურიზმის დარგს. სუბსიდირების პროგრამით ძირითადად მაღალი ფენის წარმომადგენლებმა ისარგებლეს, რადგან

ქვედა სოციალურ ფენას დაბალი პროცენტის მიუხედავად, ბინის ყიდვის შესაძლებლობა მაინც არ ჰქონდა.

ეფექტიანი იქნებოდა, თუ მთავრობა ამ თანხებს ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს დაურიგებდა, ხოლო მოქალაქეები თავად განსაზღვრავდნენ, რა იყო მათთვის პრიორიტეტული და შესაბამის სფეროებში დახარჯავდნენ ფულს, აქედან გამომდინარე, მოქალაქეები თანხებს სწორედ იმ ეკონომიკური დარგებისკენ მიმართავდნენ, რაც პრიორიტეტულია ხალხისთვის და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკისათვის, მთავრობამ კი ეს თანხები მისთვის პრიორიტეტული მიმართულებით დახარჯა.

ამავე პერიოდში, მთავრობამ პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების მიზნით 9 ძირითად პროდუქტზე სუბსიდირების პროგრამა განახორციელა. თუმცა, პურისა და ზეთის გარდა ყველა პროდუქტზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ფასები. ამასთან, თუ შევადარებთ ბოლო 3 თვის მაჩვენებლებს, აღნიშნულ პროდუქტებზე ყველაზე მაღალი ინფლაცია სწორედ აპრილში დაფიქსირდა. სეზონური გავლენის გამორიცხვის მიზნით, ბოლო სამი წლის ტენდენციასაც თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ აღნიშნულ პროდუქტებზე აპრილში ამ დონის ინფლაცია არ დაფიქსირებულა. ამავე პერიოდში საერთაშორისო ბაზრებზე, FAO-ს სურსათის ფასების ინდექსი აპრილში მარტთან შედარებით, პირიქით, 3.4%-ით შემცირდა. შედეგად, მთავრობის მიერ პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების მიზნით, მილიონობით ლარი დაიხარჯა და საპირისპირო შედეგი მიიღო.

მითი 39. სუბსიდირება მხოლოდ სოციალისტური მიდგომა არ არის

სუბსიდირების არსი არის ხალხის ფულის განკარგვა ხალხის ნების გარეშე. ფული, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება რაიმე სფეროს, დარგის ან საწარმოს სუბსიდირება, არის გადამხდელის ჯიბიდან გადასახადების სახით ამოღებული თანხა. ამ-

დენად, ქვეყნის თითოეული მოქალაქე უფლებამოსილია იცოდეს თუ რაში და რა მიზნით იხარჯება ის, აკონტროლოს მისი გამოყენება და სარგებლიანობა. თუკი ბენეფიციარი არის მუდმივად სხვა, ან აშკარად იკვეთება თანამდებობის პირთა პირადი ინტერესები, რიგით მოქალაქეს ბუნებრივად უჩნდება უსამართლობის განცდა...

სოციალიზმი ცენტრალიზაციის მაღალი ხარისხით ხასიათდება, ამიტომაც გადაწყვეტილებათა იმპერატიულობა ნორმად მიიჩნევა. კაპიტალისტურ ქვეყნებში ძალაუფლება დეცენტრალიზებულია, ხოლო თანამდებობის პირებს არ აქვთ ამგვარი საკითხების ერთპიროვნულად გადაწყვეტის უფლებამოსილება. იქ ფართოდ არის დანერგილი რეფერენდუმის/პლებისციტის კულტურა, სადაც მოქალაქეები ხმის მიცემით იღებენ გადაწყვეტილებას ხალხის ფულის განკარგვის თაობაზე და გასაწევი ხარჯის მიზანშეწონილობაზე.



მითი 40. მთავრობამ უნდა *დააასუბსიდიროს* ეკონომიკის დაბალგანვითარებული სექტორები

ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდად გავრცელებული მითი მსოფლიო ეკონომიკაში. მთავრობის მიერ ცალკეული ეკონომიკის სეგმენტების სუბსიდირება სინამდვილეში იწვევს არათუ ეკონომიკის განვითარებას, არამედ მთლიანად ანგრევს მისი ჯანსაღი განვითარების შესაძლებლობას.

სუბსიდირება ნიშნავს, რომ მთავრობას ეკონომიკის განვითარებული დარგიდან ამოაქვს ფინანსები და წარუმატებელ, ზარალიან ბიზნესში ასხამს. ამავე დროს, წარუმატებელს მოტივაციას აძლევს, რომ წამგებიანი ბიზნესი არ შეწყვიტოს და რეგრესისკენ უბიძგებს. ამ ქმედებით მთავრობა ასევე კონკურენციას კლავს ეკონომიკაში.

როდესაც ხდება ეკონომიკის ამა თუ იმ სეგმენტის სუბსიდირება მთავრობის მიერ, ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობის კონკრეტული წარმომადგენლები წყვეტენ დარგის რომელ წარმომადგენლებს დაეხმარონ ფინანსურად და რომლებს არა. შესაბამისად აქ, რა თქმა უნდა, ჩნდება კორუფციის შესაძლებლობაც. როგორც წესი, ბიუჯეტიდან აღებული თანხით განხორციელებული ასეთი სუბსიდიები არის არაეფექტიანი და ამის ნათელი მაგალითები შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოს რეალობიდან. როდესაც ცალკეულ დარგში მოღვაწე ფირმებს არ აქვთ იმის უნარი, რომ ჩაერთონ თავისუფალ კონკურენციაში და მიაღწიონ წარმატებას, მათი სუბსიდირება ბიუჯეტის ფულით ვერ იქნება მათი წარმატების საწინდარი.

მთავრობა არ ქმნის პრობლემებს, ის მათ ასუბსიდირებს.

რ.რეიგანი

სუბსიდირება ნიშნავს სახელმწიფოს ბიუჯეტიდან რომელიმე დარგში თანხის "ჩასხმა"-ს. პოსტსაბჭოთა სივრცეში პრობლემა ჩნდება თავიდანვე:

ა) ბიუჯეტი არის ხალხის ფული, ამიტომ მისი განკარგვა ხალხის უფლებაა, თუმცა მას მაღალი თანამდებობის პირები განკარგავენ საკუთარი შეხედულებისამებრ, ზოგ შემთხვევაში კი პირადი ინტერესების მიხედვით;

ბ) უმეტეს შემთხვევაში, ბიუჯეტიდან სუბსიდირებისთვის გამოყოფილი თანხების დიდი ნაწილი ვერ აღწევს ადრესატამდე და ილექება მათ ჯიბეებში, ვისაც აქვთ წვდომა ამ თანხების გა-

ნაწილებაზე. ეს კლეპტოკრატიული სისტემებისთვის დამახასიათებელი ნიშანთვისებაა;

გ) დასასუბსიდირებელი დარგების შერჩევის პროცესი ბუნდოვანია. უმეტესად გვაქვს შემთხვევები, როდესაც გამოყოფილი თანხები მიედინება იმ ბიზნესთა წასახალისებლად, რომელთაც ფლობენ ან ლობირებენ მაღალი თანამდებობების მქონე პირები.

განვითარებულ ევროპულ ქვეყნებში სუბსიდირება მაკროეკონომიკური პროცესის რიგითი შემადგენელია - თანხები გამოიყოფა მიზნობრივად, განაწილება ხდება კეთილსინდისიერად და აქვს ეკონომიკური ეფექტი. ეს განსაკუთრებით ითქმის კრიზისულ, ან პოსტკრიზისულ პერიოდებზე. თუმცა საქართველოს დარ ქვეყნებში სუბსიდირება არათუ აგვარებს, არამედ წარმოქმნის გრძელვადიან პრობლემას ბიუჯეტიდან "წყალში ჩაყრილი ფულის" სახით, რომელიც შემდეგ ისევ კერძო სექტორმა და მოსახლეობამ უნდა შეავსოს გაზრდილი ტარიფების ხარჯზე.

მითი 41. სუბსიდირება სოფლის მეურნეობაში

მცდარია მოსაზრება, რომ სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებას სუბსიდირება უზრუნველყოფს. თუ დარგი პერსპექტიული და მომგებიანია, მას სახელმწიფო დახმარება არ უნდა სჭირდებოდეს. რეალურად კი საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორს აქვს იმის პოტენციალი, რომ იყოს განვითარებული, დამოუკიდებლად იზიდავდეს შესაბამის ფინანსებს და მას სახელმწიფოს დახმარება არ სჭირდებოდეს.

სუბსიდიების უარყოფითი ეფექტები:

ა. განხორციელებული სუბსიდიები მიმართულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის ყიდვაში და არა წარმოების ფაქტორებში, ამიტომ მას აქვს ერთჯერადი სოციალური დახმარების და არა გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტი. მოსავლის ჩაბარების

შემდეგ, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებს კვლავ მოუგვარებელი რჩებათ წარმოების ფაქტორები და ანალოგიური პრობლემების წინაშე დადგებიან მომდევნო წელსაც.

ბ. სახელმწიფომ მისი ეკონომიკური პოლიტიკით გამოიწვია ის, რომ სოფლის მეურნეობა დღეს არის დაბალ განვითარებაზე, სამწუხაროდ დღეს, სახელმწიფო არის მთავარი წარმმართველი სოფლის მეურნეობის და ექსკლუზიურად ის განსაზღვრავს ამ დარგს. რადგან სოფლის მეურნეობაში წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად არ იზრდება გამოშვებული პროდუქცია, ამიტომ სახელმწიფოს ყოველი ერთჯერადი ჩარევა სუბსიდირებით თუ სხვა სახელმწიფო პროგრამით შესაძლებლობას იძლევა, მომენტალურად მოგვცეს ზრდა, შემდეგ კი კვლავ თავის საწყის ნიშნულს უბრუნდება, თუმცა იმ ერთჯერად ეფექტებს ხშირად ეკონომისტები იყენებენ იმის დასადასტურებლად, რომ სუბსიდირება კარგია დარგისთვის, ამავე დროს, როცა განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო სუბსიდირებაზე ვაკეთებთ აქცენტებს, აქ არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ ბაზარზე არსებული კომპანიები უკვე ტექნოლოგიურად და ეკონომიკურად განვითარებულები არიან, სახელმწიფო სუბსიდირება კი მათთვის დამატებითი ფინანსური წყაროა და არა მთავარი, როგორც ხდება საქართველოში.

გ. სუბსიდირების პროგრამით სახელმწიფო ქმნის ჭარბწარმოების მოტივაციას, უფრო მეტად, ვიდრე ბაზარს სჭირდება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს, და ხშირ შემთხვევაში იწვევს კიდეც, ფასის შემცირება, ამავე დროს კერძო სექტორში მოქმედი კერძო კომპანიებთან შედიან არასამართლიან კონკურენციაში, რაც ამ კომპანიებისათვის წამგებიანია.

დ. სუბსიდირებისას ფასი დგინდება ხელოვნურად, სახელმწიფოს მხრიდან და არა საბაზრო მექანიზმებით, რაც ნიშნავს, რომ საბაზრო ეკონომიკა არც გვაქვს, ამავე დროს ის ხელისშემშლელია კერძო ბიზნესისათვის, რადგან ვერ გათვლის სამომავლო ბიზნესს, პროდუქციის მიწოდებასა და ფასებს.

ე. და ბოლოს, სუბსიდირებისას თანხები ჰაერიდან არ ჩნდება, ის ფინანსდება ბიუჯეტიდან. ანუ წარმატებული და განვითარებული დარგებიდან ხდება ამ თანხების ამოღება, შედეგად დამატებით ვაზარალებთ ამ დარგებს.



მითი 42. უფასო პრივატიზაცია ხელს შეუშლის ჯანსაღი ინვესტიციების მოზიდვას

პოსტკომუნისტურ სივრცეში არსებობს პრივატიზაციის პროცესისადმი ერთგვარი უნდობლობა. ამის მიზეზი გახლავთ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პრივატიზაციის რეფორმის არაკეთილსინდისიერად განხორციელება, რის დროსაც მაღალმა პარტიულმა ნომენკლატურამ ხელი მოითბო ხალხის კუთვნილი ქონებით. რიგითმა ადამიანებმა თავი მოტყუებულად იგრძნეს, თუმცა მრავალი მცდელობის მიუხედავად (რევოლუციები, ხელისუფლებათა ცვლილება. რეფორმების იმიტაციები), სამართლიანობა ვერ აღდგა. ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკური ძალები მუდმივად იმეორებდნენ წინა ხელისუფალთა შეცდომებს, ისინი ასევე თავს ვერ აღწევდნენ პოსტკომუნისტურ სინდრომს და გიგანტურ აუთვისებელ აქტივებზე წვდომის ცდუნებას.

თავად პრივატიზაცია ნიშნავს აქტივის კერძო საკუთრებად ფორმირებას, რის შედეგადაც წარმოიქმნება კაპიტალი, ანუ აქტივი, რომელსაც იქამდე სამართლიანი (საბაზრო) ფასი არ გააჩნდა, იძენს ღირებულებას და ლიკვიდურობას. თუკი იქამდე მისგან ეკონომიკური ეფექტი დაბალი, ან ნულის ტოლფასი იყო

(სახელმწიფო საწარმოების უდიდესი ნაწილი ზარალზე მუშაობს და მისი შენარჩუნება ხდება გადასახადის გადამხდელთა ფულით), პრივატიზაციის შემდეგ ის ცოცხლდება, როგორც აქტივი მაღალი ღირებულებით. ამგვარად ფორმირებული კაპიტალი იძენს ეკონომიკურ ეფექტურობას და იზიდავს ინვესტიციებს, ტექნოლოგიებს, მუშა ხელს, ფინანსებს და ა.შ.

მითი 43. უცხოურ ინვესტიციებს შემოყვება უცხოელი მუშახელი, ხოლო ინვესტორებს მოგება მიაქვთ თავიანთ ქვეყანაში

ეკონომიკაში მოზიდული ფულადი, ინტელექტუალური და მატერიალური კაპიტალი ხელს უწყობს ეკონომიკის სწრაფ განვითარებას, მათ შორის უცხოური. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია ქვეყნის ეკონომიკაში მაქსიმალური მოცულობის კაპიტალის მოსაზიდად.

გასული საუკუნის 60-70-იან წლებში სამხრეთ კორეაში მოსახლეობა ეწინააღმდეგებოდა უცხოური (ძირითადად ამერიკული და იაპონური) კაპიტალის შემოდინებას, თუმცა სწორედ მათი მეშვეობით მოხერხდა ომისგან დანგრეული ქვეყნის აღორძინება. დღეს სამხრეთ კორეა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ეკონომიკური სახელმწიფოა, რომლის ძირითადი საშუალებების უდიდესი წილი ადგილობრივი მოსახლეობის კერძო საკუთრებაშია.

ჩვენს მოცემულობაში პრობლემას წარმოადგენს საქართველოს პოსტკომუნისტური ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა, რომელიც ხასიათდება სახელმწიფოს მაღალი ჩართულობით ეკონომიკაში, აუთვისებელი და გამოუყენებელი აქტივების დიდი რაოდენობით, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს აღნიშნული აქტივების დაბალ ლიკვიდურობას, დაბალ ფასს. როგორც წესი, სწორედ ეს სამწუხარო მოცემულობა ხდება უცხოელ ინვესტორებთან დადებული კაბალური ხელშეკრულებების მი-

ზეზი. ასეთ შემთხვევებში, ინვესტორის განკარგულებაში ექცევა იმ მოცულობის მატერიალური კაპიტალი, რომლის საბაზრო ღირებულება რამდენჯერმე უნდა აჭარბებდეს ინვესტირებული თანხის სიდიდეს. თუმცა ასე არ არის, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფოს ბალანსზე არსებული აქტივები არ არის კაპიტალიზებული და მათ დაბალი ღირებულება გაანიათ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში უცხოური კაპიტალი სასურველზე ბევრად უფრო მცირე რაოდენობით შემოედინება, რადგან ჯერჯერობით ვერ მოხერხდა მიმზიდველი ეკონომიკური გარემოს ფორმირება.

დღეს, როცა მსხვილი ფინანსური ინვესტორი შემოდის, მას ძირითადად გარიგების დადება უწევს სახელმწიფოსთან, ან მთავრობის გავლით კერძო სექტორთან. რის გამოც ეჯახებიან ბიუროკრატიულ პროცედურებს, რაც აჭიანურებს პროცესებს და ქმნის კორუფციული გარიგებების რისკებს. ამიტომაც ინვესტიციებს უნდა იზიდავდეს კერძო სექტორი, სადაც ორი ბიზნეს სუბიექტი: ადგილობრივი მწარმოებელი და ინვესტორი ხვდებიან ერთმანეთს და მესამე ძალის, ანუ სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ახდენენ ბიზნეს გარიგებას, რაც ეკონომიკურად არის ეფექტიანი და ორივე მხარისთვის მომგებიანი.

კერძო სექტორის განვითარებისათვის კი აუცილებელია, სახელმწიფო საკუთრების დროულად გადასვლა კერძო სექტორში. მაგ; წიაღი, რომელსაც საქართველოს მოქალაქე იჯარით იღებს, ეს არ არის კერძო საკუთრება, ამ აქტივის დაბრუნება მოუწევს მეპატრონეს სახელმწიფოსთვის, ასევე არის საშიშროება, რომ დროზე ადრე სახელმწიფომ იძულებით ჩამოართვას, ამიტომ ასეთ აქტივში ინვესტირება არის სარისკო. კერძო საკუთრების დამკვიდრების შემთხვევაში კი მსგავსი რისკები მინიმუმამდე დადის, ასევე კერძო საკუთრების გზით საბაზრო ეკონომიკაში ჩართული აქტივის ღირებულებაც იზრდება, ასევე ამ აქტივების, როგორც სააქციო საზოგადოებებად გაჩენა ფასიანი ქაღალ-

დების ბაზარსაც განავითარებს, რაც მეტი ფინანსების მოზიდ-ვის შესაძლებლობას და ეკონომიკური განვითარების შესაძლებ-ლობას იძლევა.

იმისათვის, რომ რეალური შედეგები მივიღოთ და პირდაპირ კავშირში იყოს ეკონომიკურ განვითარებასთან, ინვესტიციები უნდა განხორციელდეს ეკონომიკის რეალურ სექტორში, რაც წარმოების მაღალი ტემპით განვითარებას გამოიწვევს. ამავე დროს უნდა განვითარდეს პორტფელური ინვესტიციები (გრძელვადიან ფასიან ქაღალდებში ფინანსების დაბანდება), რაც განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მთავარ საინ-ვესტიციო მიმართულებას წარმოადგენს და რომელიც დღეს მი-ნიმალურ დონეზეა საქართველოში, ამისათვის კი აუცილებე-ლია კერძო საკუთრების დამკვიდრება, საიდანაც შეიქმნება სა-აქციო საზოგადოებები, სააქციო საზოგადოებები გამოუშვებენ ფასიან ქაღალდებს, საფონდო ბირჟაზე წავა ფასიანი ქაღალდე-ბის ყიდვა-გაყიდვა და მოხდება კაპიტალის ბაზრის განვითარე-ბა.

მითი 44. რეფორმების ნელი ტემპები ევროპიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მოსული მითითებების შედეგია

საბერძნეთში ღრმა ეკონომიკური კრიზისის და დეფოლტის პე-რიოდში 2015 წელს ევროპამ გასცა რეკომენდაცია საბერძნეთში განხორციელებულიყო სწრაფი პრივატიზაცია, რათა ქვეყანას გასჩენოდა ვალების მომსახურების შესაძლებლობა. არასრული პრივატიზაციის ერთწლიანი რეფორმის შემდეგ ქვეყანამ ვალე-ბის მნიშვნელოვანი ნაწილი გაისტუმრა.

ცხადია, ევროპული გაერთიანების მიზანი არის მოახდინოს სა-კუთარი ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური მიღ-წევების ექსპორტი განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ სა-

ხელმწიფოებში, რათა ამ გზით გაზარდოს მყიდველუნარიანობა ამგვარ ქვეყნებში, მასთან ვაჭრობის და პოლიტიკური ურთიერთობების შემდგომი განვითარების მიზნით.

სასურველია, საქართველო იმგვარად ვითარდებოდეს, რომ შენიშვნებს ნაკლებად იმსახურებდეს, თუმცა ფაქტი ჯიუტია - ქვეყანა ვერ გამოდის პოსტკომუნისტური სინდრომიდან, რაც ხელს უშლის ჯანსაღი რეფორმების განხორციელებას.

ჩვენი წარუმატებლობა ევროპის, აშშ-ს და საერთაშორისო ორგანიზაციების კი არა, არამედ ჩვენი ბრალია, მთავარი ვართ ჩვენ და ჩვენ უნდა ვაკეთებდეთ საქმეს, ჩვენ უნდა განვავითაროთ ქვეყნის ეკონომიკა და ამისთვის მითითებები და დასავლეთიდან თითის დაქნევა არ უნდა გვჭირდებოდეს.

მითი 45. ეკონომიკის განვითარებისთვის მთავრობამ უნდა შეიმუშავოს მრავალწლიანი, გრძელვადიანი გეგმა

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში მთავრობის მხრიდან ეკონომიკაში ჩარევა და სასურველი მიზნის მიღწევა მრავალ სირთულესთან ასოცირდება. ამ ყველაფრის მიზეზი კი არის ის, რომ საბაზრო ეკონომიკა თვითრეგულირებადია, რაც მარტივად რომ ვთქვათ, წონასწორობის მიღწევას, მომხმარებლებსა და მწარმოებლებს შორის ურთიერთობით აღწევს. აქედან გამომდინარე, როდესაც მთავრობა ცდილობს, რომ ეკონომიკაში ჩაერიოს გარკვეული კეთილი "მიზნების" მისაღწევად, ეს არის მეტად საშიში, რადგან ვერავინ განსაზღვრავს თუ როგორ იმოქმედებენ, ერთი მხრივ მეწარმეები, ხოლო, მეორე მხრივ, მწარმოებლები აღნიშნული პოლიტიკის შედეგად.

გამოდის, რომ მთავრობის მიერ შემუშავებული გეგმები არარეალისტურია. სხვა რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მსოფლიოში ყველაფერი ცვალებადია, გლობალიზაციამ და ტექნიკურმა პროცესმა ხელი შეუწყო ცვლილებებისა და ახალი შეხედულე-

ბების სწრაფად გავრცელებას. ამ ფონზე, როცა ქვეყანა, მაგალითად, 10 წლიან ეკონომიკურ გეგმას ამუშავებს, სახელმწიფოს სოციალისტური კონცეფცია კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. რადგან არავინ იცის ხვალ, ან თუნდაც ერთ წელში, რა მოხდება. გეგმიური ეკონომიკას მიყვებოდნენ ისეთი ქვეყნები, როგორებიც იყვნენ საბჭოთა კავშირი, ჩრდილოეთ კორეა, ვენესუელა და კუბა. თუმცა თუ დავსვამთ კითხვას, მიაღწია თუ არა რომელიმე ზემოთ ჩამოვლილმა ეკონომიკურ განვითარებას, სავარაუდოდ, პასუხი ყველასთვის ნათელია.

მთავრობის ერთადერთი გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკის ჩარჩო-პირობების შემუშავებაა, სადაც უნდა ჩანდეს თუ მოქმედების რა საზღვრებში ფუნქციონირებს, ერთი მხრივ კერძო სექტორი, ხოლო მეორე მხრივ მთავრობა... თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ, მაგალითად, საქართველო საბაზრო ეკონომიკის რელსებზე ადაპტირებას ცდილობს, ბუნებრივია, შემუშავებული ჩარჩო-პირობებში უნდა იყოს გათვალისწინებული კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, ნაკლები რეგულაცია ბაზარზე და სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები ჩარევა ეკონომიკაში. ეს არის ეკონომიკური პოლიტიკის ერთგვარი ღერძი, რომელიც პოზიტიურ მოლოდინებს შექმნის მომავლის მიმართ. როცა ერთი მხრივ, მომხმარებლებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ მწარმოებლებისთვის მომავალი გაურკვევლობასთან არ ასოცირდება, მაშინ ეკონომიკა დროსა და სივრცეში უფრო მეტი სისწრაფით იზრდება, რადგან ეკონომიკური სუბიექტები შედარებით სარისკო საქმიანობების განხორციელებაზე თავს არ იკავებენ.

ეკონომიკური თეორიებით ეკონომიკის მართვა შეუძლებელია

სკეპტიციზმის მიზეზი გახლავთ ის გარემოება, რომ ერთი და იგივე ეკონომიკური სისტემა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად მუშაობს, მაშასადამე, განსხვავებულია მისგან ეფექტიც. კონკრეტული სახელმწიფოს პირობებში, ამაში დიდ როლს თამაშობს ის, თუ თეორიაში რამდენად სწორად არის შეფასებული,

გათვალისწინებული და ათვისებული ეკონომიკური შესაძლებლობები, პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემა, განწყობები, გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური რეალობები.

ეკონომიკის ეფექტურად მართვა შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური პრობლემების სწორად გაანალიზების და ამოცანების (პრიორიტეტების, შესაძლებლობების, გრძელვადიანი მიზნების) სწორად დალაგების გზით.

მეცნიერულად არგუმენტირებული თეორიები ეფუძნებიან ხანგრძლივ კვლევას, დაკვირვებას, ექსპერიმენტებს, გამოცდილებას. ამდენად, ეკონომიკური თეორიების განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ელემენტია ეკონომიკური პროცესების მართვაში.

სოფლის მეურნეობა

მითი 46. სასოფლო მიწა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე არ უნდა გაიყიდოს!

მოსახლეობაში ფართოდ არის გავრცელებული მოსაზრება, რომ თითქოს თუ საქართველოს მოქალაქეებს უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწების გაყიდვის შესაძლებლობა ექნებათ, ეს გამოიწვევს ქვეყანაში არსებული მიწების მთლიანად სხვა ქვეყნის მოქალაქეების ხელში გადასვლას.

სინამდვილეში, აღნიშნული მითი ემსახურება მიზანს, რომ მიწის ბაზარი ჩააგდოს და ხალხს გამდიდრების საშუალება არ მისცეს.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწების უმთავრესი გამყიდველი უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში იყო და არის მხოლოდ სახელმწიფო, მაგრამ არა კერძო სექტორი. მსხვილ ლოტებად მიწებს უცხოელებზე სახელმწიფო ყიდის, შემდეგ კი ადგილობრივებს უკრძალავს და მოუწოდებს, არ მიყიდონ მიწები უცხო ქვეყნის მოქალაქეებს.

როცა მიწის ფასი დაბალია, მას, ხშირ შემთხვევაში, იაფად ყიდულობს ფინანსურად დაბალგანვითარებული უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც შემდგომ ფინანსები არ ჰყოფნის, ვერც მეურნეობას ავითარებს და არც ადგილობრივებს ასაქმებს. რაც შემდგომ ადგილობრივებში ორმაგად იწვევს პროტესტს.

მთავარი პრობლემა ამ საკითხში არის მიწის დაბალი ფასი, რაც ერთგვარად სასურველ საცდუნებელ აქტივად აქცევს მას, განსაკუთრებით უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის.

თუკი მიწა ადგილობრივების კერძო საკუთრებაში იქნება და თან ფასი მაღალი ექნება, პირველ რიგში, მიწის მაღალი ღირებულება იქნება ავტომატური რეგულატორი ამ ტიპის ფინანსურად დაბალგანვითარებული უცხოელებისათვის და ისინი თავიანთი ფინანსებით უბრალოდ ვერ შეძლებენ მიწის ყიდვას, ხოლო მეორე მხრივ კერძო მესაკუთრეებს დარჩებათ არჩევანი - ვის მიჰყიდონ და ვის არა, უცხოელი ინვესტორები შემოიყვანონ თუ თავად გახდნენ საკუთარ მიწაზე მწარმოებლები.

მიწის დაბალ ფასს განსაზღვრავს ორი ფაქტორი, მოთხოვნა-მიწოდება: 1. სახელმწიფოს საკუთრებაში აქვს მიწის უდიდესი რესურსი, რომელსაც ბაზარს მუდმივად აწვდის, მიწის მთავარი გამყიდველი არის სახელმწიფო, შესაბამისად, მიწის ბაზარზე ქმნის ჭარბ მიწოდებას და მიწოდების მოლოდინს, 2. ქვეყნის დაბალი ეკონომიკური განვითარების, სიღარიბისა და მოსახლეობის დაბალი მყიდველუნარიანობის გამო მიწაზე მოთხოვნაც დაბალია. ამ ფაქტორებიდან გამომინარე, მიწის ბაზარზე კონკურენციაც არ არის.

მიწების განკერძოება და სახელმწიფოს მიერ გასაყიდად გამოტანილი მიწის ფონდის ამოწურვა გამოიწვევს აწ უკვე კაპიტალიზებული მიწის ფასის გარდაუვალ ზრდას, რადგან სახელმწიფო, როგორც მიწის ბაზარზე ამ აქტივის მთავარი მიმწოდებელი, ჩამოეხსნება.

- როგორც კი მიწები სრულად განკერძოვდება, მაშინვე დაიწყებს მოქმედებას ე.წ. „ძირითად აქტივებზე ფასების გამოთანაბრების კანონი“, რაც იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, საქართველოში არსებული მიწების ფასები უნდა დაუახლოვდეს თუნდაც თურქეთში არსებულ მიწის ფასებს. თუ დააკვირდებით, იმავე ურბანულ მიწებს, რომელიც უკვე პრაქტიკულად კერძოა, თითქმის იგივე ღირს, რაც თუნდაც ევროპულ ქვეყნებში. უკვე კაპიტალიზაციააღდგენილ, გაძვირებულ მიწებს, ეყოლება ცივილური და ფინანსურად ძლიერი მყიდველი/ინვესტორი, ხოლო საქართველოს მოქალაქე თავად გადაწყვეტს, გაყიდოს თუ არა საკუთარი აქტივი.

მითი 47. სასოფლო მიწები არ უნდა მივცეთ კერძო მესაკუთრეს, რათა ის უცხოელებზე არ გაყიდოს

ეს არის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მითი, თუმცა დღევანდელ რეალობაში მას გარკვეული ახსნა მოეძებნება. სამწუხაროდ, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზარს აქვს დიდი პრობლემა: ამ აქტივის მთავარი მესაკუთრე და შესაბამისად, გამყიდველი არის სახელმწიფო. მოცემული პროცესი კი იწვევს მიწის ფასის მინიმუმამდე დაწევას და ზრდის არანაირ შანს არ აძლევს მას. შედეგად ვიღებთ იმას, რომ ჩვენთან მიწის ფასები რამდენიმე ათეულჯერ ჩამოუვარდება იგივე ქონების ფასს განვითარებულ ქვეყნებში. სწორედ ფასებს შორის ეს განსხვავება ხდის უცხოელებისთვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწებს (სხვა აქტივებისგან განსხვავებით) მიმზიდველს. მიწების უფასო განკერძოების შემთხვევაში ეს არაბუნებ-

რივი განსხვავება ფასებში უკვე ქრება და სავაჭრო ურთიერთობა იღებს საბაზრო ფორმას.

ზემოთ აღნიშნული პრობლემის მიუხედავად, სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის მთავარი მიმყიდველი კერძო მესაკუთრეები კი არ არიან, არამედ სახელმწიფოა. მოვიყვანოთ რამდენიმე ფაქტი:

<u>მაგალითი 1.</u> - 2011 წლის 14 აპრილს მოწყობილ სახელმწიფო აუქციონზე, მთავრობამ დედოფლისწყაროში ერთ ლოტად 35497274 კვ.მ სასოფლო სამეურნეო მიწა (=3549ჰა.) მიყიდა უცხოელებს. აუქციონზე მხოლოდ 1 სუბიექტი მონაწილეობდა და პირველსავე ბიჯში 2 635 050 ლარად შეიძინა. შესაბამისად, 1 კვ.მ. ღირებულებამ შეადგინა 0,074 ლარი ანუ <u>7,42 თეთრი.</u>

<u>მაგალითი 2.</u> - 2011 წლის 16 დეკემბერს 17:00 სთ-ზე მოწყობილ აუქციონზე სახელმწიფომ მიყიდა ერთ ლოტად 51 794 128 კვ. მ სასოფლო სამეურნეო მიწა (= 5179 ჰა. რაც, რომ წარმოვიდგინოთ 7 046 "დინამო არენას" მოედნის ტოლი ფართობია) უცხოელებს. აუქციონზე მხოლოდ 1 სუბიექტი მონაწილეობდა და მიწა პირველსავე ბიჯში 5 084 469 ლარად შეიძინა, შესაბამისად 1 კვ.მ-ის ღირებულებამ შეადგინა 0,098ლარი ანუ 9,8 თეთრი.

ასე "ნიორის ქერქად" და "ხელისუფალის ხეირად" გაყიდული მიწების მაგალითები მრავლადაა მიწის თანამედროვე ქართულ ბაზარზე.

ცნობისათვის, მოდით, დავფიქრდეთ, ნებისმიერი მარტივი სასოფლო კულტურა 1 კგ. რა ღირს? და 1 კვ.მ. მიწაზე მხოლოდ 1 კგ. მოდის? - დასკვნა მკითხველისთვის მიგვინდია.

ეს მონაცემები იმ მიზნით მოვიყვანეთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ თუ ვინმე ყიდის მიწას უცხო ქვეყნის მოქალაქეზე (რაც სულაც არ არის საშიში სწორ ეკონომიკურ სისტემაში) ეს მთავარი გამყიდველი არის სახელმწიფო (ხელისუფლებები).

კანონით აიკრძალა უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სასოფლო მიწის მიყიდვა, მაგრამ მხოლოდ ხალხისთვის, ხელისუფალს დღესაც ეს ექსკლუზივი აქვს და დღემდე ანალოგიურად ყიდის მიწებს მსხვილ ნაკვეთებად. ხოლო ასეთი მსხვილ ნაკვეთებად გაყიდვები, რასაც ხლისუფლებები ახორციელებენ კერძო მესაკუთრეების შემთხვევაში, როცა მიწები დივერსიფიცირებულია, შეუძლებელია.

უბრალოდ დავფიქრეთ, კერძო მესაკუთრეებში დივერსიფიცირებულ და გადანაწილებულ სასოფლო მიწებს რა დრო დასჭირდებოდა, რომ მესაკუთრეებს 5179 ჰა. (7 046 "დინამო არენას" მოედანის ხელაა ფართობი) გაეყიდათ, ან ვინმეს მესაკუთრეებიდან გამოესყიდა, თუნდაც "ფულიან" უცხო ქვეყნის მოქალაქეს. ხოლო თუ მაინც გაყიდდნენ კერძო მესაკუთრეები, იქნებოდა კი 1 კვ.მ. მიწის გასაყიდი ფასი 7-9 თეთრი?! ან როგორ შეიცვლებოდა ფასი ყოველი დამატებითი ერთეული მიწის ნაკვეთის გაყიდვისას?

და ბოლოს, კერძო მესაკუთრეების შემთხვევაში, არც კი დაიწყებდა ამდენი მიწის 5179 ჰა. ყიდვაზე ფიქრსაც კი კეთილად თუ ბოროტად განწყობილი ადგილობრივი თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე, თუნდაც ყოველი მიწის გაძვირების გამო.

ხოლო კანონით აკრძალვა უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სასოფლო მიწის საკუთრებისა, რეალურად, მხოლოდ იმდენად აჩერებს ამ პროცესს, როგორც გაზაფხულის მოსვლის შეჩერების მიზნით გადასაფურცლი კალენდარის იანვრის თვეზე დატოვება.

მითი 48. სასოფლო-სამეურნეო მიწის დაუმუშავებლობის მიზეზი კერძო საკუთრებაა

ძალიან პოპულარული მითია ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში, რასაც თავისი მიზეზები გააჩნია. ყველა განვითარებულ ქვეყანაში, სასოფლო-სამეურნეო მიწები სრულად არის კერძო საკუთ-

რებაში და მათი უდიდესი ნაწილი, რა თქმა უნდა, დამუშავებულია. თუ მიწის დაუმუშავებლობის მიზეზი კერძო საკუთრებაა, მაშინ რატომ არის ასე ლამაზად და კარგად დამუშავებული საფრანგეთის, გერმანიის, ესპანეთის და ა.შ. სხვა ქვეყნების მიწები?

საქართველოში, ისევე როგორც ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში, კომუნიზმიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას არ მოჰყვა მიწების აუცილებელი განკერძოება. მიწების ძირითად მესაკუთრედ და, შესაბამისად, მის გამყიდველად ბაზარზე დღესაც გვევლინება სახელმწიფო, რაც არ აძლევს მიწის ფასს ზრდის საშუალებას. გრძელვადიან პერიოდში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფასი არის უცვლელი და შენარჩუნებელია მინიმალურ დონეზე. ასევე არსებული პროცესი უკარგავს ამ აქტივს ლიკვიდურობას. საბოლოოდ ვიღებთ სურათს, რომ მიწების კერძო მესაკუთრეები ამ აქტივის უზრუნველყოფით ვერ ახერხებენ საკმარისი და სასურველი ინვესტიციების მოზიდვას. ამიტომ, მიწების დიდი ნაწილი დაუმუშავებელია და იქმნება ილუზია, რომ ამისი მიზეზი არის კერძო საკუთრება. სინამდვილეში კი, მიწების დაუმუშავებლობის მთავარი მიზეზი კერძო საკუთრება კი არა, არამედ კერძო საკუთრების არარსებობა, ანუ სახელმწიფოს დომინირებაა ამ სფეროში.

მითი 49. მიწა უნდა იყოს *სახელმწიფო საკუთრება* და სახელმწიფომ უზრუნველყოს მისი დამუშავება

მოცემული მდგომარეობა მხოლოდ კომუნიზმის შემთხვევაში არსებობს, სადაც საკუთრების უფლება არ არის აღიარებული,

მაგრამ არარელევანტურია საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მიწა, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი აქტივი და ძირითადი საშუალება, ყველა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში იმართება ეფექტიანად კერძო მესაკუთრეების მიერ. ხოლო თუ რომელი სისტემაა უფრო უკეთესი, საბაზრო თუ ცენტრალურ/რეგულირებადი, ეს მკითხველს შეუძლია, თავად განსაზღვროს თუნდაც ორი კორეის მაგალითზე. მოგეხსენებათ, კაპიტალისტური სამხრეთ კორეა მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით თითქმის 30-ჯერ უსწრებს კომუნისტურ ჩრდილოეთ კორეას.

გეგმიანი ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო ფლობს მიწას და ის განსაზღვრავს მის დამუშავებას. გამოყოფს წინასწარ განსაზღვრულ ფინანსურ სახსრებს და აწარმოებს კონკრეტული სახის პროდუქციას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კი, თვითონ მესაკუთრე ახდენს ინვესტიციის მოზიდვას და საკუთარი კაპიტალით, საკუთარი ქონებითა და ფინანსებით აწარმოებს პროდუქციას.

მას შემდეგ, რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და საბჭოთა კავშირი დაიშალა, ფერმერები აღმოჩნდნენ შემდეგი რეალობის წინაშე: სახელმწიფომ მიწების დამუშავებაზე ადრე გამოყოფილი თანხები უკვე ვეღარ გამოყო და ფერმერებს მოუწიათ დამოუკიდებლად ხარჯების გაღება. სამწუხაროდ, მათ ხელთ არსებული ძირითადი აქტივი, მიწა, აღმოჩნდა გაუფასურებული და არალიკვიდური იმის გამო, რომ მიწის ბაზარს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწა მიეწოდებოდა უსასრულოდ, თანაც უკიდურესად დაბალ ფასებში. შესაბამისად, ასეთმა აქტივმა ვერ უზრუნველყო დასამუშავებლად საჭირო სასურველი ფინანსური სახსრების მოზიდვა და მიწების დიდი ნაწილი დარჩა დაუმუშავებელი. სწორედ ამ რეალობამ განაპირობა ზემოთ აღნიშნული მითის არსებობა.

მითი 50. მიწის მესაკუთრეებს არ შეუძლიათ მოაგვარონ სარწყავი/ირიგაციის სისტემა, ამიტომ უნდა განახორციელოს მთავრობამ

ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, მართლაც რომ შეუძლებელი ხდება ფერმერების მიერ მსგავსი პროექტების დაფინანსება. ფერმერები არათუ სარწყავი არხების დაფინანსებას, ხშირ შემთხვევაში, აუცილებელი აგრო სამუშაოების შესრულებასაც ვერ ახერხებენ. შესაბამისად, ფერმერების წინაშე მდგარი მთავარი პრობლემა არასაკმარისი ფინანსებია. ფინანსური პრობლემები, თავის მხრივ, გამოწვეულია იმით, რომ ფერმერების საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონება, ანუ მიწა, არის იაფი და ასევე არალიკვიდური. შესაბამისად, მთავარი მიზანი არის სწორედ ფერმერების საკუთრებაში არსებული ქონების ფასის და ლიკვიდურობის გაზრდა, მისი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორის, სახელმწიფო ქონების განკერძოების გზით.

უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებულ ქვეყნებშიც კი ისეთი პროექტებს, როგორებიცაა სარწყავი არხების გაყვანა, ხშირ შემთხვევაში ახორციელებს სახელმწიფო. ამის მიზეზი ის კი არ არის, რომ ფერმერებს მსგავსი პროექტების დაფინანსება არ შეუძლიათ, არამედ ის, რომ ძალიან მომზადებული ფერმერები საკუთარი ლობისტების საშუალებით მთავრობას აიძულებენ, მათ სასარგებლოდ დახარჯონ ფინანსები. ამ თვალსაზრისით, განვითარებულ ქვეყნებში და ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, გვაქვს რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა.



მითი 51. გლეხის მოსავალი სახელმწიფომ *უნდა ჩაიბაროს*

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს ფუნქციებში არანაირად არ შედის მოსავლის ჩაბარება და არც ამის საჭიროება დგას. საბაზრო ეკონომიკის წარმატება იმით განისაზღვრება, რომ ერთმანეთთან თავისუფალ კონკურენციაში მყოფი ფირმები, ცდილობენ, მომხმარებელს საქონელი და მომსახურება შესთავაზონ მაქსიმალურად დაბალ ფასში ან მაღალი ხარისხით. არსებული ურთიერთობა იწვევს მოთხოვნას ტექნოლოგიების განვითარებაზე და, საბოლოოდ, ვიღებთ პროგრესს. თუ სახელმწიფო ითამაშებს მომხმარებლის, ანუ საქონლისა და მომსახურების მყიდველის როლს, ამ შემთხვევაში, ის ავტომატურად ქმნის ყალბ ორიენტირებს ეკონომიკაში და, საბოლოოდ, ეკონომიკური სუბიექტები უკვე ვერ ახდენენ რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას, ანუ მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური მოგების მიღებას.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სამართლიანობის პრინციპიც. სახელმწიფო თუ მოახდენს წარმოებული მოსავლის შემენას, ამას ის შეძლებს მხოლოდ გადასახადის გადამხდელების მიერ გადახდილი ფულით, ანუ სხვა დარგიდან ამოღებული ფულით, რომელთა ინტერესში, შესაძლოა, საერთოდ არ იდგეს მოცემული საქონლის და მომსახურების შეძენა.

მითი 52. როდესაც ფერმერებს მოყვანილი პროდუქციის რეალიზაცია უჭირთ, მთავრობამ უნდა იყიდოს/გაყიდინოს

მოცემული მიდგომა, მარტივად რომ ვთქვათ, კომუნისტურია. მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაერიოს საბაზრო ურთიერთობებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ მივიღებთ ძალიან ბევრ უარყოფით შედეგს. ფერმერების მიერ წარმოებული საქონლის შეძენის პრაქტიკა ახსოვს არა მარტო კომუნისტური, არამედ საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებსაც. ასეთი პრაქტიკის შედეგად, მეოცე საუკუნის შუა წლებში, ევროპის ქვეყნებში დადგა შეძენელი საქონლის მთები.

უფრო კონკრეტულად, აქ საუბარია ევროკავშირის პოლიტიკაზე, რომლის მიზანიც სოფლის მეურნეობის განვითარება იყო. XX საუკუნის შუა წლებში ევროკავშირი ფერმერებისგან ყიდულობდა პროდუქტებს იმაზე ძვირად, ვიდრე ეს მსოფლიოში იყო. აქედან გამომდინარე, ევროკავშირი წელიწადში კარგავდა იმ მოცულობის თანხას, რაც საკმარისი იქნებოდა პირობითად ერთი Boeing-ის შესაქმნელად. აქედან გამომდინარე, პასუხი მარტივია. თუ კომპანიას უჭირს გარკვეული საქონლის გაყიდვა ბაზარზე, ეს ორი მიზეზით აიხსნება: 1) ბაზარზე მსგავს პროდუქტზე მოთხოვნა მცირეა, 2) სხვა კონკურენტები უფრო ეფექტურები არიან წარმოებაში და ამ კომპანიას სჯობნიან. ორივე შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან კომპანიის დახმარება და მისი პროდუქციის შეძენა გაუმართლებელი და არაეფექტიანია, რადგან ეს პროცესი ქვეყნის ბიუჯეტს არარაციონალური ხარჯვისკენ უბიძგებს.

ფერმერები თუ სხვა ეკონომიკურ სუბიექტები იმიტომ ვერ ახერხებენ შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის პროდუქციის წარმოებას, რომ ისინი ფინანსურად არ არიან ძლიერები, როცა მწარმოებელს შესაბამისი ფინანსური შესაძლებლობები აქვს, ის უზრუნველყოფს მისი პროდუქციის მოთხოვნად ბაზარზე გასვლას.

თუ მწარმოებელი პროდუქტს ვერ ყიდის, ან ხარისხის პრობლემა აქვს, ან ბაზრისთვის არამოთხოვნად პროდუქტს აწარმოებს, ან ბაზარზე მომხმარებლები არიან დაბალმყიდველუნარიანები და მიუხედავად მათი სურვილისა, ფული არ აქვთ რომ ეს პროდუქტი შეიძინონ.

ა. მწარმოებელს თუ ფინანსური შესაძლებლობები აქვს, ის მაღალი ხარისხის პროდუქტს აწარმოებს და ბაზრის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს,

ბ. მწარმოებელს როცა ფინანსები აქვს, ის დამოუკიდებელია წარმოების პროცესში და აწარმოებს იმ პროდუქტს, რომელზეც არის მოთხოვნა, ხოლო როცა ფინანსურად და, შესაბამისად, საწარმოო ფაქტორებით დაბალგანვითარებულია, როცა დამოკიდებულია სახელმწიფოს დახმარებაზე, მთავრობა კარნახობს თუ რა აწარმოოს, ხშირ შემთხვევაში კი, უფინანსებს და სტიმულს აძლევს აწარმოოს ისეთი პროდუქტი, რაზეც ბაზარზე არ არის მოთხოვნა. ამის შემდეგ, როცა მთავრობა შეწყვეტს დახმარებას, ფინანსურად არამდგრად მწარმოებელს შეატოვებს ბაზარს, რომელსაც ამ კომპანიის პროდუქტი არ სჭირდება, ამიტომაც არაკონკურენტულ პირობებში აღმოჩენილი მწარმოებელი დახმარებას კვლავ სახელმწიფოსგან ითხოვს.

გ. როცა ქვეყნის ეკონომიკა განვითარებულია, ხოლო მოქალაქეები/მყიდველები/მომხმარებლები - მაღალ შემოსავლიანები, მათ უჩნდებათ მყიდველუნარიანობა, შეიძინონ წარმოებული პროდუქცია და ბაზარიც კონკურენტულია.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო კი არ უნდა ცდილობდეს თავისი არაეფექტიანი და უშედეგო დახმარებით მწარმოებლების არასწორ სტიმულირებას, არამედ, მწარმოებლებს უნდა მისცეს შესაძლებლობა იყვნენ ფინანსურად განვითარებულები და ეკონომიკურად თავისუფლები, ხოლო, მეორე მხრივ, ბაზარზე მყიდველები გახდნენ გადახდისუნარიანები.



მითი 53. მთავრობა მუდმივად უნდა ეძებდეს ადგილობრივი მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქციისთვის გასაღების ბაზრებს

მთავრობა არ უნდა ეძებდეს არცერთი მეწარმისთვის ახალ ბაზრებს. ბაზრების ათვისება არის დარგში მოღვაწე ფირმების მიზანი და არა მთავრობის. მთავრობას შეუძლია აწარმოოს დიპლომატიური მოლაპარაკებები ცალკეულ ქვეყნებთან იმისთვის, რომ საბაზრო ურთიერთობები ქვეყნებს შორის იყოს თავისუფალი, მაგრამ ეს არამც და არამც არ ნიშნავს იმას, რომ მთავრობამ ეძებოს კონკრეტული ფირმებისთვის პროდუქციის გასაღების ბაზრები. სწორედაც მთავრობების დამსახურებით ქვეყნებს შორის თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები ხშირ შემთხვევაში არის გართულებული. ამიტომ, მთავარი ფუნქცია, რაც მთავრობას ეკისრება არის ის, რომ ხელი არ შეუშალონ საქონლისა და მომსახურების თავისუფალ გაცვლას და რეზიდენტი და არარეზიდენტი ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ეკონომიკური კავშირების ჩამოყალიბებასა და ყიდვა-გაყიდვას.

მითი 54. ფერმერები სასოფლო პროდუქტებს ხანგრძლივად ვერ ინახავენ, ამიტომაც სასაწყობე მეურნეობა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ

უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობა თავის მხრივ არის სასურსათო-სამრეწველო კომპლექსის ნაწილი. განცალკევებუ-

ლად ფერმერი არ შეიძლება აკეთებდეს ყველაფერს, პროდუქციის მოყვანიდან დაწყებული, მისი გადამუშავებით დამთავრებული. როგორც წესი, განვითარებულ ქვეყნებში წარმოების პროცესი მჭიდროდ და კომპლექსურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

საქართველოს მსგავს ქვეყნებში ფერმერები და სხვა ეკონომიკური სუბიექტები განიცდიან ფინანსური სახსრების დეფიციტს და უჭირთ ძვირადღირებული პროექტების განხორციელება. შესაბამისად, ისინი ხშირად მიმართავენ მთავრობას ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად, ხოლო ერთ-ერთი აქტუალური საკითხი სწორედ მიღებული მოსავლის დასაწყობებაა. სინამდვილეში კი მთავრობის ჩარევა ასეთ ეკონომიკურ საქმიანობაში არის შეცდომა და მიუღებელი, რადგან მხოლოდ დამოუკიდებელ მეწარმეს შეუძლია, ამ სფეროში რესურსები გადაანაწილოს ოპტიმალურად, რაც ეკონომიკის ჯანსაღი ფუნქციონირების ერთადერთი შესაძლებლობაა.

საქართველოსა და ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში ეკონომიკური აქტივების გამოცოცხლება, ანუ მათი განკერძოება, მსგავსი საკითხების მოგვარების ერთადერთი შესაძლებლობაა. გაჩენილი კერძო ფინანსური რესურსი თავისთავად მოაგვარებს არსებულ პრობლემას და მას არ დასჭირდება ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების გამოყენება.

მითი 55. სახელმწიფომ ფერმერებისთვის გადამამუშავებელი საწარმოები უნდა შექმნას

იმის მიუხედავად, რომ კომუნისტური რეჟიმის ეკონომიკამ საპირისპირო დაამტკიცა, დღესაც ფაქტია ამ მითის აქტუალურობა. მოქალაქეების ნაწილს მიაჩნია, რომ სახელმწიფომ, მართლაც, უნდა შექმნას ისეთი საწარმოები, რომლებიც ფერმერე-

ბისთვის უზრუნველყოს მოსავლის მოყვანას და მის გადამუშავებას.

წარმოება მხოლოდ მაშინ ხდება ეფექტიანი, როდესაც ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის პირობებში, ეკონომიკური სუბიექტები არიან ერთმანეთთან კონკურენციაში. ამ პირობებში ისინი ცდილობენ, საკუთარი ინიციატივით და ხარჯებით მაქსიმალურად შეამცირონ წარმოებული პროდუქციის ფასი და გაზარდონ მისი ხარისხი. მსგავსი სტიმულები სახელმწიფო საწარმოს არ გააჩნია, რადგან ის არ არის ბაზარზე და მოგებაზე ორიენტირებული, მუშაობს ზარალზე. რადგან მსგავსი საწარმო სახელმწიფო ბიუჯეტიდან უწყვეტად ფინანსდება, მის მენეჯერებსაც არ აქვთ მოტივაცია, მოგებაზე იმუშაონ, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე უფრო პოლიტიკური გემოვნების მიხედვით ინიშნებიან, ვიდრე სამეწარმეო უნარის. შესაბამისად, ნებისმიერი მცდელობა ამ მიმართულებით, რომელსაც სახელმწიფო საწარმო ახორციელებს, წინასწარ განწირულია კრახისთვის.



მითი 56. დაუმუშავებელ სასოფლო მიწაზე უნდა დაწესდეს მოცდენის გადასახადი

არსებობს მოსაზრება, რომ დაუმუშავებელ მიწაზე მთავრობის ინიციატივით მიწის გადასახადის დაწესება გაზრდის ეკონომიკურ სტიმულს და მიწის მფლობელი ვალდებული იქნება, მოცდენის გადასახადის არგადახდის მოტივაციით დაამუშაოს მიწა

და გაზარდოს წარმოება, რაც სოფლის მეურნეობის განვითარებაზე დადებითად აისახება.

სასოფლო მიწების დაახლოებით 60% ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაშია, რომელიც გაჩერებული და დაუმუშავებელია. თუ მთავრობის წევრების ინიციატივაა, რომ გაჩერებულ მიწაზე გადასახადი დაწესდეს, მაშინ თავად სახელმწიფო რატომ არ იხდის მის საკუთრებაში არსებული მიწის მოცდენის ჯარიმას?

მიწების დაუმუშავებლობის მიზეზი არის ის, რომ მიწის მფლობელს არ აქვს ფინანსური შესაძლებლობა, დაამუშაოს მიწა და მოიყვანოს მოსავალი. მას წარმოებულ პროდუქტზე იმდენად მაღალი თვითღირებულება გამოსდის, რომ მოყვანილი მოსავლის რეალიზაციით ძალიან მცირე მოგებაზე გადის ან სულაც, წამგებიანი ხდება მისი წარმოება, ამიტომაც, მას ეკონომიკური მოტივაცია არ აქვს, რომ მიწა დაამუშაოს.

მიწის მფლობელის მთავარი პრობლემა ფინანსების არქონაა. მას შემდეგ, რაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები 100%-ით გადავა კერძო საკუთრებაში, როცა მიწის ფასი გაიზრდება და ის რეალურ საბაზრო ღირებულებას გაუტოლდება, მიწის მესაკუთრეს გაუჩნდება ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, მისი კაპიტალის (მიწის) უზრუნველყოფით შეძლებს მოიზიდოს დამატებითი ფინანსები, დააინტერესოს ინვესტორები და განახორციელოს ინვესტიციები. იმ პირობებში, როცა მესაკუთრეს ფინანსებზე ხელმისაწვდომობა აქვს, დაფინანსებით შეძლებს მატერიალურ-ტექნიკური საჭიროებების შეძენას და მიწის დამუშავებას, ხოლო თუ თავად ამის სურვილი არ ექნება, შეუძლია გააქირაოს, გაყიდოს, გაანათხოვროს იმ პირობით, რომ მის მიწაზე მიღებული მოსავლის ნაწილი თავადაც მიიღოს, ამგვარად, მიწები აღარ იქნება მოცდენილი, მას ყოველთვის ეყოლება მსურველი, რადგან მიწის მაღალი ფასი მის მესაკუთრეს ფინანსების მოზიდვისა და მეურნეობის განვითარების შესაძლებლობას აძლევს.

ამგვარად, მიწის მოცდენის გადასახადის დაწესება ყოველგვარ ეკონომიკურ აზრს იქნება მოკლებული!

მითი 57. ქართველს მოსავალი იმიტომ არ მოჰყავს, რომ ზარმაცია

შეავადაროთ ერთმანეთს ორი ფერმერი:

1. ქართველი ფერმერი, რომელიც ფლობს 10 ჰა. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს. 1 ჰა-ს საშუალო ფასი არის 1 000 აშშ დოლარი (10 ჰა-ს მთლიანი ღირებულება 10 000 აშშ დოლარი).
2. სხვა ქვეყნის ფერმერი, რომელიც ფლობს 10 ჰა. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს. 1 ჰა-ს საშუალო ფასი არის 20 000 აშშ დოალრი. (10 ჰა-ს მთლიანი ღირებულება 200 000 აშშ დოლარი).

ქართველი ფერმერის მიწები, გარდა იმისა, რომ ბევრად იაფია ვიდრე სხვა ქვეყნის ფერმერის, იმითაც გამოირჩევა, რომ ნაკლებად ლიკვიდურია. თუ ორივე მათგანი მოინდომებს საკუთარი მიწების დასამუშავებლად ფინანსების მოზიდვას, პირველ მათგანს მაქსიმუმ შეეძლება მოიზიდოს 5,000 აშშ დოლარი შედარებით მაღალი პროცენტით (დაბალი ლიკვიდურობის გამო, დაბალი კონკურენციისა და ა.შ.), ხოლო მეორეს, დაახლოებით 100,000 აშშ დოლარი ბევრად უფრო სასურველი პირობებით. როგორ ფიქრობთ, რომელი მათგანი უფრო ეფექტიანად დაამუშავებს თავის მიწას? რომელი მათგანის წარმოება იქნება უფრო ეფექტიანი და წარმატებული თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების შემთხვევაში? მართლა ფიქრობთ, რომ სიზარმაცეა აქ მიწების დაუმუშავებლობის, ან უფრო არაეფექტიანად დამუშავების მთავარი მიზეზი? თანამედროვე წარმოება სიზარმაცეზე დამოკიდებული არ არის, ის დამოკიდებულია საჭირო ფინანსების ხელმისაწვდომობაზე.

როცა ქვეყანაში წარმოების დაბალი განვითარების ამოსავალ მიზეზად სიზარმაცეს ასახელებენ, ეს მსუბუქად რომ ვთქვთ, შემფასებლის არაკვალიფიციურობაზე და მოვლენების არაადეკვატურ შეფასებაზე მიუთითებს.

მთავრობის ბალანსზე უმოქმედოდ არსებული უზარმაზარი ეკონომიკური აქტივები ამცირებს ქვეყნის ეკონომიკურ აქტივობას, შემოსავლებისა და ეკონომიკური დოვლათის ზრდის პერსპექტივებს უკარგავს ადამიანებს. შესაბამისად, უპერსპექტივობა ადამიანების ეკონომიკურ არააქტიურობის ზრდასაც იწვევს.

ინვესტიციებს იზიდავს მაღალი კაპიტალიზაციის მქონე აქტივები. ეკონომიკურად მიმზიდველი აქტივები, იქნება ეს მიწა, წიაღი თუ სხვ. ყოველთვის ინტერესს იწვევს ეკონომიკურ სუბიექტებში და თუ სახელმწიფომ პროცესებს ხელი არ შეუშალა, ეს აქტივები არასდროს იქნება გამოუყენებელი, ყოველთვის მოიზიდავს საქმის მკეთებელ ხალხს და მეტ ინტერესს გაუჩენს დანარჩენებს.

მითი 58. სოფლის მეურნეობა ეკონომიკის მთავარი დარგია

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის წილი ეკონომიკაში 1,5%-დან 9,0%-მდე მერყეობს. ის მნიშვნელოვნად ჩამორჩება წარმოების (საშუალოდ 25-30%) და მომსახურების სფეროებს (საშუალოდ 65-70%). ტრადიციულად სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირთა რაოდენობა 1-დან 5%-მდე მერყეობს. ქვეყნები, სადაც სოფლის მეურნეობა არის წამყვანი დარგი, გამოირჩევიან უკიდურესად დაბალი ეკონომიკური მაჩვენებლებით. განსაკუთრებით ეს ითქმის აფრიკის ქვეყნებზე.

ხშირ შემთხვევაში, საზოგადოებაში დამკვიდრებულია ასეთი სტერეოტიპი, რომ, როცა სოფლის მეურნეობის წილი მცირდება მშპ-ში, ის აუცილებლად ნიშნავს, რომ დარგი ვერ ვითარდება. სინამდვილეში, სოფლის მეურნეობის განვითარებას არ

განსაზღვრავს მისი წილი მშპ-ში. მაგ; განვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში არის ძალიან დაბალი, ასევე დასაქმებულთა წილი მთლიან დასაქმებულებშიც არის მცირე. საპირისპიროდ, რაც უფრო გადავდივართ განვითარებად და დაბალ განვითარებად ქვეყნებში, აქ სოფლის მეურნეობის პროცენტული მაჩვენებელი მშპ-ში და აქ დასაქმებულთა წილიც იზრდება. ის რომ განვითარებულ ქვეყნებში დაბალია სოფლის მეურნეობის წილი, ეს არ ნიშნავს, რომ იქ სოფლის მეურნეობა არ არის განვითარებული, პირიქით სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებით ბევრადაც უსწრებს განვითარებად ქვეყნებს, მაგრამ განვითარებულ ქვეყნებში ბევრად მაღალია მომსახურების სფეროს წილი, იმდენად, რომ სოფლის მეურნეობის პროცენტი მასთან მიმართებით შემცირდა. ამასთან, თანამედროვე ტექნოლოგიების არსებობამ მოიტანა ის, რომ ადამიანის გასაკეთებელ მძიმე სამუშაოებს ასრულებს ტექნოლოგიები, მოსახლეობის უმეტესობა კი გადასულია მომსახურების სფეროში დასაქმებაზე და აქვთ უსაფრთხო სამუშაო პირობები, ეს ამავე დროს ამცირებს სამუშაოზე მიღებული ფიზიკური ტრავმების ალბათობას, საპირისპიროდ დაბალ განვითარებადი ქვეყნებისა, სადაც ადამიანები ძირითადად დასაქმებულები არიან ფიზიკურად, ეწევიან ჯანმრთელობისათვის სარისკო სამუშაოებს და აქ მიღებული ტრავმიანობის ალბათობაც იზრდება. განვითარებულმა ქვეყნებმა მოახერხეს, რომ ნაკლები რესურსით (დრო, კაპიტალი, სამუშაო ძალა) აწარმოონ უფრო მაღალი ღირებულების საქონელი ან მომსახურება, ვიდრე ამას აკეთებენ დაბალი განვითარების ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი მთლიან დასაქმებულთა შორის, მსოფლიო ბანკის მონაცემები, 2017 წელი

	ქვეყანა	სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში %	სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი მთლიან დასაქმებაში %
1	შვეიცარია	0.7	3.0
2	გერმანია	0.8	1.0
3	საფრანგეთი	3.0	1.5
4	ჰოლანდია	2.0	1.9
5	რუსეთი	3.6	6.0
6	აზერბაიჯანი	5.6	36.0
7	თურქეთი	6.1	19.0
8	საქართველო	6.9	43.0
9	სომხეთი	14.9	33.0
10	ბურკინა ფასო	28.7	29.0
11	სიერა ლეონე	60.3	59.0

საერთაშორისო ვაჭრობა

მითი 59. მოსახლეობის კეთილდღეობისათვის იმპორტი არის ცუდი, ხოლო ექსპორტი - კარგი

მცდარი შეხედულებაა გავრცელებული, რომ თითქოს მხოლოდ ექსპორტს მოაქვს სიკეთე და ქვეყნისთვის იმპორტი ცუდია. ცხადია, რაც უფრო დიდია ექსპორტი, ეს ნიშნავს, რომ ადგი-

ლობრივი წარმოება ვითარდება, მაგრამ ამის პარალელურად, უარი არ უნდა ვთქვათ იმპორტზე შემდეგი მიზეზების გამო:

ა. იმპორტი იძლევა კონკურენციის დონის ზრდას. ადგილობრივ წარმოებულ პროდუქტებთან ერთად იმპორტირებული პროდუქტი მომხმარებელს არჩევანს უზრდის და, ამასთან, იაფ პროდუქტზე ხელმისაწვდომობას;

ბ. იმას, რასაც ძვირად ან საერთოდ ვერ აწარმოებ ქვეყანაში, ყიდულობ, განსაკუთრებით ეს ტექნოლოგიებს ეხება. შეუძლებელია, ვინმეს მობილური ტელეფონი ან კომპიუტერის ქონა არ უნდოდეს იმ მოტივით, რომ იმპორტი ცუდია და აზარალებს ქვეყანას;

გ. ხშირ შემთხვევაში, იმპორტი ნედლეულის სახით ადგილობრივ წარმოებაშივ გამოიყენება, ამიტომ იმპორტის შეზღუდვით ადგილობრივი წარმოებაც დაზარალდება;

დ. შეუძლებელია, ერთმა ქვეყანამ საერთოდ ყველაფერი აწარმოოს, ეს უტოპიაა, ხოლო ნებისმიერი ფორმით იმპორტის შეზღუდვა ქვეყნის ეკონომიკაზე და, შესაბამისად, მის მოქალაქეებზე უარყოფით შედეგებს მოიტანს.

თავისუფალი ვაჭრობის შედეგად, როდესაც საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობა ხორციელდება თავისუფლად, ადამიანები იღებენ სარგებელს. მომხმარებლებს შეუძლიათ საქონლისა და მომსახურების უფრო იაფად ყიდვა, ვიდრე მის ყიდვას შეძლებდნენ ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში. ასევე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ფულადი სარგებლის გარდა, თავისუფალი ვაჭრობის შედეგად, მომხმარებლების არჩევანის მრავალფეროვნება არის უფრო მაღალი.

მე-18 საუკუნის გამოჩენილ ბრიტანელ ეკონომისტს დეივიდ რიკარდოს ეკუთვნის ალტერნატიული დანახარჯისა და შეფარდებითი უპირატესობის თეორია, რომელიც შესანიშნავად ხსნის ქვეყნისთვის იმპორტისა და ექსპორტის თანაბარმნიშვნელოვნებას. აღნიშნული მოდელი გვეუბნება, რომ ქვეყანას აქვს პრო-

დუქტის წარმოებაში შეფარდებითი უპირატესობა, თუკი ამ ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის ალტერნატიული დანახარჯი უფრო ნაკლებია, ვიდრე მეორე ქვეყნისა. მაგალითისთვის, თუკი ქვეყანა A ნაკლები დანახარჯებით აწარმოებს ტექნიკას, ვიდრე ქვეყანა B, ამავდროულად, ქვეყანა B შედარებით ნაკლები დანახარჯებით აწარმოებს საკვებ პროდუქტებს, ვიდრე ქვეყანა A, უმჯობესია თუ ქვეყანა A თავისი საწარმოო რესურსების უმრავლესობას მიმართავს ტექნიკის წარმოებაში და მოიპოვებს შედარებით უპირატესობას, ხოლო ქვეყანა B საკუთარ საწარმოო რესურსს მიმართავს საკვები პროდუქტების წარმოებაში. საბოლოოდ, როდესაც ქვეყანა სპეციალიზირდება იმ პროდუქტის წარმოებაში, რომელშიც მას აქვს შეფარდებითი უპირატესობა, შედეგად უფრო მეტი საქონელი იწარმოება და მოიხმარება.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვაჭრობა სარგებლის მომტანია ორივე ქვეყნისთვის, თუკი ქვეყნებს ექსპორტზე გააქვთ ის საქონელი, რომელშიც მათ შეფარდებითი უპირატესობა გააჩნიათ და ექსპორტის საპირწონედ მოიხმარენ იმპორტირებულ პროდუქციას, რომლის წარმოებაზეც მათ დანახარჯები არ გაუწევიათ.

მითი 60. თავისუფალი ვაჭრობა დაბალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკისთვის არის საზიანო

სინამდვილეში არის პირიქით! თავისუფალი ვაჭრობა არათუ ხელს უშლის ეკონომიკის განვითარებას, არამედ ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარებისათვის არის მთავარი სტიმულის მიმცემი.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ისტორიაში არ არსებობს ფაქტი, როდესაც თავისუფალმა სავაჭრო ურთიერთობებმა ხელი შეუშალა ქვეყნის განვითარებას. სამაგიეროდ, ძალიან ბევრია ისეთი ფაქტები, როდესაც კარჩაკეტილმა ეკონომიკამ უდი-

დესი პოტენციალის მქონე ქვეყნების ეკონომიკის განვითარება შეზღუდა.

თავისუფალმა სავაჭრო ურთიერთობებმა მისცა უდიდესი შესაძლებლობები ისეთ ქვეყნებს, როგორიც არის სამხრეთ კორეა, იაპონია, დასავლეთ ევროპის ქვეყნები და სხვა. ეკონომიკის ჩაკეტვამ და თავისუფალ ვაჭრობაზე უარის თქმამ დააკნინა ისეთი უდიდესი პოტენციალის მქონე ქვეყნების ეკონომიკები, როგორიც არის პაკისტანი, ინდოეთი და სხვ.

თავისუფალი ვაჭრობის პირობებში, პირიქით, დაბალეკონომიკური განვითარების ქვეყნებმა შეიძლება ისარგებლონ მაღალგანვითარებული ქვეყნებისგან. ის პროდუქტები, რაც მაღალგანვითარებული ეკონომიკის პირობებში იწარმოება, წარმოების დაბალი განვითარების გამო ვერ იწარმოება განვითარებად ქვეყნებში, ამიტომ ასეთი ქვეყნები მომხმარებლები ხდებიან მაღალტექნოლოგიური პროდუქტების, ეს სარგებლიანობა მით უფრო იზრდება, რაც გარკვეულ პროდუქტებზე განვითარებულ ქვეყნებში ხდება ფასების კლება და განვითარებად ქვეყნებში გაედინება.

მითი 61. განვითარებული ქვეყნები თავისუფალ ვაჭრობაში იგებენ დაბალგანვითარებული ქვეყნების ხარჯზე და ეწევიან მათ ექსპლუატაციას

თავისუფალი ვაჭრობა მომგებიანია როგორც განვითარებადი, ასევე განვითარებული ქვეყნებისათვის. ის იძლევა საშუალებას, თითოეულმა ქვეყანამ აწარმოოს ის საქონელი და მომსახურება, რომლის წარმოებაშიც მას აქვს შეფარდებითი უპირატესობა. თავისუფალი ვაჭრობიდან მიღებული ორმხრივი სარგებელი დათვლილი და დასაბუთებულია მათემატიკურადაც.

რაში გამოიხატება შეფარებითი უპირატესობა ? - დავუშვათ არის 2 სახელმწიფო „ხაბაზეთი“ და „მეწაღეთი“, სულ 2 საქონე-

ლი იწარმოება: პური და წუღა (ფეხსაცმელი). - ხაბაზეთში თვითკმარობისთვის საჭიროა 100 პური და 12 წუღა. 1 პურის წარმოებაზე დანახჯია 3 წუთი, ხოლო 1 წუღის დროითი დანახარჯი 30 წუთია. ანუ ხაბაზეთს თანაბარი დრო ეხარჯება 10 პურში და 1 წუღაში. იმისათვის, რომ გაზარდოს პურის წარმოება, უნდა შეამციროს წუღის წარმოება და პირიქით, თუ 1 წუღით გაზრდის წარმოებას, 10 პურით უნდა შეაციროს პურის წარმოება, რადგან რესურსი, დრო შეზღუდულია. მეწაღეთს თვითკმარობისთვის ესაჭიროება 50 პური და 10 წუღა, 1 პურის დროითი დანახარჯია 7 წუთი, ხოლო 1 წუღის დამზადების დროითი დანახარჯია 35 წუთი. გამოდის, მეწაღეთს ორივე საქონლის წარმოება უფრო ძვირი უჯდება, შესაბამისად, უნდა დავუშვათ, რომ ის ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულია, თუმცა მისთვის ვაჭრობა მაინც სასარგებლო იქნება, რადგან 1 წუღის სანაცლოდ ის თმობს 5 პურს (35 წთ/7წთ), ხოლო ხაბაზეთი 1 წუღის სანაცვლოდ თმობს 10 პურს.

პურსაც უფრო ნაკლები დანახარჯით აწარმოებს ხაბაზეთი და წუღსაც. აქედან გამომდინარე, მომგებიანი იქნება სავაჭრო ურთიერთობა, თუ ხაბაზეთი მეტ პურს გამოაცხობს ხოლო მეწაღეთი მეტ „წუღას“ დაამზადებს და გაცვლიან ერთმანეთში.

- მაგალითად, ხაბაზეთმა აწარმოოს 170 პური და 5 წუღა, ხოლო მეწაღეთმა დაამზადოს 20 წუღა ნაცვლად პურისა. ხაბაზეთი მზად იქნება 10 პურზე ნაკლებ რაოდენობაში შეიძინოს წუღები და მეწაღეთი ასევე მზადაა, 5 პურზე უფრო მეტ ნებისმიერ რაოდენობად გაცვალოს წუღები. დავუშვათ, გარიგება შედგა 8 პურად (იცვლება 1 წუღა 8 პურზე) ხაბაზეთი ყიდულობს 1 წუღას მეწაღეთისგან, ხოლო მეწაღეთი პურს ხაბაზეთისგან. ხაბაზეთს შეუძლა იყიდოს 8 წუღა მეწაღეთისგან, შედეგად, ჯამში მას გაუჩნდება 8+5 წუღა = 13 წუღა იმაზე მეტი, რისი წარმოებაც შეეძლო, ასევ მას დარჩება უფრო მეტი პურიც რადგან, 170 პურიდან 8 წუღაში გადაიხადა 64 პური და დარჩა 106 პური. შესაბამისად, გამოდის, რომ იგივე დროითი დანახარჯით ხაბაზეთ-

მა 100 პურის და 12 წუღის ნაცვლად მიიღო მეტი - 106 პური და 13 წუღა.

ასევე, მეტი დოვლათი მიიღო მეწაღეთმაც. მან 8 წუღის სანაცვლოდ მიიღო 64 პური და ასევე დარჩა 12 წუღა. მაშინ, როდესაც მას შეეძლო იგივე დროითი დანახარჯით მხოლოდ 50 პურის და 10 წუღის წარმოება. ჯამში ორივეგან (ხაბაზეთი და მეწაღეთი) საზოგადოებრივი დოვლათი გაიზარდა 20 პურითა და 3 წუღით.

ეს თეორია ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შეიმუშავა ეკონომისტმა დევიდ რიკარდომ (1972-1823), როგორც შეფარდებითი უპირატესობა და ის დღესაც კანონზომიერია და რაც მთავარია, თავისუფალი ვაჭრობიდან ორივე მხარე რჩება მოგებული.

აღნიშნული ძალიან ჰგავს ქართულ ანდაზას - „პური მეპურემ უნდა აცხოს“. შესაბამისად, ნებისმიერ ქვეყანას, მიუხედავად იმისა განვითარებულია, თუ ნაკლებად განვითარებული, ყოველთვის გამოენახება რაღაც საქონელი/მომსახურება, რაშიც ექნება შეფარდებითი უპირატესობა მაინც, რაც ვაჭრობას მომგებიანს ხდის.

სწორედ ვაჭრობის შესაძლებლობამ მისცა საშუალება დაბალგანვითარებულ ქვეყნებს, ესარგებლათ მაღალი ტექნოლოგიებით, გამოეყენებინათ ისეთი საქონელი და მომსახურება, რომლის წარმოებასაც ისინი საკუთარი რესურსებით ვერ შეძლებდნენ, ან შეძლებდნენ ძალიან დიდი რესურსების დახარჯვის შედეგად.

შესაბამისად, მოსაზრება, რომ განვითარებული ქვეყნები თავისუფალი ვაჭრობის შედეგად ეწევიან დაბალგანვითარებული ქვეყნების ექსპლუატაციას არის ***სიცრუე.***

ერთადერთი პრობლემა, რაც დაბალგანვითარებულ ქვეყნებს აქვთ, არის ის, რომ ასეთ ქვეყნებში ძირითადი ქონება არის იაფი. თუმცა ეს შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების შედეგად შექმნილი პრობლემა,

რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს, სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებში.

მითი 62. ქვეყანა უნდა აწარმოებდეს თვითკმარი რაოდენობის სურსათს

მოცემული მიდგომა ძალიან პოპულარულია განვითარებად ქვეყნებში და ცნობილია ე.წ. სასურსათო უსაფრთხოების სახელით. სინამდვილეში, ამ ერთი შეხედვით ჰუმანური და აუცილებელი იდეის უკან დგას შემდეგი - დიდი სახელმწიფო, რეგულირებული/სუბსიდირებული ბაზრები და ფინანსური რესურსების მიმართვა, მთავრობის მიერ წინასწარ შერჩეული ფირმების მიმართულებით, რაც თავისთავად არის კორუფციის წყარო. თანამედროვე ეტაპზე, პრაქტიკულად ომებში ჩართულ ქვეყნებსაც არ ეზღუდებათ საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულობა და არ ექმნებათ სურსათის ნაკლებობა.

ყველა შესაძლო შემთხვევაში, ქვეყანა მაინც უფრო მოგებულია მაშინ, თუ აწარმოებს იმ საქონელს და მომსახურებას, რომლის წარმეობაშიც მას გააჩნია შეფარდებითი უპირატესობა. ქვეყნის ეკონომიკური სუბიექტები კი მიღებულ შემოსავლებს ანაწილებენ ისე, რომ მათ არ ექმნებათ სურსათის დეფიციტი. ეს ყველაფერი უზრუნველყოფილია საერთაშორისო ვაჭრობით და არ საჭიროებს მთავრობების არავითარ ჩარევას.

მთავარი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, მოსახლეობის ფინანსური დამოუკიდებლობა და მაღალი მყიდველუნარიანობაა! ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანაში, სადაც ფინანსურად ძლიერი მოქალაქეები არიან, იმ ქვეყნის წარმოებაც იზრდება და მოსახლეობასაც აქვს იმის შესაძლებლობა, რომ სურსათის საჭირო რაოდენობა შეიძინოს.

მითი 63. ქვეყანა თუ ვერ აწარმოებს საკმარის სურსათს და რომ არ იყოს დამოკიდებული იმპორტზე, მთავრობამ უცხო ქვეყნებიდან უნდა შეიძინოს საჭირო მარაგები

მსგავსი პრაქტიკა ძალიან პოპულარული იყო არა მხოლოდ დაბალგანვითარებულ, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც კი, მაგრამ ძალიან მალე გამოაშკარავდა ძირითადი შინაარსის აბსურდულობა. თანამედროვე მსოფლიო ისე არის მოწყობილი, რომ პრაქტიკულად ყველა ქვეყანა ჩართულია საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში და საომარი პროცესის დროსაც კი შეუძლებელი ხდება რომელიმე ქვეყნის სრულ იზოლაციაში მოქცევა ისე, რომ მოცემული ქვეყნის მოსახლეობა დარჩეს საკვები პროდუქტების გარეშე.

გარდა ამისა, მთავარი პრობლემა არის ის, რომ ხსენებული სურსათის და მარაგების შემენას ამ მიდგომით ახორციელებენ არა კერძო სუბიექტები, არამედ მთავრობები. შესაბამისად ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობების მიერ სურსათის შემენა უკვე პირდაპირ უკავშირდება კორუფციის მაღალ რისკებს. გარდა ამისა, შეუძლებელია მთავრობამ რაციონალურად განსაზღვროს საჭირო პროდუქტის რაოდენობა, რაც პირდაპირ უკვე ნიშნავს ბიუჯეტში არსებული ფინანსური სახსრების არარაციონალურად გამოყენებას.

კერძო სუბიექტები რაციონალურად, საჭიროების მიხედვით ქმნიან მარაგებს, სწორად რეაგირებენ ბაზარზე შექმნილ მდგომარეობაზე, პირადი ინტერესებით მოქმედების დროს არიან ეფექტიანები, ხოლო მთავრობა კი არაეფექტიანია, მას თავისი სტიმულები აქვს, რაც ვლინდება კორუფციაში, მისთვის მისაღები ქვეყნისა თუ ბაზრების პროდუქციის ათვისებაში, მას არ უდევს ეკონომიკის პულსზე ხელი და ზუსტად ვერასდროს ვერ განსაზღვრავს ამდენ ინდივიდში ვის, რა და რამდენი სჭირდება.

მითი 64. სწრაფი ეკონომიკური განვითარებისთვის ექსპორტი უნდა დავასუბსიდიროთ

ექსპორტის სუბსიდირება, მთავრობის მხრიდან არის თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობის წინააღმდეგ მიმართული აქტი. აღსანიშნავია ის, რომ თანამედროვე ეტაპზე, ღიად, მსგავს პოლიტიკას პრაქტიკულად არცერთი ქვეყანა არ მიმართავს.

ექსპორტის სუბსიდირების დაფინანსება რასაკვირველია ხდება ქვეყნის ბიუჯეტიდან, რაც რბილად რომ ვთქვათ არარაციონალურია და ასევე არასამართლიანი. უმეტეს შემთხვევაში ცხადია, რომ მთავრობის მიერ წინასწარ განსაზღვრული დარგები ან ფირმები, რომლებიც ექსპორტის სუბსიდიას მიიღებენ, არიან ისინი, რომლებიც თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობის დროს ვერ აღწევენ წარმატებას. მსოფლიო პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ მსგავსი სუბსიდიების შედეგად ეს ფირმები მაინც ვერ აღწევენ წარმატებას და ვერ ხდებიან წარმატებული მსოფლიო ბაზარზე. შესაბამისად, ეს პოლიტიკა არის არაეფექტიანი და რათქმაუნდა არასამართლიანი, რადგან სუბსიდირება ხდება ხალხის მიერ გადახდილი ფულით, რომელთაც ისინი დახარჯავდნენ სულ სხვა მიმართულებით, თან რაც მთავარია ეფექტიანად და სწორედ იმ დარგში/დარგებში დახარჯავდნენ რაც მომხმარებლებისთვის არის პრიორიტეტული (შესაბამისად პრიორიტეტული დარგების განვითარებას შეუწყობს ხელს).

მითი 65. კონკრეტულ საქონელსა და მომსახურებაზე მაღალი საბაჟო გადასახადები იძლევა ამ საქონლისა და მომსახურების განვითარების გარანტიას

მოცემული პოლიტიკა ცნობილია „ახალგაზრდა დარგის არგუმენტის“ სახელწოდებით. იგი გულისხმობს, რომ ქვეყანაში არსებული ფირმები არიან განუვითარებელი და მათ ჯერ არ შეუძ-

ლიათ მსოფლიოს განვითარებულ კომპანიებთან კონკურენცია, მაგრამ აქვთ წარმოების დანახარჯების შემცირების და დიდი წარმატების მიღწევის პოტენციალი. შესაბამისად, ქვეყნები ასეთ ფირმებს იცავენ უცხო ქვეყნის კომპანიების კონკურენციისგან, იმ იმედით, რომ შიდა კონკურენცია შეამცირებს წარმოების დანახარჯებს გარკვეული დროის განმავლობაში და შემდეგ ისინი მიაღწევენ წარმატებას მსოფლიო ბაზარზე. სამწუხაროდ, ასეთმა პოლიტიკამ შედეგს ვერ მიაღწია. მაღალი საბაჟო ტარიფებით ადგილობრივი ბაზრის დაცვამ, უმეტეს შემთხვევაში არ გამოიწვია არსებულ დარგში წარმოების დანახარჯების შემცირება. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ იგივე ინდოეთი და პაკისტანი, რომლებიც გადამამუშავებელი წარმოების წარმომადგენელ კომპანიებს იცავდნენ უცხოეთის კონკურენციისგან, მაგრამ თუნდაც გრძელვადიან პერიოდში მათ ვერ შეძლეს მიზნის მიღწევა. საბოლოოდ მოხდა ისე, რომ დაზარალდნენ მხოლოდ ქვეყნის მომხმარებლები, რომლებსაც შეეზღუდათ თავისუფალი ვაჭრობის შედეგად მიღებული მრავალფერვანი არჩევანი და იაფი პროდუქტი. იმისათვის, რათა ეს მაგალითი უფრო ნათლად ავხსნათ, განვიხილოთ შესაბამისი გრაფიკი:

სანამ გრაფიკის განხილვაზე გადავალთ, პირველ რიგში, განვმარტოთ, რას ნიშნავს მომხარებლის სარგებელი და რას ნიშნავს მწარმოებლის სარგებელი. მომხარებლის სარგებელი ნიშნავს სხვაობას, გადახდისთვის მზადყოფნასა და იმ თანხას შორის, რომელსაც ის რეალურად იხდის. მაგალითად, ჩემს ყოველდღიურობაში პროდუქტი ,,A'' არის ძალიან მნიშნველოვანი და მე მზად ვარ პროდუქტი ,,A''-ს შესაძენად 10 ლარი გადავიხადო, თუმცა მაღაზიაში რომ შევდივარ ეს პროდუქტი მხოლოდ 6 ლარი ღირს, ანუ ჩემი სარგებლიანობა არის 10-6=4 ლარი. გრაფიკულად მომხმარებლის სარგებელი გამოისახება, როგორც მოთხოვნის მრუდის ქვემოთ ფასის ხაზით შემოსაზღვრული. რაც შეეხება ადგილობრივი მწარმოებლის სარგებელს, ის გამოისახება, როგორც მიწოდების მრუდის ზემოთ ფასის ხა-

ზით შემოსაზღვრული. ეს განმარტება ამ გრაფიკის ახსნას გაგვიმარტივებს. ახლა კი განვიხილოთ გრაფიკი:



როგორც ვხედავთ, მსოფლიო ფასი არის რაღაც P(world), მაგალითად, კარტოფილის მსოფლიო საბაზრო ღირებულება არის $3. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ მთავრობამ გადაწყვიტა, კარტოფილის ადგილობრივი წარმოების განვითარება, მაგრამ ჩვენ შედარებით არაეფექტიანები ვართ და ერთი კგ კარტოფილს $5 ვყიდით. გამოდის, რომ იმპორტირებული კარტოფილი ჩვენსას ჯობნის, ამიტომ გადავწყვიტეთ მივმართოთ პროტექციონისტურ პოლიტიკას და დავაწესოთ იმპორტზე საბაჟო ტარიფები.

ამის გამო, ჩვენ ბაზარზე ფასი იზრდება P(world)-დან, P(tariff)-მდე, როგორც გრაფიკზეა ნაჩვენები, ანუ $3 დან $5-მდე.

რა ხდება ამ დროს?

ფასის ზრდით იგებს ადგილობრივი მწარმოებელი. როგორც ვთქვით, მწარმოებლის სარგებელი არის მიწოდების მრუდის ზემოთ, ფასის ხაზით შემოსაზღვრული. შესაბამისად, როდესაც ფასი P(tariff)-მდე იზრდება, მის სარგებლიანობას ემატება a სივრცე, ეს გრაფიკშიც კარგად ჩანს.

ფასის ზრდით იგებს ბიუჯეტიც, რადგან იმპორტს უფრო დიდი თანხებით ბეგრავს. გრაფიკზე მისი სარგებლიანობის სივრცე არის C. რადგან ჩვენი ადგილობრივი წარმოება მხოლოდ Q1-დან Q2-მდე იზრდება, ხოლო მთლიანი მოთხოვნა ჩვენს ბაზარზე არის Q3. გამოდის რომ Q2 დან Q3 მდე სირვცე არის იმპორტირებული კარტოფილი, რაც გულისხმობს დამატებით გადასახადებს ბიუჯეტში.

ამ გრაფიკზე ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც მომხმარებელია. როგორც ვთქვით, მომხმარებლის სარგებელი არის მოთხოვნის მრუდის ქვემოთ ფასის ხაზით შემოსაზღვრული. მაშინ, როცა პროტექციონისტური პოლიტიკა არ არსებობდა, მომხმარებელი საქონლის საყიდლად იხდიდა ნაკლებ თანხას და შესაბამისად, სივრცეები abcd იყო მისი სარგებელი, მაგრამ გაზრდილი ფასების პირობებში მას შეუმცირდა სარგებელი და ამის გამო დააკლდა abcd სივრცეები -(abcd).

ახლა კი მარტივი გამოთვლა: მწარმოებლის სარგებელს(a)- მომხმარებლის ზარალი(a) + ბიუჯეტის სარგებელი(c) -მომხმარებლის ზარალი(c) - მომხმარებლის ზარალი(b) -მომხმარებლის ზარალი(d) = -d და -b.

ანუ გამოდის, რომ საბოლოო ჯამში, ეკონომიკა ზარალზეა d და b წერტილებში. D წერტილი ეს არის მიწოდების სტიმულით დამახინჯებული ზარალი. ანუ ის კარტოფილის მწარმოებელი, როცა ახლა ბევრ კარტოფილს აწარმოებს, რესურსებს იყენებს

არაეფექტიანად. არაეფექტიანად იყენებს იმიტომ, რომ მას შედარებითი უპირატესობა არ აქვს უცხოურ პროდუქციასთან. B წერტილი კი მოხმარების სტიმულით დამახინჯებული ზარალია. ანუ გაზრდილი ფასის პირობებში ჩვენ მოვიხმართ ნაკლებს და ამასთან ძვირად.

მითი 66. რაც უფრო მცირეა ქვეყანა, მით უფრო არასასურველია მისი ჩართვა თავისუფალ სავაჭრო ურთიერთობებში

სინამდვილეში არის პირიქით - რაც უფრო პატარაა ქვეყანა, ანუ უფრო მცირე რესურსებს ფლობს ის, შესაბამისად, უფრო მეტად დაინტერესებული უნდა იყოს თავისუფალ სავაჭრო ურთიერთობებში ჩართვით. ამით მას ეძლევა საშუალება, გამოიყენოს ის საქონელი და მომსახურება (ასევე ტექნოლოგიები), რომელთა წარმოების შესაძლებლობა ამ ქვეყანას არ გააჩნია.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ პატარა ქვეყნებს არ შეუძლიათ არაფრის წარმოება და ამ ქვეყნის ფირმებს არ შეუძლიათ იყვნენ წარმატებული მსოფლიო ბაზარზე. ნებისმიერი ქვეყნის ფირმას შეუძლია აწარმოოს გარკვეული საქონელი და მომსახურება, რაშიც მათ ექნებათ შეფარდებითი უპირატესობა და მიაღწიონ წარმატებას მსოფლიო ბაზარზე.

მცირე ქვეყანაში თავისუფალ ვაჭრობაში ჩართვით, მეტი პროპორციით აფართოვებენ პოტენციურ ბაზარს, ვინაიდან თავისუფალი ვაჭრობა ნიშნავს ბაზრების გაერთიანებასაც. მაგალითად, X ქვეყნის 3,7 მილიონიანი ბაზრის გაერთიანება Y ქვეყნის 37 მილონიან ბაზართან, ბაზრის სიდიდეს X ქვეყნისთვის მეტი პროპორციით ზრდის (10 ჯერ), ვიდრე Y ქვეყნისთვის.

მითი 67. სახელმწიფომ უნდა შეზღუდოს გარკვეული საქონლის ექსპორტი, რათა არ მოხდეს მისი სრული გაქრობა/დეფიციტი ადგილობრივ ბაზარზე

მსგავსი მითები შეგვიძლია გავიხსენოთ საქართველოს მაგალითზეც. როგორც ცნობილია, გარკვეული დროის განმავლობაში ხდებოდა საქართველოდან საკმაოდ დიდი რაოდენობით ცხვრების ექსპორტი. მოცემული სავაჭრო ურთიერთობებით ძალიან შეშფოთდა ადამიანთა ერთი ჯგუფი, რომელთაც მიიჩნიეს, რომ ცხვრების ექსპორტის შედეგად ეს ცხვრის ჯიშები გადაშენდებოდა და განადგურდებოდა (გავიდოდა ქვეყნიდან). რასაკვირველია, ეს არის მითი, რადგან თავისუფალი ვაჭრობის შედეგად არათუ გაქრებოდა მოცემული საქონელი, არამედ პირიქით, უფრო მეტად მოხდებოდა ამ საქონლის წარმოების განვითარება (გაშენების სტიმული). რაც უფრო იზრდება ექსპორტი, მით უფრო იზრდება ადგილობრივი წარმოება (იზრდება წარმოების მოტივაცია), რაც გამომდინარეობს მეტი მოგების მიღების სტიმულით. ეკონომიკის ერთ-ერთ პრინციპს კი ის წარმოადგენს, რომ ადამიანები სტიმულებზე ადეკვატურად რეაგირებენ.

<u>მაინც რას გამოიწვევს ექსპორტის შეზღუდვა ?</u>

დავუშვათ, დავიწყეთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტზე გასვლის შეზღუდვა - <u>პირველი:</u> მოკლევადიან პერიოდში რაც მოხდება, ეს არის კონტრაბანდის სტიმულის წარმოქმნა; <u>მეორე:</u> საქონლის ფასი მიწოდების გაზრდის გამო ადგილობრივ ბაზარზე დაიკლებს, შედეგად ზარალდებიან ამ საქონლის მწარმოებლები (ამ ვითარებაში თითქოს მოგებულია მომხმარებელი, თუმცა მხოლოდ დროებით); <u>მესამე:</u> გრძევადიანი პერიოდისთვის, დარგის წარმომადგენლები ტოვებენ ამ სექტორს, რადგან იღებენ ზარალს და ეძებენ უფრო მომგებიან სექტორებს. <u>მეოთხე:</u> იწარმოება ნაკლები საქონელი (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი), იქმნება დეფიციტი; <u>მეხუთე:</u> შედეგად იზრდება ფასი და ზარალდებიან მომხმარებლები; <u>მეექვსე:</u> დარგში

იზრდება მოგება, ხოლო მაღალ მოთხოვნაზე ადგილობრივი წარმოება სწრაფად ვერ პასუხობს (მესაქონლეობის ბუნებრივი პროცესიდან გამომდინარე), თუმცა გაზრდილ მოთხოვნას სწრაფად პასუხობს იმპორტი და ავსებს დეფიციტს და ისევ ეცემა ფასი; მეშვიდე: გრძელვადიანი პერიოდისთვის იმდენად არა მომგებიანია დარგი, რომ დარგმიტოვებული-ზარალმიღებული ფერმერები ამ დარგს დაუბრუნდნენ ან დარგი გაფართოვდეს, მერვე: შედეგად, ქვეყნის შიგნით, მოსახლეობაში მცირდება განსაკარგი შემოსავლები და მცირდება მათი კეთილდღეობა.

მითი 68. ანტიდემპინგური კანონი დაიცავს ადგილობრივ წარმოებას

დემპინგია, როდესაც იმპორტირებული პროდუქტი შემოდის თვითღირებულებაზე ნაკლებ ან საკუთარ ბაზარზე არსებულ ფასებთან შედარებით ნაკლებ ფასად და არა იმ ბაზრის ფასებზე ნაკლებად, სადაც ის შედის.

ანტიდემპინგურ კანონით მთავრობას სურს, რომ დემპინგური იმპორტისგან ადგილობრივი ინდუსტრია დაიცვას და წაახალისოს, თუმცა რამდენად რეალურია ეს "კეთილი მიზნები'' და რამდენად მიღწევადი - მეორე საკითხია.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია(WTO) დემპინგის ფასის დადგენის სამ ეტაპს იყენებს: ექსპორტიორის პროდუქტის ფასი შიდა ბაზარზე; ექსპორტიორის პროდუქტის ფასდადება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე; გაანგარიშება, რომელიც ემყარება ექსპორტიორის წარმოების ხარჯებს, სხვა ხარჯებს და მოგების გონივრულ ზღვრებს. მოსარჩელე ქვეყანას, ასევე, უნდა შეეძლოს იმის დადასტურება, რა საბაზრო ფასი უნდა იყოს აღნიშნულ პროდუქტზე და როდესაც ეს ყველაფერი გაკეთდება, მაშინ სადავო ქვეყანას შეუძლია დააწესოს ანტიპემპინგური ტარიფები. ამი-

ტომ იმის განსაზღვრა, თუ რამდენად არის დემპინგური ფასი, ძნელია და დიდ კვლევას საჭიროებს.

როგორ ფიქრობთ, ანტიდემპინგური კანონით ადგილობრივი წარმოების წახალისება იმ პირობებში, როცა ადგილობრივი წარმოება არ გვაქვს განვითარებული... წარმოიდგინეთ, გინდათ წარმოების დაწყება, მაგრამ ვერ იწყებთ, რადგან კაპიტალი არ გაქვთ. ამ დროს იმპორტირებულ პროდუქტზე მთავრობის მხრიდან ფასების ხელოვნური ზრდა რითი გვეხმარება? გახდება ეს მოტივაცია ბიზნესის დასაწყებად? ცხადია, ბაზარზე კონკრეტულ პროდუქტზე ფასი თუ მოიმატებს, თქვენ მისი წარმოებით უფრო მეტ მოგებას მიიღებთ, მაგრამ... აქ არის ერთი მაგრამ, თქვენ ფული ისევ არ გაქვთ, არ გაქვთ კაპიტალი, რითაც ფინანსებს მოიზიდავთ. სესხის გამოსატანად უზრუნველყოფაში "იმპორტულ პროდუქტზე მაღალი ფასია"-ს ჩადებთ?

მაშინ, როცა ეკონომიკური აქტივების უდიდესი წილის (სასოფლო-სამეურნეო და ურბანული მიწები, სასარგებლო წიაღისეული, შენობა ნაგებობები, წაგებაზე და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სახელმწიფო საწარმოები და სხვ.) მფლობელი დღეს სახელმწიფოა, როცა მას ეკონომიკაში არ რთავს, არ ამუშავებს, მის კაპიტალიზაციას ანულებს და ანიავებს, ხოლო ეკონომიკაში ერევა ისეთი რეგულაციებით, რაც აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას. როცა თქვენ კაპიტალის მფლობელი არ ხართ, ხოლო თუ რამეს ფლობთ, დაბალი ღირებულება აქვს და მისგან დამატებით ფინანსებს ვერ იზიდავთ... და აი ამ ყველაფერის შემდეგ, ანტიდემპინგური ფასით ადგილობრივი წარმოების წახალისებას გეგმავს?!

ჩვენ ყველანი მომხმარებლები ვართ, მწარმოებლებიც კი... ამ კანონით მომხმარებელს ეზღუდება პროდუქტის იაფად ყიდვა იმ შემთხვევაში, თუ ეს პროდუქტი დემპინგად არის აღქმული. ეს პროდუქტი სახელმწიფო ჩარევით ხელოვნურად ძვირდება და ის გაუძვირდება, არამარტო მომხმარებელს, მწარმოებელსაც, რომელიც იმპორტირებულ პროდუქტს იყენებს წარმოებაში.

ამ თემაზე კიდევ არსებობს ერთი ირაციონალური შიში, რომ ადგილობრივი წარმოების განვითარების მიუხედავად, სხვა ქვეყანა ზრდის სუბსიდიებს და იაფად შემოაქვს საქართველოში პროდუქტები, რაც მოახდენს ადგილობრივი ბაზრის სრულ ათ-ვისებას

1. ბილაინი და იანდექსი კარგი პრაქტიკული მაგალითებია, ორივეს შემოსვლას თან ახლდა შიშები და განცხადებები, რომ ქართულ ბაზარს დაიპყრობდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. 2. ეკონომიკური განვითარების შემთხვევაშიც შესაძლებელია იაფი იმპორტის შემოტანა. 3. ,,დავუშვათ განვითარდა ადგილობრივი წარმოება'' - ადგილობრივ წარმოებას აქვს პოტენციალი და ის აუცილებლად უნდა განვითარდეს (და ამას ხელს მთავრობა უშ-ლის). ახლა, ამ პირობებში, როცა ეკონომიკურად დაბალგანვი-თარებული ქვეყანა გვაქვს, მყიდველუნარიანობა დაბალი და ღარიბები ვართ, ახლა არის საუკეთესო დრო, რომ ერთმა ქვეყა-ნამ, ერთი პროდუქტით, სრულად დაიპყროს ქართული ბაზარი, მაგრამ ასე არ ხდება და რაც უფრო განვითარდება ქვეყნის ეკო-ნომიკა, ეგ რისკი მით უფრო თეორიული ხდება. 4. თეორიულ-ად, ეკონომიკურად განვითარებულ საქართველოში, რუსეთმა დაიწყო ხორბლის კატასტროფულად დაბალ ფასად შემოტანა, რამდენად რეალურია? რუსეთმა შემოიტანა, ცალსახად არ ნიშ-ნავს კრემლმა შემოიტანა, რუს ბიზნესმენს თუ შემოაქვს, ის პი-რად მოგებაზე რატომ იტყვის უარს, ის წაგებაზე არ დაიწყებს მუშაობას, მაგრამ თუ კრემლის დაფინანსებით დაიწყეს კომპა-ნიებმა პროდუქტის შემოტანა, რამდენად შესაძლებელია, რომ მილიარდები ჩადოს უწყვეტად სუბსიდირებაში მარტო იმი-ტომ, რომ ერთი პროდუქტით დომინანტი გახდეს შენს ბაზარ-ზე, აი, ყველა პროდუქტის სუბსიდირებას და სამომხმარებლო კალათაში შესული ყველა პროდუქტის ჩანაცვლებას ნამდვი-ლად ვერ შეძლებს, არც ფული ეყოფა და არც წარმოების განვი-თარების დონე. 5. და სადღაც, თეორიის ბოლო კუნჭულში, თუ მაინც მოახდინა რუსეთმა ხორბლის ბაზრის 100%-ით ათვისება და მერე უცებ კატასტროფულად გააძვირა, რა მოხდება? ადგი-

ლობრივი მწარმოებლები კვლავ დაუბრუნდებიან ხორბლის მოყვანას (რადგან მათზე ბევრად ძვირად დაიწყო რუსეთმა გაყიდვა), თუ ბაზარს არ ჩავკეტავთ, გავალთ ალტერნატიულ ხორბლის იმპორტის წყაროებზე: იქნება ეს ყაზახეთი თუ აღმოსავლეთ ევროპა. ოღონდ ეს ფორსმაჟორულ სიტუაციაში არ მოხდება, როცა ბაზარზე ხედავ ტენდენციებს, ადვილად პროგნოზირებ მომავალ შედეგებს და წინასწარ იწყებ ბაზრის მოძიებას (იმ პირობით თუ მთავრობამ არ შეზღუდა ბაზარი).

და ბოლოს, როცა ქვეყანა რომელიმე წარმოებას ასუბსიდირებს და თან ისე, რომ ამ კომპანიას თვითღირებულებაზე იაფად შეაქვს სხვა ქვეყანაში, ეს უკვე ნიშნავს დაბალ ხარისხს, ხოლო ასეთ პროდუქტს ,,განვითარებული ეკონომიკის პირობებში'' უპირისპირებ მაღალი ხარისხის პროდუქტს და ბაზრის 100%-ის ათვსების შანსებს უსპობ, მით უმეტეს, როცა მოსახლეობა მდიდარი და გადახდისუნარიანია.

შრომის ბაზარი

მითი 69. ქვეყნის მთავარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა არის უმუშევრობა

საქართველოში ჩატარებული ყველა გავლენიანი სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებით, მოსახლეობა მთავარ პრობლემად უმუშევრობას ასახელებს, რაც წლებია ტენდენციად იქცა და გამოკითხვის შედეგები არ იცვლება.

რა არის მოსახლეობის მთავარი ეკონომიკური პრობლემა? განვიხილოთ პირობითი მაგალითი; ვთქვათ, ერთი ადამიანი დასაქმებულია მარკეტში, სადაც დღეში 10 სთ-ს მუშაობს და თვეში 240 ლარი აქვს ხელფასი, წარმოვიდგინოთ მეორე ადამიანი, რომელიც არ მუშაობს, მაგრამ ფლობს X კომპანიის აქციას (წილს), საიდანაც ყოველ თვე **დივიდენდის** სახით იღებს 500 ლარს. ამ საზომით, უფრო მეტად რომელ ადამიანს მიაკუთვნებთ „დასაქმებულის“ სტატუსს? ვინც მძიმე პირობებში მუშაობს და 240 ლარი აქვს თუ ვინც არ არის „დასაქმებული“, მაგრამ კომპანიის აქციონერია და დივიდენდის სახით ერიცხება 500 ლარი? პასუხი ცხადია. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის მთავარი პრობლემა შემოსავლების არქონა/დაბალი შემოსავლები და დაბალი შემოსავლების გამო გამოწვეული სიღარიბეა. ადამიანს რომ კითხვა დაუსვათ, რომელი გირჩევნიათ, იმუშაო თუ შემოსავლები გქონდეთ, ცხადია, მისი პასუხი შემოსავლების ქონაა, ადამიანი მუშაობს იმიტომ, რომ შემოსავლები მიიღოს და არა იმიტომ, რომ მხოლოდ დასაქმებულის სტატუსი ჰქონდეს. ამ ლოგიკით, სოფლად მცხოვრები ადამიანი რომელიც მიწაზე მუშაობს და მინიმალურ სარგებელს იღებს, დასაქმებულად ითვლება და მაშინ დასაქმების პრობლემაც არ არის, მაგრამ ყველა ვხვდებით, რომ ეს ასე არ არის!

ქვეყნის მთავარი პრობლემა დაბალი *შემოსავლები* და დაბალი შემოსავლების შედეგად მიღებული სიღარიბეა! ამიტომაც ქვეყნის მთავარი გამოწვევა მოსახლეობის „გამდიდრება“ და შემოსავლების ზრდაა, რაც მთავრობის ბალანსზე არსებული უზარმაზარი მოცულობის აქტივების ეკონომიკაში ჩართვით და კერძო მესაკუთრეების გაჩენით არის შესაძლებელი. *ქვეყნის სიმდიდრის ეკონომიკაში სრულად ჩართვა და მთავრობის ხელის არშემლა ბიზნესისათვის* - ეს არის ქვეყნის ეკონომიკისა და მოსახლეობის გამდიდრების მთავარი გზა. ეკონომიკის სრულად ამუშავების შემთხვევაში, სამუშაო ადგილები იზრდება არა მხოლოდ რაოდენობრივად, არამედ იმატებს ხელფასის დონეც და იზრდება მოსახლეობის შემოსავლები. *დაბალი გადასა-*

ხადები - რაც უფრო მცირეა გადახადები, მით უფრო ნაკლებს იხდიან სახელმწიფო ბიუჯეტში და მეტი ფული რჩებათ ადამიანებს განსაკარგავად. რაც უფრო მეტი ფული აქვს ადამიანს, მეტს ხარჯავს ეკონომიკაში, მეტ დანაზოგს აკეთებს და მეტი ინვესტირების შესაძლებლობა ეძლევა. ინვესტირება შეიძლება განახორციელოს, როგორც ბიზნესში, ისე საკუთარი ან შვილის განათლებაში, რაც მომავალში მეტი კეთილდღეობის შესაძლებლობას მისცემს. რაც უფრო ნაკლებს ართმევს მთავრობა ბიზნესს, მით მეტი ფული რჩება ბიზნესს, მით მეტად ავითარებს საკუთარ წარმოებას და, შესაბამისად, ეკონომიკასაც, რაც ნიშნავს მეტ წარმოებულ პროდუქციას (რაც მეტი პროდუქტი გამოვა ბაზარზე მით მეტად შემცირდება მისი ფასი, მით მეტად გაიზრდება კონკურენცია სამომხმარებლო ბაზარზე) მეტ სამუშაო ადგილებს და მაღალ ხელფასებს მ.შ. თანხების მობილიზებასაც ბიუჯეტში. *კერძო საკუთრების გაჩენა* - კერძო მესაკუთრე თავის აქტივს იყენებს შესაბამისი სარგებლის მისაღებად, ავითარებს ბიზნესს, გაქირავებიდან იღებს სარგებელს, გაყიდვის შემთხვევაში იღებს შემოსავალს. კომპანიის აქციის ფლობის შემთხვევაში კი, მის მესაკუთრეს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა უჩნდება (აქციის ნაწილის გაყიდვით ან ინვესტორის წილობრივი ჩართვით). აქედან გამომდინარე, კერძო მესაკუთრე, შეიძლება არც კი იყოს „დასაქმებული“-მომუშავე, მაგრამ მისი საკუთრებიდან (აქციიდან დივიდენდი, კერძო საკუთრების გაქირავებით, კერძო საკუთრებაში ინვესტორის ჩართვით, ქონების გაყიდვიდან და სხვ.) იღებდეს უფრო მეტ შემოსავალს, ვიდრე რიგითი დასაქმებული.

მითი 70. უცხო ქვეყნის იაფი სამუშაო ძალის შემოსვლა აფერხებს ეკონომიკის განვითარებას და აუარესებს ადგილობრივი მუშების მდგომარეობას. ამიტომ უნდა დაწესდეს ქვოტები სხვადასხვა ქვეყნის სამუშაო ძალაზე

სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილება ნიშნავს იმას, რომ ხელფასის განაკვეთები სხვადასხვა ქვეყნის მუშებს შორის მიისწრაფის გამოთანაბრებისკენ. რასაკვირველია, იმ ქვეყნის სამუშაო ძალას, რომლის ხელფასები შედარებით მაღალია, არ სურს კონკურენცია სხვა ქვეყნის იაფ სამუშაო ძალასთან. ამიტომ ისინი ყველანაირად ეწინააღმდეგებიან კონკურენციას. კონკურენციის შეზღუდვა, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება ეკონომიკის განვითარებაზე. იაფი სამუშაო ძალის შემოსვლა ნიშნავს წარმოების დანახარჯების შემცირებას და ამ ქვეყანაში მოქმედი ფირმების კონკურენტუნარიანობის ზრდას. შესაბამისად, სამუშაო ძალის გადაადგილება კი არ აფერხებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, არამედ პირიქით, ხელს უწყობს მის პროგრესს განსაკუთრებით შრომეტევად დარგებში.

საინტერესოა, როდესაც მიდის იმაზე საუბარი, რომ საქართველოში სამუშაოდ ჩამოსული უცხო ქვეყნის მოქალაქეები უნდა ,,გავაბრუნოთ'' უკან. როგორი რეაქცია გვექნებოდა, ვთქვათ გერმანიიდან ან იტალიიდან საქართველოს მოქალაქეები რომ გამოეშვათ?

იაფი მუშა ხელის შემოსვლა ქვეყანაში კონკურენციას ზრდის, რაც საწარმოო დანახარჯებს უმცირებს ბიზნესს და შემდგომ შესაძლებლობას აძლევს, აწარმოოს მეტი პროდუქცია, კონკურენციის პირობებში კი იაფადაც. ამასთან, მწარმოებელს იმიტომ შემოჰყავს უცხო ქვეყნის მოქალაქე დაბალ ანაზღაურებაზე, რომ ამ ანაზღაურებაზე ადგილობრივი მოქალაქეები არ თანმხდებიან. რაც შეეხება უცხოეთში, მაგალითად, გერმანიაში დაწესებული მინიმალური ხელფასისა თუ სხვა რეგულაციების გამო, როცა მწარმოებელი ვერ ასაქმებს ადგილობრივს, ის დასაქმებულის ძებნას იწყებს მისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

რაც შეეხება ადგილობრივების დასაქმებას. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, ტექნოლოგიური პროგრესი, განათლების დონის ზრდა, შესაძლებლობას იძლევა კონკურენციის პირობებში დასაქმდნენ მაღალ ანაზღაურებად სამსახურებში, გახდნენ ქვეყნის ეკონომიკური აქტივების თანამესაკუთრეები და მიიღონ შემოსავლები, ხოლო თუნდაც უცხოეთიდან შემოსული იაფი მუშა ხელის შედეგად ადგილობრივი მწარმოებლების მიერ წარმოებული იაფი პროდუქტის მომხმარებლები გახდნენ და ამით მიიღონ მეტი დანაზოგი და ეკონომიკური კეთილდღეობა.

მითი 71. მუშების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მთავრობამ უნდა შეიმუშაოს სპეციალური პროგრამები, რათა ისინი კონკურენტუნარიანები გახდნენ მსოფლიო ბაზარზე

ეს არის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მითი. სინამდვილეში სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება თავისუფალი ბაზრის მეშვეობით, სადაც ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი ფირმები ცდილობენ მათთვის საუკეთესო კადრების დასაქმებას. ასევე მოგეხსენებათ, რომ ეკონომიკა მუდმივად განვითარებადი და ცვალებადი პროცესია, თვითონ სექტორები განსაზღვრავენ რა პროფესიის, რა კვალიფიკაციისა და რა რაოდენობის კადრი ესაჭიროებათ (მთავრობა ვერ დაუგეგმავს), მეორე მხრივ, თვითონ სამუშაო ძალა წყვეტს, რა იქნება მისთვის სასარგებლო. ამ მუდმივ დინამიკაში, შეუძლებელია, მთავრობამ შეადგინოს პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს სამუშაოს კონკურენტუნარიანობას, ან სულ მინიმუმ ხელს შეუწყობს მისი კონკურენტუნარიანობის ეფექტიან ზრდას.

ხშირად ჩნდება კითხვა, უნივერსიტეტი უნდა აწვდიდეს კვალიფიციურ კადრებს დამსაქმებელს, თუ დასაქმებულის მხრიდან უნდა მოდიოდეს მოთხოვნა კადრებზე. ამ შემთხვევაში, დამსაქმებელი უნდა აჩენდეს მოთხოვნას ბაზარზე. მან ყველაზე უკეთ იცის როგორი უნარ-ჩვევების მქონე პერსონალი სჭირდე-

ბა, შესაბამისად, განათლების სისტემამ უნდა მოამზადოს ასეთი კვალიფიკაციის კადრები, რომლებიც სრულად უპასუხებენ საბაზრო გამოწვევებს.

ვისი ფულით ვის ხარჯზე

მითი 72. *სამუშაო ადგილები* უნდა შექმნას სახელმწიფომ

სამუშაო ადგილებს ქმნის ფული, ანუ ის, ვისაც აქვს ფული და აქვს მოტივაცია ჩადოს ფულადი რესურსი გარკვეული საქმიანობის განვითარებაში. ეს შეიძლება იყოს სახელმწიფო და ასევე შეიძლება იყოს კერძო პირი.

თანამედროვე პირობებში, სახელმწიფოს მიერ შექმნილი სამუშაო ადგილები არის სახელმწიფო სექტორში და სახელმწიფო კომპანიებში. სახელმწიფო კომპანიები, რომლებიც წლიდან წლამდე ზარალზე მუშაობენ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან და რომელსაც კერძო სექტორში დასაქმებულები იხდიან თავიანთი გადასახადებიდან. საჯარო სექტორი კი არაეფექტიანად მუშაობს, განსაკუთრებით ეს ეხება მის დაქვემდებარებაში არსებულ სსიპ-ებსა და აიპ-ებს. სახელმწიფო სექტორი ასევე მრავლად ასაქმებს შტატგარეშე თანამშრომლებს, რომელთა ანაზღაურებაც ათეულობით მილიონი ლარით ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. რეალურად სახელმწიფო სექტორი არ ქმნის ეკონომიკურ დოვლათს, ის არის კერძო სექტორის მიერ შექმნილი დოვლათის დაბეგვრით მიღებული შემოსავლების მომხმარებელი. სახელმწიფო სექტორი ფინანსდება კერძო სექტორიდან, ხოლო რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, რეგულაციებსა და ეკონომიკურ შეზღუდვებს კვლავ კერძო სექტორს უწესებს.

განვიხილოთ ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხი ორივე ვერსიის შემთხვევაში.

ა) როდესაც სახელმწიფო ქმნის სამუშაო ადგილს (საწარმოს აშენება, გზის მონაკვეთის მშენებლობა, ტყის ზედამხედველობის განხორციელება და ა.შ. უსასრულოდ), უნდა ვიგულისხმოთ, რომ სახელმწიფომ აღნიშნული ჩანაფიქრის განსახორციელებლად გამოყო საბიუჯეტო სახსრები, მისცა დავალება კონკრეტულ საჯარო მოხელეს ან საჯარო მოხელეთა ჯგუფს (მათ უხდის ხელფასს ისევ ბიუჯეტიდან), აუნაზღაურა სამოძრაო, საკანცელარიო და პროექტთან დაკავშირებული სხვა ტიპის ხარჯები, შეიძინა საჭირო მასალები და ტექნიკა, მოიზიდა სპეციალისტები (მათაც გადაუხადა ხელფასი), დააფინანსა მოსამსახურეთა სამივლინებო ხარჯები. შეგვიძლია უსასრულოდ გავაგრძელოთ გასაწევი ხარჯების ნუსხა. საბოლოო ჯამში, მივდივართ ფაქტამდე, რომ სახელმწიფომ გამოყო გარკვეული მოცულობის ფულადი რესურსი კონკრეტული სამუშაო ადგილების შესაქმნელად (არ განვიხილავთ საწარმოს ან სფეროს საქმიანობის შედეგებს და მომგებიანობას). აღნიშნული თანხები პოტენციურად უნდა დახარჯულიყო ჯანდაცვის, განათლების, თავდაცვის ან ინფრასტრუქტურის განვითარების დასაფინანსებლად, მაგრამ გამოაკლდა ბიუჯეტს (და მომავალშიც გამოაკლდება, რადგან დასაქმებულ ადამიანებს ხელფასები უნდა გადაუხადოს).

ბ) როდესაც კერძო ან იურიდიული პირი (კომპანია) ქმნის სამუშაო ადგილს, სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს მხოლოდ ხელშეწყობა. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს არ ეკისრება არანაირი ტიპის ხარჯი, ის არაფერს არ რისკავს. ის თანხა, რომელიც მას უნდა დაეხარჯა, დარჩა ბიუჯეტში და მოხმარდა სხვა “კეთილ" საქმეს. თუკი ბიზნესი გავა მოგებაზე, მას დაეკისრება გადასახადი და ბიუჯეტი მიიღებს დამატებით თანხებს, ხოლო თუკი ბიზნესი ვერ გაამართლებს, იქამდე გაწეული დანახარჯები ნებისმიერ შემთხვევაში აისახება მაკროეკონომიკურ

აქტივობაზე - ე.ი. ამ შემთხვევაშიც სახელმწიფო არაფერს არ აგ-ებს და არ უწევს რისკის გაწევა.



მითი 73. *სახელმწიფომ უნდა დამასაქმოს* / მთავარი დამსაქმებელი სახელმწიფოა

მითი, რომ მთავარი დამსაქმებელი სახელმწიფოა და სახელმწი-ფომ უნდა დამასაქმოს, საბჭოთა კავშირიდან იღებს სათავეს. გე-გმიური ეკონომიკის პირობებში დირექტივებს გასცემდა სახელ-მწიფო, ის განსაზღვრავდა, რა უნდა ეწარმოებინა ქვეყანას და რამდენი. მიზეზი თუ რატომ გაძლო საბჭოთა კავშირმა გეგმი-ური ეკონომიკით ამდენი წელი, გამოწვეული იყო ორი მიზე-ზით: პირველი- ტერიტორიული მასშტაბი, სადაც ჩართული იყო უზარმაზარი რესურსები, გამომდინარე იქიდან, რომ გეგმი-ური ეკონომიკის პირობებში, თუნდაც ამ უზარმაზარი რესურ-სებით, სახელმწიფო ვერ შეძლებდა ეკონომიკის ეფექტიანად მართვას, ამიტომ დააწესა სიმდიდრის ზედა ზღვარი, რაც იმას ნიშნავდა, რომ გარკვეული ქონების ზემოთ მოსახლეობას არ უნდა ჰქონოდა სიმდიდრე. მინიმალური პირობების დაკმაყო-ფილებას კი საბჭოთა კავშირი უხარისხოდ, მაგრამ გარკვეული პერიოდი ახერხებდა.

თანამედროვე პირობებში, სრულად გეგმიური ეკონომიკის მქო-ნე ქვეყნებს, მაგალითად; ჩრ. კორეა, ლიბია, ირანი, დიდი ეკო-ნომიკური შესაძლებლობების მიუხედავად, არც თუ სახარბი-ელო ცხოვრების პირობები აქვთ შექმნილი მათი მოქალაქეები-სათვის.

რეალურად სამუშაო ადგილებს უნდა ქმნიდეს ბიზნესი და არა მთავრობა, ხოლო თავის მხრივ, მთავრობა ხელს არ უნდა უშლიდეს ბიზნესს. სახელმწიფოს შექმნილი ბიზნესის მაგალითებია ის სახელმწიფო კომპანიები, რომლებიც წლიდან წლამდე 100-ეულობით მილიონი ლარის ზარალზე გადიან, ფინანსდებიან საგარეო ვალით, ამ კომპანიების ვალებს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან აფინანსებს, რომელსაც ჩვენ, გადასახადის გადამხდელები ვავსებთ და რიგ შემთხვევებში, ამავე გადასახადის გადამხდელების ბიზნესთან არაჯანსაღ კონკურენციაში შედიან და ბაზარზე ჯაბნიან.

რატომ არის არაეფექტიანი სახელმწიფო საწარმოები? მიზეზი სტიმულსა და კონკურენციაშია. იქნება ეს სახელმწიფო თუ კერძო კომპანია, როცა მხოლოდ ეს ერთი კომპანიაა მწარმოებელი და დამსაქმებელი, ის არის მონოპოლისტი. მონოპოლიის პირობებში კი ვიღებთ მაღალ ფასს, უხარისხო პროდუქტს, არასათანადო სამუშაო პირობებსა და ყველა იმ ნეგატიურ მოვლენას, რაც დამახასიათებელია მონოპოლიური ბაზრისთვის.

სახელმწიფო კომპანიის არაეფექტურობა მდგომარეობს იმაში, რომ ის არ არის დამოკიდებული საბაზრო პროცესებზე, იგი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუდმივად ფინანსდება, ამიტომ მის დირექტორს არ აქვს მოტივაცია/სტიმული, რომ ეფექტური მენეჯმენტი გაატაროს კომპანიაში და გახადოს ის მომგებიანი და რადგანაც კომპანიას ფინანსური პრობლემები არ ექმნება, შესაბამისად, დღის წესრიგში არ დგას კვალიფიციური და საწარმოს ეფექტიანად მუშაობაზე ორიენტირებული მენეჯერებისა და დირექტორის ყოლა. ამიტომაც, ხშირ შემთხვევაში, ასეთ კომპანიები გადაიქცევა ნეპოტიზმის რისკად.

კერძო სექტორის ეფექტიანობა მდგომარეობს კონკურენციაში. კერძო სექტორი ნიშნავს, რომ ბაზარზე ბევრი კომპანიაა წარმოდგენილი, რომლებიც ერთმანეთთან მოდიან კონკურენციაში. კონკურენციის პირობებში, თითოეული კომპანია ცდილობს, აჯობოს მეორეს, მეტი გაყიდვები და მეტი მოგება მი-

იღოს. ამიტომ ის იძულებულია, კონკურენტზე უკეთესი ხარისხის პროდუქტი აწარმოოს, კონკურენტებთან შედარებით დაბალ ფასში გაყიდოს პროდუქტი, რომ მეტი მოგება მიიღოს, რითაც ცხადია ისარგებლებენ მომხმარებლები. იმისთვის, რომ კომპანიამ წარმოების ეფექტიანობა გაზარდოს, დაინტერესებულია მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვითა და კონკურენტ კომპანიებთან შედარებით უკეთესი შრომის პირობებისა და ანაზღაურების შეთავაზებით.

აქედან გამომდინარე, შრომის ბაზარზე არსებული შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, დასაქმების დონისა და ანაზღაურების ზრდისათვის მნიშვნელოვანია არა სახელმწიფო დასაქმების პროგრამები (რომლებიც თავის შინაარსში მონოპოლიურ მდგომარეობას გულისხმობს), არამედ კერძო სექტორის განვითარება, მეტი ბიზნეს სუბიექტების გაჩენა ქვეყანაში და შრომის ბაზარზე კონკურენციის დონის ამაღლება.



მითი 74. დასაქმებულების კეთილდღეობის ამაღლების მიზნით უნდა არსებობდეს *მინიმალური ხელფასი*

მინიმალური ხელფასი მსოფლიო ეკონომიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული მითია დასაქმებულთა კეთილდღეობის დასაცავად. მინიმალური ხელფასის განაკვეთი იწვევს უმუშევრობას განსაკუთრებით დაბალ ანაზღაურებიან კატეგორიაში. მას პრაქტიკულად ზეგავლენა არ აქვს კვალიფიციურ მუშახელზე, ასტიმულირებს არაფორმალურ დასაქმებას, ან საერთოდ არანაირი გავლენა არ აქვს ეკონომიკაზე.

იმ შემთხვევაში, თუ მინიმალური ხელფასი არის საშუალო ხელფასზე უფრო მაღლა დაწესებული, სამუშაო ძალის მიწოდება უფრო მეტია, ვიდრე სამუშაო ძალაზე მოთხოვნა და ამ შემთხვევაში გარდაუვალია უმუშევრობა. იმ შემთხვევაში, თუ მინიმალური ხელფასის განაკვეთი პირობით წონასწორულ ხელფასებზე დაბლაა, ის არანაირ გავლენას არ ახდენს ეკონომიკაზე.

მაგ; სარეკლამო პოლიგრაფიულ ფირმას „ორი უსასრულობა“ ჰყავს 10 თანამშრომელი, მათ შორის, 2 ახალბედა მოზარდი ნინო და გიგი. ასევე შრომითი ანაზრაურებაც სხვადასხვა ოდენობის აქვთ (უნდა გვახსოვდეს, რომ ანაზღაურება შრომით ბაზარზე ყოველთვის არის დიფერენცირებული სექტორებისა და სპეციალობების მიხედვით) - დავუშვათ ათიდან ორ დასაქმებულს აქვს 1300 ლარი; სამს 900 ლარი; სამს 550 ლარი, ხოლო სტაჟისა და გამოცდილების დაგროვების ეტაპზე მყოფ 2 ახალგაზრდას ნინოს და გიგის 300 - 300 ლარი.
დავუშავათ, მინიმალურმა ხელფასმა 20 ლარიდან აიწია 450 ლარამდე, *რა მოხდება და რა შეიცვლება ამ შემთხვევაში?*
განვიხილოთ თითოეული ნაბიჯი:
<u>პირველი</u> - დამსაქმებელი 10 დასაქმებულზე ვერ გასცემს ხელფასს; <u>მეორე</u> - უხელფასოდ დატოვების კანდიდატები, პირველ რიგში, იქნებიან ახალგაზრდები, ან ორივე ან ერთ-ერთი. რადგან 450 ლარზე ზემოთ ხელფასის მქონე 8 თანამშრომელს ეს ნაკლებად შეეხება (როგორც წესი, მაღალანაზრაურებად დასაქმებას ნაკლებად ეხება). <u>მესამე</u> - ერთ-ერთი ახალგაზდა, დავუშვათ გიგი, სამუშაოს გარეშე რჩება და დასაქმების მაჩვენებელი შემცირდება 10 დან 9-მდე; <u>მეოთხე</u> -გიგის შესასრულებელ სამუშაოს დაუმატებენ სხვა დასაქმებულებს, შესაძლოა, ეს იყოს ნინო, რომლის ხელფასიც უნდა გაიზარდოს 450 ლარამდე (მაინც მინიმალური ხელფასის კანონიდან გმომდინარე); <u>მეხუთე</u> - თუ სამუშაო არცერთ დასაქმებულს არ დაემატა, გამოდის, რომ ფირმა „ორი უსასრულობა“ ამცირებს წარმოებას, რაც ნაკლებ შემოსავლებს ნიშნავს; <u>მეექვსე</u> - 450 ლარად მეტი მოზარდია

მზად, რომ დასაქმდეს. იზრდება შრომის მიწოდება და რეალურად ეცემა შრომის ღირებულება; მეშვიდე - ჩნდება სტიმული არაფორმალური დასაქმებისა და შავი ბუღალტერიის წარმოების; მერვე - შესაძლოა, მენეჯერმა არავის დაუმატოს სამუშაო და გიგი არაფორმალურად დაასაქმოს 240 ლარად. (გიგი ხომ ისედაც 240 ლარის ფარგლებში იღებდა ხელზე, 20% საშემოსავლო გადასახადი + 2% საპენსიო შენატანი) ეს სცენარი ორივე მხარეს აწყობს, თუ გიგის არა, მაშინ რიგში დგას გამოთავისუფლებული და სამუშაოს მსურველი ახალგაზრდები: გიორგი დავითი ნატო და ა.შ.; მეცხრე - შედეგად სახელმწიფო იღებს ნაკლებ საბიუჯეტო შემოსავლებს გადასახადებიდან და მეტ ჩრდილოვან ეკონომიკურ საქმიანობას; მეათე - მცირდება ეკონომიკა (ყოველშემთხვევაში ფორმალური მაინც) და იზრდება უმუშევრობა მაშასადამე შედარებით უფრო მაღალი %-ული მაჩვენებლით მოზარდებსა და დაბალ კვალიფიციურ მუშახელზე, რომლებიც ისედაც სიღარიბის რისკ ჯგუფს წარმოადგენენ. რამდენადაც გვახსოვს, სწორედ ამ მუშახელის კეთილდღეობის ასამაღლებლად იყო თითქოს მინიმალური ხელფასი მიღებული. და ბოლოს, თუ მინიმალური ხელფასის მიღების შემთხვევაში კომპანიები არ გაუშვებენ დასაქმებულებს, ეს ნიშნავს, რომ მათ წარმოების დანახარჯები გაეზრდებათ, რის დაკომპენსირებასაც ფასის ზრდით მოახდენენ. შედეგად, წარმოებულ პროდუქტებზე გაიზრდება ფასები, მივიღებთ ინფლაციის მაღალ დონეს და შემცირებულ მყიდველუნარიანობას.

მითი 75. უნდა არსებობდეს სპეციალური სამსახური, რომელიც გააკონტროლებს *შრომის პირობებს*

მოცემული სამსახურების შექმნა, როგორც წესი, არაეფექტიანია და ხშირად წარმოადგენს კორუფციის წყაროს. სამუშაო ძალის

მაღალი ანაზღაურება და საუკეთესო სამუშაო პირობები განისაზღვრება მასზე მოთხოვნით და დამსაქმებელთა შორის კონკურენციით. შესაბამისად, როდესაც ბაზარზე არიან კომპანიები, რომლებიც ერთმანეთთან არიან მძაფრ კონკურენციაში, ისინი ცდილობენ, რომ თავის სამსახურში ჰყავდეთ საუკეთესო კვალიფიკაციის სამუშაო ძალა, საუკეთესო ანაზღაურებით. რაც უფრო მძაფრ კონკურენციაში არიან კომპანიები ერთმანეთთან, მით უფრო მაღალია ანაზღაურება და შრომის პირობები. ამიტომ, ის კი არ არის მთავრობის მიზანი, რომ გააკონტროლოს სამუშაო ძალის შემოსავლები და მათი შრომის პირობები, არამედ მთავრობის მიზანი უნდა იყოს კომპანიებს შორის არსებობდეს შეუზღუდავი და თავისუფალი კონკურენცია.

შრომის ბაზარზე, დასაქმების დონის ზრდისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების მთავარი გამოსავალი არის ეკონომიკური განვითარება, დამსაქმებლებს შორის კონკურენციის დონის ამაღლება, განვითარებული ეკონომიკის პირობებში კომპანიების ფინანსური მდგრადობა.

დასაქმებულები დამსაქმებლებს დაბალ ანაზღაურებასა და არასასურველ შრომის პირობებს სთავაზობენ, რადგან, ხშირ შემთხვევაში კომპანიებს შორის არ არის კონკურენცია, დარგებში გვაქვს მთავრობის ლობისტობა. კომპანიების ფინანსური განვითარება არ იძლევა თანამედროვე ტექნოლოგიების შემოტანის შესაძლებლობებს, მით უმეტეს რომ მოსახლეობა არის დაბალმყიდველუნარიანი, ხოლო დაბალი ფინანსების პირობებში, მოთხოვნაც არ აქვთ მაღალ ხარისხიან პროდუქტებზე. კომპანიებიც, რომლებიც ფინანსურად არ არიან ძლიერები და არც მომხმარებლიდან მოდის ხარისხზე დიდი მოთხოვნა, არ ცდილობენ განსაკუთრებულ განვითარებას. უმეტესად ასაქმებენ დაბალკვალიფიციურ მუშახელს და წარმოებაში არ ნერგავენ ახალ ტექნოლოგიებს. შესაბამისად, ანაზღაურებაც დაბალია და ვერც შრომის პირობებს ვერ იცავენ.

განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის ყველაზე დიდ წილს მომსახურების სფერო წარმოადგენს, შესაბამისად განვითარებულია თანამედროვე ტექნოლოგიები, რაც აისახება დასაქმებულთა მაღალ ანაზღაურებასა და დასაქმების მისაღებ პირობებში.



მითი 76. *სახელმწიფო ვალდებულია* **დასაქმებულებს სტაჟის მიხედვით შეუქმნას საპენსიო ფონდი, რითაც ისინი ფინანსურად უზრუნველყოფილი იქნებიან პენსიაზე გასვლის შემდეგ**

საპენსიო ფონდის შექმნა არ წარმოადგენს სახელმწიფოს გადაუდებელ ვალდებულებას. ადამიანთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საკუთარი ფინანსური სახსრების მართვა მას უფრო კარგად შეუძლია, ვიდრე მთავრობას. სინამდვილეში ეს ასეც არის, რადგან ადამიანების უმეტესობა იქცევა რაციონალურად და ცდილობეს საკუთარი რესურსების რაციონალურად მართვას. ასევე ძალიან დიდია რისკი იმისა, რომ მოსახლეობისთვის დაგროვილი ფინანსური საპენსიო სახსრები მთავრობამ გამოიყენოს არარაციონალურად და არამიზნობრივად. თვით ისეთ ქვეყანაშიც კი, როგორიც არის იაპონია, მოხდა საპენსიო დაგროვილი თანხების სარისკო საინვესტიციო აქტივებში დაბანდება და შედეგად სამ თვეში 136 მილიარდი აშშ დოლარი დაკარგა. იაპონიისგან განსხვავებით საქართველოში კიდევ უფრო მაღალი რისკის ქვეშ დგას საპენსიო ფონდის მიერ განსახორციელებელი ინვესტიციები. ქვეყანაში არ არის განვითარებული კაპიტალის ბაზარი, შესაბამისად, ადგილობრივი ეკონომიკის სექტორებში

ინვესტიციების განხორციელება მაღალი რისკის შემცველია. ყველაზე მეტად განვითარებული სექტორი დღეს არის საბანკო-საფინანსო სფერო. შესაბამისად, პირველ წლებში საპენსიო ფონდის მიერ ფულადი თანხების დიდი ნაწილი სწორედ საბანკო სფეროსკენ წარიმართება. იმ ტიპის ეკონომიკაში, როგორიც აქვს საქართველოს, სადაც: არ არის განვითარებული კაპიტალის ბაზარი; არის არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა; გვაქვს დაბალი ეკონომიკური ზრდა; გვაქვს მაღალი უმუშევრობისა და დაბალი შემოსავლების დონე; ასევე ძირითადი მოხმარების პროდუქტებზე ფასების მკვეთრი ზრდა. აქედან გამომდინარე საპენსიო ფონდის საქმიანობაში ბევრი რისკია, რაც ხელს შეუშლის მის ეფექტიან საქმიანობას.

მოსახლეობისათვის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის სახელმწიფოს რადიკალურად განსხვავებული ნაბიჯები აქვს გადასადგმელი. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული არ უნდა იყოს მსგავსი სახელმწიფო ფონდების შექმნისკენ, რომელიც წინასწარვე დიდი რისკის ქვეშ დგას. ეკონომიკური პოლტიკა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ მოხდეს სწრაფი ეკონომიკური განვითარება, გაიზარდოს დასაქმების დონე, მოხდეს მოსახლეობის შემოსავლების მატება. რაც უფრო მეტი მაღალ შემოსავლიანი ფენა გვეყოლება ქვეყანაში და მას შემდეგ, რაც მოსახლეობის შემოსავლები მკვეთრად გადააჭარბებს ხარჯებს, ადამიანებს თავად გაუჩნდებათ მოტივაცია დააგროვონ ფული და იზრუნონ საკუთარ მომავალზე. ხოლო იმ პირობებში, როცა ფინანსური ბაზარი იქნება ღია და კონკურენტული, სადაც იმუშავებს მრავალი კერძო კომპანია საპენსიო დანაზოგების პორტფელით, კონკურენციის პირობებში კომპანიები მომხმარებლებს შესთავაზებენ მათთვის მისაღებ პირობებსა და ფინანსურ მომსახურებას, რის შედეგადაც მოსახლეობის ცხოვრების დონეც აიწევს და ფინანსური ბაზარიც განვითარდება.

მითი 77. ლარი წარმოადგენს ქართულ იდენტობას

მოდით დავსვათ მარტივი კითხვა: რამდენად დასაშვებია, რომ ფული განსაზღვრავდეს ეროვნულ იდენტობას? ფული არ შეიძლება განსაზღვრავდეს ეროვნულ იდენტობას, ფული ვერ გათანაბრდება ისეთ მარადიულ მატერიებთან, როგორებიცაა: ისტორია, კულტურა, ენა, სამშობლო, ტრადიციები და ა.შ.

ზოგჯერ გვავიწყდება ფულის რეალური ფუნქცია, თუ რატომ შექმნა ადამიანმა ის. ფულის მთავარი და თავდაპირველი ფუნქცია არის გაცვლის საშუალება. როცა პირველყოფილი ადამიანი მხოლოდ ნადირობდა და მცენარეების ნაყოფებს აგროვებდა, ეს ნიშნავდა იმას, რომ თავად იყო მწარმოებელიც და მომხმარებელიც. მას პროდუქტის ყიდვა არ სჭირდებოდა. ადამიანმა განვითარებასთან ერთად, მეტი და მეტი პროდუქტის წარმოება დაიწყო. შეუძლებელი გახდა, რომ ყველაფერი ერთ კაცს ეწარმოებინა, ამიტომ ადამიანთა სხვადასხვა გაერთიანებები შეჯერდებოდნენ ერთ უნივერსალურ გაცვლის საშუალებაზე და ამ პროდუქტზე ხდებოდა დანარჩენი საქონლის გაცვლა (გაცვლის პროცესში მან შეიძინა ღირებულების ფუნქცია, შემდგომ კი გახდა დაგროვების საშუალება). გაცვლის საშუალება უნდა ყოფილიყო ყველასათვის მისაღები, ამასთან ის უნდა ყოფილიყო გამძლე და ადვილად სატარებელი. ფულის ფუნქციებს თავდაპირველად ასრულებდა სხვადასხვა სახის ნიჟარები, პირუტყვი, ბეწვეული, საწარმოო და საბრძოლო იარაღები, ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად ის შეიცვალა მონეტებით, შემდეგ ქაღალდის ფულით და თანამედროვე რეალობაში ასევე გვაქვს

ელექტრონული ფორმითაც. აქედან გამომდინარე, წარმოების განაწილებამ მოითხოვა ფულის, როგორც გაცვლის საშუალებად წარმოშობა და ის არანაირად არ უკავშირდება ეროვნულ იდენტობას.

ამავე დროს, შუა საუკუნეებში მთელი რეგიონის მასშტაბით მიმოქცევაში აქტიურად გამოიყენებოდა ვერცხლის მონეტები ქართული "გიორგაული თეთრი", რაც უდაოდ მიუთითებს ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ, ფინანსურ და ეკონომიკურ აღმავლობაზე იმ პერიოდში. თუმცა, ვინაიდან ის გამოიყენებოდა მთელი რეგიონის მასშტაბით, მისი აბსტრაქტული მფლობელი არ შეიძლება აუცილებლად იდენტიფიცირებული იყოს როგორც ქართველი.

თუ ლარი მართლა ეროვნული იდენტობაა, მაშინ გამოდის, რომ იმ ქვეყნებს, რომლებსაც ეროვნული ვალუტა არ აქვთ, იგივე ევრო ზონის ქვეყნებს, დაუკარგავთ თავიანთი იდენტობა.

ეროვნულ იდენტობას მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლები და კეთილდღეობა უფრო ამყარებს, ვიდრე უბრალო ქაღალდის ან რკინის ნაჭერი, რომელიც ეკონომიკური ცხოვრების მსახურია. მითუმეტეს ვერ იქნებ ეროვნული იდენტობის იდენტიფიკატორი, როცა მისი კურსი და მყიდველობითი უნარი მუდმივად მცირდება, შესაბამისად კარგავს ნდობას, ნდობა დაკარგული „ეროვნული იდენტობა" კი იდენტობა არ არის.

მითი 78. *რაც უფრო ბევრ ლარს დავბეჭდავთ მით უფრო მეტი ფული გვექნება* **და გავმდიდრდებით**

ბაზარზე საქონლის/მომსახურების და ფულს შორის თანაფარდობა განსაზღვრავს ფულის სიმყარეს. თუ ფულის რაოდენობა

იმაზე ნაკლებია, ვიდრე მისი მეშვეობით ბაზარზე არსებული კაპიტალის (საგნების, მომსახურების, ფასიანი ქაღალდების, საკვები პროდუქტისა და ა.შ.) საერთო ღირებულებაა, ამ შემთხვევაში ფულზე მოთხოვნა იზრდება და ფული მყარდება. ასე, მაგალითად, თუ გვაქვს 100 ლარი და ბაზარზე შესაძენი მხოლოდ 100 პურია, მაშინ ერთი პურის ფასი ერთ ლარს უტოლდება. თუ ფულის მასას დავუმატებთ 20 ლარს - ამ შემთხვევაში 100 პურის შესაძენად ხელზე გვექნება 120 ლარი და პურის ფასი ავტომატურად გიზრდება, გახდება რა 1.20 ლარი, რაც ნიშნავს, რომ თქვენ მეტს იხდით იგივე რაოდენობის პროდუქტში. 80 ლარის შემთხვევაში ერთი ცალი პურის ფასი გაუთანაბრდება 80 თეთრს. ეს იმას ნიშნავს, რომ ლარი გამყარდა.

როგორც ვიცით ფასის ზრდა „პროდუქტის“ მოცულობის უცვლელობის პირობებში არის ***ინფლაცია*** *(იხ. მითი 79)* და ის დაახლოებით გავს გამადიდებელი შუშით პროდუქტის გადიდებას, რომლის დროსაც არც კვებითი ღირებულება და არც წონა/მოცულობა რეალურად არ იმატებს. უბრალოდ დიდად ჩანს. ასევეა ფულის რაოდენობის ზრდა საქონლისა და მომსახურების უცვლელობის პირობებში. მეტი ფულია, მაგრამ მეტი ფულით ყიდულობთ იგივე ან ნაკლებ საქონელს, რასაც ყიდულობდით წინა პერიოდში, შესაბამისად მცირდება თქვენი კეთილდღეობა.

ახლა წარმოვიდგინოთ რა მოხდება, თუკი ბაზარზე გასაყიდი მხოლოდ 100 პურია, ხოლო ხელზე არის 1,000 ლარი. ასეთი ვითარება ვალუტის სწრაფ გაუფასურებას იწვევს.

მეტი ფულის დაბეჭდვა (ფულის მასის ზრდა) შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუკი ფულის მასასთან ერთად თანაბარზომიერად იზრდება კაპიტალის მოცულობა ფ-ს-ფ პრინციპით (ფული-საქონელი-ფული). ანუ - თუკი ვაწარმოეთ 1,000 ცალი პურით მეტი, ამ შემთხვევაში ბაზარზე 1,000 ლარის დამატება მის ღირებულებას უცვლელს დატოვებს და მიუხედად ფულის საერთო მასის გაზრდისა, არ გააუარესებს ეკონომიკურ კეთილდღე-

ობას და პირიქით გაზრდის კიდეც (მეტი პროდუქტი ვაწარმოეთ ქვეყანაში).

მითი 79. ფულის მასის ზრდას გავლენა არ აქვს ინფლაციაზე

თუკი პირობითად ავიღებთ მოცემულობას, როდესაც შესაძენი პროდუქტის მოცულობა უცვლელია, ამ შემთხვევაში, რაც მეტი ფული შემოდის მიმოქცევაში, მით უფრო მეტი ფული ჩნდება ჯიბეში პროდუქტის იგივე მოცულობის შესაძენად. ამგვარად მისი „ღირებულება“ ავტომატურად უფასურდება. ზედმეტი ფულის მასის ამოსაღებად სახელმწიფო (ეროვნული ბანკი) აწესებს რეფინანსირების განაკვეთის სხვადასხვა ნიშნულს იმისდა მიხედვით, თუ საერთო ფულის მასიდან რამდენია ამოსაღები.

შევადაროთ და ავიღოთ მოცემულობა, როდესაც ბაზარზე მიწოდებული პროდუქტის მოცულობა იზრდება, ხოლო ფული მასა რჩება უცვლელი მოცულობით. ამ შემთხვევაში იაფდება პროდუქტი, რადგან კონკრეტული ლოკაციის მოსახლეობას სჭირდება მხოლოდ გარკვეული რაოდენობის მისი ერთი სახეობა და უფრო მეტს ის არ მოიხმარს. თუკი ერთი ადამიანი 24 საათის მანძილზე მოიხმარს 300 გრამ პურს, ბუნებრივია, რომ მას არ სჭირდება 2 კგ პურის შეძენა, ამიტომ ბაზარზე კონკრეტული პროდუქტის მომწოდებელი ცდილობს იმ პირობით (ფასით) შევიდეს ბაზარზე, რომ სხვა მომწოდებლებთან კონკურენციაში საკუთარი ნაწარმის გაყიდვა შეძლოს.

აქედან გამომდინარე ზედმეტი ფული არის ინფლაციის საფუძველი.

<u>არსებობს მითი</u> რომლის თანახმადაც ფულის მასის ზრდას გავლენა არ აქვს ინფლაციაზე, რომელიც ძირითადად გამყარებულია იმ არგუმენტებით, რომ მხოლოდ ფულის მასის ზრდა არ არის ინფლაციის გამომწვევი მიზეზი და მათ შორის არსებული კორელაციაც არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დავასკვნათ

მათ შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ვინაიდან ინფლაციაზე სხვა ბევრი ფაქტორი მოქმედებს და არა ფულის მასის ზრდა.

თუმცა რეალურად თუ შევხედავთ სურათს ფულის მასის ზრდა ერთ-ერთი მთავარი მოქმედი ცვლადია ინფლაციაზე, მით უფრო საქართველოს ტიპის ქვეყნებისთვის, სადაც წარმოებული პროდუქციის საწარმოო რესურსების უმეტესი წილი იმპორტირებულია. თემა უფრო რომ გავშალოთ და სურათი ნათელი გავხადოთ, განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: ვთქვათ კარტოფილის ბაზარზე 2-ჯერ მეტი კარტოფილი მოიტანეს გასაყიდად, ხოლო უცვლელი მოთხოვნის პირობებში კარტოფილის ფასი ბაზარზე შემცირდება, რადგან თუ ფასი არ შემცირდება დარჩება გაუყიდავი კარტოფილი. ანალოგიურად ხდება ეროვნული ვალუტის შემთხვევაშიც. კერძოდ, როცა ეროვნული ბანკი ლარის მიწოდებას გაზრდის, გაზრდილი ლარი მიმოქცევაში გამოიწვევს აღნიშნული ვალუტის ღირებულების შემცირებას, ანუ ეს ვალუტა უფრო იაფი ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ადრე რაიმე საქონლისა თუ მომსახურების შეძენისთვის გვჭირდებოდა გარკვეული თანხა, დღეს გაუფასურებული ვალუტის პირობებში მეტი თანხა გვჭირდება იმისათვის, რომ იგივე ოდენობის საქონელი თუ მომსახურება შევიძინოთ. ამასთან აღსანიშნავია, რომ თუ ეროვნული ბანკი გაზრდის ლარის ოდენობას ეკონომიკაში, ხოლო უცხოური ვალუტის მოცულობა ეკონომიკაში დარჩება უცვლელი ეს რათქმაუნდა ნიშნავს იმას, რომ ლარი გამოხატული უცხოურ ვალუტაში მაგალითად დოლარში, უფასურდება, ხოლო თუ ჩვენი საწარმოო რესურსების უმეტესობა არის უცხოეთიდან შემოტანილი ეს იმას ნიშნავს რომ ამ რესურსებისთვის ჩვენ მეტი ლარი გვჭირდება რათა იგივე რაოდენობის პროდუქტი შევიძინოთ, ხოლო გაზრდილი საწარმოო რესურსების ღირებულება თავისმხრივ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში წარმოება ძვირდება, ხოლო გაძვირებული წარმოება მწარმოებლისთვის სიგნალია იმისა, რომ მათ ეს ყველაფერი ასახონ მათ მიერ წარმოებული პროდუქტის ფასსში ანუ შესაბამისად ქვეყანა-

ში წარმოებული რესურსის უმეტესი ნაწილი გაძვირდება, რაც სხვა არაფერია თუ არა გაზრდილი ფასები ანუ ინფლაცია.

ლარის ფულად მასასა და ლარის დოლართან გაცვლით კურსს შორის ჩატარებული კორელაციურ-რეგრესული ანალიზის საფუძველზე, აღმოჩნდა, რომ დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის არის მაღალი კორელაციური კავშირი (0.95), ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი (0.91), რაც ნათლად მიუთითებს, რომ ლარის მასის ზრდა იწვევს ლარის კურსის გაუფასურებას.



მითი 80. იწეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა *ლარის კურსი* დოლართან მიმართებაში ვერ იქნება შენარჩუნებული

ლარის კურსის სრულად უცვლელად შენარჩუნება დოლართან მიმართებით ძალიან მარტივია მისი ე.წ. მიბმით დოლართან. ამის პრაქტიკულად უზრუნველყოფა ბევრად მარტივია, ვიდრე ე.წ. მცურავი კურსის შენარჩუნების მცდელობა იმავე დოლართან.

შესაბამისად ადმინისტრირებაც ბევრად უფრო მარტივი და იაფია. ნაცვლად ეროვნული ბანკის მრავალრიცხოვანი და ძვირადღირებული აპარატისა, საკმარისია მცირე, მინიმალური შემადგენლობის და ღირებულების საბჭო, ე.წ. სავალუტო საბჭო, უმარტივესი უფლება-მოვალეობითა და შესაბამისი, უმარტივესი ფუნქციით: ბრუნვაში შეინარჩუნოს ზუსტად იმდენი ლა-

რი, რამდენი დოლარიც ჩაერთვებოდა ბრუნვაში. როგორც ლარი, რომ საერთოდ არ არსებულიყო და მხოლოდ დოლარი ყოფილიყო ქვეყანაში ფულის ერთადერთი კანონიერი და ნებადართული ერთეული.



მითი 81. გადახდის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს *მხოლოდ ლარი* /ეროვნული ვალუტა/

ამ წიგნში მოცემული მითების უმრავლესობა უკავშირდება სიტყვას "უნდა" და სწორედ ამ სიტყვის უკან ყოველთვის დგას მოქალაქეების თავისუფლების შეზღუდვა სახელმწიფოს ცენტრიდან მართვის გაძლიერების პარალელურად. 1993 წლიდან 1995 წლამდე "კუპონი" გამოყენებული იყო გადახდის ერთადერთ საშუალებად. დეველვაციას განიცდის დღეს არსებული ლარი. ვფიქრობთ, ეს ორი მაგალითი უკვე თავისთავად მეტყველებს ამ შეხედულების მითიურობაზე.

დღევანდელი ე.წ. ეროვნული ვალუტა, ანუ ლარი, როგორც გადახდის ერთადერთი საშუალება, წარმოადგენს მოქალაქეების ლეგალური ძარცვის საშუალებას. თუმცა ეს ლეგალური ძარცვა, როგორც წესი გამართლებულია ან გარეშე შოკებით, ან შიდა შოკებით, რომლებიც რატომღაც ძალიან ხშირად მაშინ ჩნდება, როცა მთავრობა საკუთარი ბიუჯეტის შესავსებად ეროვნული ბანკის მეშვეობით ბეჭდავს ლარს.

ინფლაციის და დევალვაციის მთავარი გამომწვევი მიზეზი არის ის, რომ ეროვნული ბანკი უფრო მეტ ლარს ბეჭდავს ვიდრე ეს

ეკონომიკას სჭირდება. მაგ; თუ გვაქვს 2 ერთნაირი წარმოებული ჭიქა და ბრუნვაში 10 ლარი, ეს ნიშნავს რომ თითო ჭიქა ღირს 5 ლარი. თუ ჭიქის წარმოებას გავზრდით 2-ით, ანუ გვექნება 4 ჭიქა და ლარის მასა იგივე დარჩება, მაშინ თითოეული ჭიქის ფასი იქნება 2,5 ლარი (10/4), თუ ჭიქების რაოდენობა შემცირდა 1-მდე, ხოლო ფულის მასა დარჩა იგივე, მაშინ მისი ფასი გაიზრდება 10 ლარამდე. ა.გ. ეკონომიკაში წარმოებული პროდუქციისა და ფულის მასა უნდა იყოს წონასწორობაში.

საქართველოს შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ბეჭდავს უფრო მეტ ლარს ვიდრე ეს ეკონომიკას სჭირდება, ასე მაგალითად, 2020 წელს, როცა გვქონდა ეკონომიკის კლება და შემცირებული მთლიანი შიდა პროდუქტი, მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტა 2020 წლის დეკემბერში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 524 მლნ ლარით. სქემა კი ასეთია, ფინანსთა სამინისტრო უშვებს ობლიგაციებს, რასაც ყიდულობენ კომერციული ბანკები, ბანკებიდან მიღებული ფულით მთავრობა ისტუმრებს მის ფინანსურ ვალდებულებებს, ხოლო კომერციულ ბანკებს მოთხოვნა უჩნდებათ ლარზე, მიმართავენ ეროვნულ ბანკს და ეროვნული ბანკი მათთვის მიმოქცევაში უშვებს დამატებით ფულად მასას, რაც უკვე ეკონომიკას აწვება ინფლაციის სახით.

ყოველივე ამის შემდეგ კი ეროვნული ბანკი საქართველოს მოქალაქეებს აიძულებს გადახდის საშუალებად გამოიყენონ მხოლოდ ლარი. გამოდის, რომ ამ შემთხვევაში ლარი არის მთავრობის ხელთ არსებული მონოპოლისტური ვალუტა, რომელიც როგორც არ უნდა გააუფასუროს, იძულების წესით მაინც დაავალდებულებს მის მოქალაქეებს, რომ გამოიყენონ გადახდის ერთადერთ საშუალებად.

და ყოველივე ამის შემდეგ, როცა ეროვნული ვალუტა უფასურდება, კარგავს მოქალაქეებში სანდოობას, ვის უკვირს, რომ შედარებით მსხვილ გარიგებებს ყველა დოლარში აკეთებს, უბრალოდ ის შეფარულია ლარით ფასდადებაში.



მითი 82. მხოლოდ სახელმწიფო კონტროლით - რეგულირებით მიიღწევა *ლარისადმი ნდობა* (ე.წ.ლარიზაცია)

ლარიზაციის, ანუ „დედოლარიზაციის“ პოლიტიკა, რომელსაც ერთის მხრივ ფინანსთა სამინისტრო, ხოლო მეორეს მხრივ ეროვნული ბანკი ახორციელებს ერთი მიზანი აქვს, კერძოდ ეკონომიკაში უცხოური ვალუტის შეზღუდვა და ლარისადმი ნდობის აღდგენა. ეროვნულ ბანკში მიიჩნევენ, რომ ლარიზაციის დაბალი დონე ამცირებს მონეტარული პოლიტიკის ზეგავლენას ეკონომიკაზე, ხოლო გაზრდილი ლარიზაცია, პირიქით, დადებითად აისახება მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობაზე.

იმისათვის რათა ქვეყანაში ლარიზაციის პოლიტიკა, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლარისადმი ნდობა გაიზარდოს, ეროვნული ბანკი სხვადასხვა ბერკეტს იყენებს, მათ შორისაა სესხების 200 000-იანი ზღვარი, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ დოლარში ასაღები სესხის თანხა ნაკლებია 200 000 ლარზე, მაშინ ფიზიკურ პირს უცხოურ ვალუტაში სესხის აღება არ შეუძლია. კიდევ ერთი ბერკეტი, რომელსაც ეროვნული ბანკი იყენებს დოლარიზაციის შემცირებისთვის, არის მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის მაღალი განაკვეთი. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნა ნიშნავს შემდეგს: ვთქვათ ფიზიკური პირი ბანკში ინახავს 100 დოლარს. კომერციულმა ბანკმა აღნიშნული 100 დოლარი უნდა გაასესხოს სხვა ფიზიკურ პირზე, რათა შემოსავალი მიიღოს. ეროვნული ბანკის რეგულაციით, ანუ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნით კომერციულმა ბანკმა არსებული 100 დოლარის 25% უნდა შეინახოს საცავში და მხოლოდ 75 დოლარი გაასესხოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მინიმალური სარეზერვო

მოთხოვნა ამცირებს დოლარის მასას ეკონომიკაში, რასაც თავის მხრივ გავლენა აქვს ლარის გაუფასურებასა და შესაბამისად ფასების საერთო დონის ზრდაზეც.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბანკი და ფინანსთა სამინისტრო კონტროლითა და რეგულაციებით ცდილობენ მოსახლეობაში ლარისადმი ნდობა აამაღლონ, ამას შედეგი მაინც არ მოუტანია, რადგან მოსახლეობა ეროვნულ ვალუტას მაინც არ ენდობა. ამის მაგალითია ის, რომ დიდი და მნიშვნელოვანი ტრანზაქციები, როგორებიცაა უძრავი ქონების ყიდვა, ავტომობილების გაყიდვა და ა.შ. ხორციელდება დოლარში და არა ლარში. ტრანზაქციები დოლარში სწორედ იმიტომ ხორციელდება, რომ ადამიანები ლარს არ ენდობიან და უპირატესობას ანიჭებენ ისეთ ვალუტას, რომელიც გრძელვადიან პერიოდში იქნება მდგრადი და სანდო. ასეთი კი მომხმარებლების გადაწყვეტილებით არის დოლარი. ლარისადმი უნდობლობას ადასტურებს სტატისტიკაც, რომლის მიხევითაც, კომერციულ ბანკებში ფიზიკური პირების მიერ დადებული დეპოზიტების 50%-ზე მეტ უცხოურ ვალუტაშია ნომინირებული და არა ლარში.

ამ გარემოებებიდანაც კარგად ჩანს, რომ ხელოვნურად *ლარისადმი ნდობის* დაბრუნება არ მუშაობს, პირიქით, დოლარის მასის შეზღუდვა და ლარის მასის ზრდა უარყოფითად მოქმედებს გაცვლით კურსზე, ანუ უფასურდება ლარი, რაც ეროვნული ვალუტის მიმართ უნდობლობას კიდევ უფრო მეტად ზრდის. იმისათვის, რათა ეკონომიკაში არსებობდეს ფული, იგი უნდა აკმაყოფილებდეს ორ ძირითად მოთხოვნას, კერძოდ სა-

ზოგადოებაში კონკრეტული ფულის აღიარება, როგორც საგადამხდელო ვალუტად და ნდობა. როცა ნდობის დონე ეროვნული ვალუტის მიმართ არის დაბალი, მაშინ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება თუ რამდენად შეიძლება იყოს ლარი ქვეყნის ოფიციალური საგადამხდელო საშუალება.

მითი 83. მოქალაქეებმა ბანკებში ფული უნდა შეინახონ (ანაბრებზე) მხოლოდ ლარში

საერთოდ ეკონომიური შინაარსის რაიმე ქმედებაზე სიტყვა „უნდა“-ს თანდართვა, როგორც წესი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, უკვე შეცდომაა, ვისგანაც და რა შინაარსითაც არ უნდა მოდიოდეს ეს ფრაზა. მითუმეტეს გაუგებარია მითითება და სურვილიც კი, თავისი საკუთრება ვინ, როგორ და სად უნდა შეინახოს. რა უფლებით რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს მსგავსი მოთხოვნა.

მოქალაქეების უმეტესობა დანაზოგებს აკეთებს დოლარში, მსხვილ მატერიალურ ქონებას ყიდიან და ყიდულობენ დოლარში, ბინას და მანქანასაც დოლარში ვაფასებთ/ვყიდულობთ. რატომ? რატომ ხდება ასე? პასუხი თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რადგან დოლარს უფრო სანდო ვალუტად მივიჩნევთ ვიდრე ლარს და ბუნებრივია მოთხოვნა ყალიბდება დოლარზე. ამ პირობებში, როცა მოქალაქეები არჩევენ მათთვის ყველაზე სანდო ვალუტად, მთავრობის ან სხვა ნებისმიერი ინსტიტუსი ჩარევა და იძულება, რომ მათ აუცილებლად უნდა გამოიყენონ მათთვის არასანდო/არამყარი ვალუტა (ლარი) არის მათი ფულის რესურსის ირიბი მითვისება და არჩევანის თავისუფლების შეზღუდვა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ემყარება ერთ მიზანს, „სახელმწიფო მმართველმა“ მომხმარებელს აიძულოს მხოლოდ ერთ არამყარ ვალუტაზე იყოს დამოკიდებული. ვალუტაზე, რომლის

სიმყარეზე პასუხისმგებლობა მხოლოდ „სახელმწიფოს მმართველს“ ეკისრება, რა მისიასაც თავად უპასუხისმგებლოდ ეკიდება, მისი არაეფექტიანი პოლიტიკით იწვევს *ინფლაციის მაღალ დონეს*, აღარიბებს მოქალაქეებს და შემდეგ თავად მოქალაქეებს მოუწოდებს მორალური პასუხისმგებლობისა და მის მიერ ,,გაფუჭებული'' ეროვნული ვალუტის ნდობა-გამოყენებაზე.



მითი 84. ბანკები ცუდია - ფულს და ქონებას გვართმევენ

მძიმე სოციალური მოვლენაა, როდესაც ბანკის ვალის გადაუხდელობის გამო მოქალაქე კარგავს ლიკვიდურ აქტივს/ქონებას (სახლი, მანქანა, ოქრო და ა.შ.). საკითხში უფრო ღრმად გასარკვევად ის ორ ნაწილად უნდა დავყოთ:

ა. მოქალაქის პასუხისმგებლობა:

- რა მიზნით იღებს ვალს?

- იყენებს თუ არა ის ბანკიდან გამოტანილ თანხას რაიმე ბიზნესის დასაწყებად, რათა “ფულმა ფული გაამრავლოს”?

- რამდენად აქვს მოქალაქეს დარიცხული პროცენტების გასტუმრების პერსპექტივა?

- გაეცნო თუ არა მოქალაქე ბანკთან დადებულ სასესხო ხელშეკრულებას, რომელსაც მან ხელი მოაწერა?

აღნიშნულ კითხვებს პასუხგაუცემლად დავტოვებთ, რადგან თითოეული ადამიანი საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით იოლად იპოვნის პასუხებს.

ბ. საბანკო სისტემაში არსებული პრობლემები

პრობლემა იწყება სათავიდან. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ კერძო საბანკო სექტორი ფაქტობრივად წარმოადგენს ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლს საქართველოს ეროვნულ ბანკის (შემდგომში - "სებ") და მომხმარებელს (მოქალაქე) შორის.

- სებ-ი აწესებს რეგულაციებს კერძო ბანკებისთვის.

- სებ-ი აწესებს რეფინანსირების მაღალ განაკვეთს, რის გამოც კერძო ბანკებს მაღალი მარჟიდან უწევთ ოპერირება.

ასე მაგალითად, თუკი რეფინანსირების განაკვეთი უდრის პირობითად 9,5%-ს, კერძო ბანკის სამოქმედო სივრცე იწყება სწორედ ამ ნიშნულიდან: 9,5%-ს ემატება პროცენტი, რომელიც ითვალისწინებს ლარის ინფლაციის დონეს, ასევე ბანკის მოსამსახურეთათვის სახელფასო და ბანკის მოგების წილი. ასევე მნიშვნელობა აქვს სესხის ვადებს და პირობებს, რაც საბოლოო ჯამში ვალის ამღების მიერ გადასახდელი თანხის რაოდენობას ზრდის, შესაბამისად საპროცენტო მაჩვენებელი მაღალ ნიშნულებამდე ადის.

ამგვარად მომხმარებელი თავიდანვე ექცევა კაბალურ პირობებში. თუკი სესხი დადგენილ ვადებში ვერ დაიფარება და სახეზე არის დარღვევები გადახდასთან დაკავშირებით, სებ-ის რეგულაციების თანახმად მომხმარებელი ბანკისგან იღებს მრავალჯერად გაფრთხილებას და გარკვეულ ვადას (3 თვე) დარღვევების აღმოსაფხვრელად. გადაუხდელობის შემთხვევაში საქმე გადაეცემა პრობლემური აქტივების მართვის დეპარტამენტს, რომელიც განიხილავს საკითხს, გამოიტანს ვერდიქტს (კვლავაც იმ რეგულაციების თანახმად, რომელიც დაწესებულია ეროვნული ბანკის მიერ) და საბოლოდ აღსრულებისთვის საქმეს გადასცემს პრობლემური სესხების სააგენტოს.

ვინაიდან კერძო ბანკი არის მხოლოდ მედიატორი სებ-სა და მომხმარებელს შორის, ის მხოლოდ ასრულებს რუტინულ სამუ-

შაოს, თუმცა ქონების ჩამორთმევის უფლება აქვს მხოლოდ სახელმწიფოს, რომელსაც წარმოადგენს ეროვნული ბანკი.

მთავარი პრობლემა რაც დგას მომხმარებელთა და ბიზნესის წინაშე არის ,,მაღალი საპროცენტო განაკვეთები'', სხვა წვრილ-წვრილ მომსახურებების ხარვეზებთან ერთად, თუმცა მთავარი პრობლემა ,,მაღალი საპროცენტო განაკვეთებია.''

რა განსაზღვრავს მაღალ საპროცენტო განაკვეთს?

1. ***საბანკო სექტორის მიერ მონოპოლიზირებული ფინანსური ბაზარი*** და თავად საბანკო სისტემაში არსებული მონოპოლია, როცა მთელი ძალაუფლება 2-3 ბანკს აქვს გადანაწილებული. მონოპოლიის პირობებში კი ცხადია ბანკები აწესებენ იმ პირობებს რაც მხოლოდ მათთვის არის მომგებიანი და ნაკლებად არის გათვალისწინებული მომხმარებელთა ინტერესები.
2. **ა) მომხმარებელთა დაბალი გადახდისუნარიანობა.** ფიზიკური პირების ძირითადი მოთხოვნა არის სამომხმარებლო სესხებზე, მოსახლეობის უმეტესობას ბანკიდან ფული არა ბიზნესის განვითარებისათვის ან ახალი ბიზნესის დასაწყებად გამოაქვს, არამედ პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ისინი ამ ფულს მხოლოდ ხარჯავენ და ეკონომიკურ დოვლათს ვერ ქმნიან, შესაბამისად ექმნებათ სესხის დაფარვის პრობლემა, შესაბამისად მომხმარებლის მიერ აღებული სესხის ვერ დაფარვის რისკი მაღალია და ბანკები ცდილობენ რომ ეს რისკები მაღალი საპროცენტო განაკვეთით დააკომპენსირონ. **ბ) ბიზნესი და კერძო სექტორი დღეს არ არის განვითარებული**, ბიზნესის მცირე მოცულობისა და კაპიტალის დაბალი ღირებულების პირობების შედეგად საბანკო სექტორზე მიმართვაც მცირეა, ანუ ბიზნეს სესხებზე მოთხოვნა დაბალია.

როგორ უნდა განვითარდეს საბანკო სექტორი, ბიზნესი და უკეთესი ცხოვრების პირობები შეექმნას მოსახლეობას?

1. საჭიროა განვითარდეს ფასიანი ქაღალდების ბაზარი და ბანკები არ იყოს მონოპოლიურ მდგომარეობაში, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას განაპირობებს სააქციო საზოგადოებები, სადაც მიმდინარეობს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა. ამისთვის კი აუცილებელია, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ეკონომიკური აქტივები: მიწების, ბუნებრივი რესურსების, სასარგებლო წიაღისეულის, შენობებისა და სახელმწიფო კომპანიების (რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა, მუშაობს წაგებაზე და ტვირთად აწვება ბიუჯეტს და მოსახლეობას) სახით გადავიდეს კერძო საკუთრებაში საქართველოს მოქალაქეებზე, შეიქმნას სააქციო საზოგადოებები და აქციების სახით მოქალაქეები გახდნენ მესაკუთრეები. ეს შექმნის განვითარებულ საფონდო ბაზარს ქვეყანაში, ისეთს როგორიც გვხვდება განვითარებულ ქვეყნებში. განვითარებული საფონდო ბაზრის პირობებში ბანკები დაკარგავენ ფინანსურ ბაზარზე მონოპოლიას, ამით მოხდება დაინტერესება ახალი ბანკების ბაზარზე შემოსვლის ამასთან არ უნდა შეიზღუდოს ახალი ფინანსური ორგანიზაციების ბაზარზე შემოსვლა. ყველაფერი ეს კი ქმნის ფინანსურ ბაზარზე მოქმედ სუბიექტებსა და მათ შორის ბანკებს შორის კონკურენციის გაზრდას, რაც მომხმაებლებისთვის იქნება უკეთესი, ვინაიდან მრავალ ფინანსურ ორგანიზაციებს შორის წავა კონკურენცია ვინ უფრო მეტ მომხმარებელს აიყვანს.
2. კერძო სექტორის განვითარება და ამით, კაპიტალის ბაზრის განვითარება გამოიწვევს ახალი ბიზნესების გაჩენას, ძველი ბიზნესების განვითარებასა და მათი კაპიტალის ღირებულების ზრდას, გაიზრდება მოთხოვნა ბიზნეს სესზებზე, რაც დამატებითი სტიმული იქნება რომ ბანკებმა გადაიბირონ მათ მომსახურებაზე ბიზნესები და ამისათვის შესთავაზონ დაბალ პროცენტიანი სესხები, კერძო სექტორის განვითარება ამავე დროს ნიშნავს ფიზიკური პირების გამდიდრებას და მათ კერძო საკუთრებაში არსებული კაპიტალის მატებას, რისი უზრუნველყოფითაც ეს ადამიანები შეძლებენ დაბალ

პროცენტიანი სესხების გამოტანას, რადგან ბანკების მხრიდან არ იქნება შიში სესხის ვერ გადახდის.

და ამ ეკონომიკური პროცესების პარალელურად ეროვნულმა ბანკმა მინიმალურ დონემდე უნდა დასწიოს რეფინანსირების სესხის განაკვეთი, ისე როგორც დღეს დასავლეთის ცენტრალური ბანკები აკეთებენ, დაბალ პროცენტში მისცეს სესხი ბანკებს, რაც დამატებითი შესაძლებლობა იქნება კომერციული ბანკებისთვის, რომ სესხის განაკვეთი არ გაზარდონ.

მეგა პროექტები

მითი 85. მასშტაბური პროექტები (პორტები და ჰესები) მხოლოდ სახელმწიფომ უნდა ააშენოს და არა კერძომ

სინამდვილეში ეს ყველაფერი პირიქითაა. საყოველთაოდ ცნობილი და მსოფლიში პრაქტიკულად დადასტურებული ფაქტია, რომ რეალურ ეკონომიკაში სახელმწიფო შესრულება ბევრად უფრო ნაკლებ ეფექტიანი, უყაირათო და უხარისხოა, ვიდრე კერძო მესაკუთრის მიერ გაკეთებული იგივე საქმე.

სავარაუდოდ ხსენებული მცდარი შთაბეჭდილება საბჭოთა კავშირის დროს შეიქმნა და დაამკვიდრა, უკავშირდება რა ისეთ მასშტაბურ პროექტებს, როგორიც იყო მაგალითად „ბამი“ ან „ყამირი“.

პირველი, „ბოლშაია ამურსკაია მაგისტრალ-ი“, ციმბირის სუსხიან ტაიგაში გიგანტურ მანძილზე ტყის გაჩეხვას და რკინიგზის გაყვანას, მეორე კი შუა აზიაში თვალუწვდენელი ყამირი ტერიტორების ცხელ კლიმატურ პირობებში ათვისებას,

ორივეში ძირითადად მძიმე ხელით შრომით, ამბიციური მასშტაბის ამოცანების „იაფად და სწრაფად“ განხორციელებას გულისხმობდა.

საბჭოური ყოვლისმომცველი პროპაგანდით შეფუთული ეს უპრეცენდენტო ზომის პროექტები, რომელთა განხორციელებას კერძო კაპიტალი, წინასწარი დეტალური უფლებრივი, ეკოლოგიური, ფინანსური, მატერიალურ ტექნიკური და უამრავი სხვა რაკურსით დაპროექტების და მოსალოდნელი უკუგების შესწავლის გარეშე, ასეთი მასშტაბით ძნელად გაუკეთებდა თუნდაც კორპორაციულ ორგანიზებას. საბჭოთა სახელმწიფოს ხელით, პრაქტიკულად სხვისი ფულით და იაფი მუშახელით გარეგნულად იოლად დაორგანიზდა. სახელმწიფომ, დიდი ტვინის ჭყლეტის გარეშე გამოყო საერთო ცენტრალიზებული ფინანსური სახსრები რაიმე ადეკვატური სარგებლის გაუთვალისწინებლად, ისევე, როგორც მუშახელი, ძირითადად ერთგან პატიმრების და მეორეგან სტუდენტების არდადეგებზე, ე.წ. „შრომით სემესტრებში“ იძულებითი დასაქმების სახით, შემდგომ ექსპლუატაციაშიც. არც კონკურენცია, არც ხარისხი, არც ფასები, არც უკუგება, არც შესაბამისი კვალიფიკაციის კადრებით, შედეგის შეკვეთებით ან გასაღებით უზრუნველყოფა, არაფერი იყო გადასაწყვეტი. ყველაფერი საბაზრო ორიენტირების გარეშე კეთდებოდა, სახელმწიფო მექანიკურად წყვეტდა, რადგან მთავარი იყო წარმატების გარეგნული პოლიტიკური ეფექტი მიღწეულიყო, ხოლო შიგნით სოციალური და უფლებრივი პრობლემები, დაუძლეველი საწარმოო რისკები და ხარვეზები მისთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენდა.

თანამედროვე პერიოდის ერთ-ერთი მეგა პროექტია ანაკლიის პორტი, რომელიც პოლიტიკური ინტერესების გამო დროებით შეჩერებულია. რადგან მიწისა თუ აკვატორიის მესაკუთრე დღეს არის სახელმწიფო, ცხადია მასზე ერთადერთი პასუხისმგებელიც თავად ის არის და პროექტის განხორციელება-არ განხორციელება პირდაპირ უკავშირდება პოლიტიკურ ნებას, მეორეს მხრივ კი ფინანსების მოზიდვა სახელმწიფო საკუთრების

პირობებში არის რთული, არცერთი დიდი ინვესტორი არ გარისკავს ისეთ პროექტში ინვესტიციების განხორციელებას, სადაც იარსებებს პოლიტიკური რისკები, ამავე დროს როცა აქტივი არ არის კერძო საკუთრებაში და მისგან მისაღები მოგება არის მინიმალური, როცა დროებით საკუთრებაში გაქვს აქტივი და გარკვეული პერიოდის შემდეგ მისი დათმობა მოგიწევს, ცხადია აქ დიდი ინვესტიციების განხორციელებას არავინ დაიწყებს და შესაბამისად ეს მოქმედებს აქტივის ეკონომიკურ ეფექტიანობაზეც.

ანაკლიის პორტი უნდა გამხდარიყო სააქციო საზოგადოება, უფასო განკერძოების გზით, ,,ინვესტების'' საშუალებით აქციების მესაკუთრეები გამხდარიყვნენ საქართველოს მოქალაქეები. მას შემდეგ, რაც ანაკლია გახდებოდა კერძო, ეს პროექტი იქნებოდა საინტერესო და ცხადია, დაინტერესებდა ინვესტორებს. ცხადია, 100%-ით ვერავინ იყიდიდა. გამორიცხულია თუნდაც რამდენიმე ათას ადამიანთან ერთდროულად მიხვიდე და იაფად იყიდო, მათგან წილები, რადგან ყიდვის ყოველ შემდეგ ნაბიჯზე აქციის მფლობელები გაზრდიან აქციის ფასს. განკერძოების შემდეგ, ანაკლიის აქტივები შეიძენენ საბაზრო ღირებულებას, მოხდება მისი კაპიტალიზაცია, რისი უზრუნველყოფის ქვეშაც შეძლებს ფინანსებისა და ინვესტიციების მოზიდვას, რაც პროექტს ეკონომიკურად აქტიურსა და წარმატებულს გახდის, მისი მესაკუთრეები პირდაპირ სარგებელს მიიღებენ დივიდენდების სახით, ხოლო მთლიანად ქვეყნის ეკონომიკისთვის კი იქნება ეკონომიკური სიკეთეების მომტანი.

მითი 86. ჰესების აშენება არ შეიძლება, ***ჰესები არ უნდა აშენდეს***

დღესდღეობით კიდევ ერთი მითი ჰესებს უკავშირდება, კერძოდ იმას, რომ ჰესების აშენება ქვეყნისთვის დამღუპველია, რადგან იგი ქვეეყნის ეკოსისტემას მნიშვნელოვან ზიანს აყენებს. სინამდვილეში თუ ჰესების მშნებლობის პროცესი იქნება სწორად წარმართული და ამასთან მოხდება რისკების მაქსიმალური პრევენცია, მაშინ ჰესებთან დაკავშირებით არსებული პროტესტი მოიხსნება. ჰესების მშენებლობის პროცესის სწორად წარმართვისთვის ორი მნიშვნელოვანი ქმედებაა საჭირო: **პირველ** რიგში აუცილებელია, რომ ის ტერიტორიები, სადაც ჰესების მშენებლობა უნდა დაიწყოს, მოქალაქეების საკუთრებად ფორმირდეს. ინვესტორი არა რომელიმე სამინისტროს, არამედ ხალხს - მიწის/აქტივების მესაკუთრეებს უნდა ელაპარაკოს და მათთან დაამყაროს საქმიანი ურთიერთობა. მესაკუთრეები უნდა წყვეტდნენ გასცენ მათ თავისი საკუთრება ინვესტორზე ეკონომიკური საქმიანობის დასაწყებად თუ არა. ხოლო **მეორეს** მხრივ მნიშნველოვანია, რომ ჰესების ბაზარზე შესასვლელად ნაკლები ბარიერი არსებობდეს (რაც სრუებითაც არ ნიშნავს ეკოლოგიური ნორმების უგულებელყოფას). ბაზარზე ნაკლები ბარიერის ქონა კი ხელს შეუწყობს კონკურენციას, რაც იწვევს ხარისხის ზრდას შედარებით ნაკლები ზიანით გარემოზე. მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ ხელი შეუწყოს კონკურენციის განვითარებას, რადგან ასეთ პირობებში ნებისმიერი ინვესტორი ეცდება ისეთი პროექტი წარადგინოს, რომელიც გარემოს მნიშვნელოვან ზიანს აარიდებს თავიდან და ამასთან მიმზიდველი იქნება ადგილობრივი მკვიდრებისთვის. იმ შემთხვევაში თუ მოსახლეობა გარკვეულ სარგებელზე თანახმაა და ამის სანაც-

ვლოდ მზადაა დათმოს ეს ტერიტორია. ამაზე კითხვის ნიშნის დასმა ზედმეტია, ვინაიდან იგი თვითონ წყვეტს გაყიდოს თუ არა თავისი საკუთრება. გარემო პირობები და ეკოლოგიური საკითხები ყველაზე მეტად იქ მცხოვრებ ადამიანებს ადარდებთ და არა სხვა ,,ექსპერტებს'', იქ მცხოვრები ადამიანები, რომლებიც ამავე დროს არიან თავიანთი ხეობის თანამესაკუთრეები, თავად წყვეტენ არ გაყიდონ საკუთრება და დაიცვან ბუნება, ან შემოიყვანონ მათი ინტერესების მიხედვით ინვესტორი ააშენონ ჰესი, გახდნენ ჰესის თანამეწილეები და მიიღონ შესაბამისი დივიდენდები.

ამ აზრის გამყარებისთვის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ნორვეგია, იგი ჰესების რაოდენობითა და გამომუშავებული ენერგიით მსოფლიოში – მეშვიდე, ხოლო ევროპაში პირველია. დღეს ნორვეგიაში 1500-მდე ჰესია. აქ ჰესების ბაზარზე კონკურენტული გარემო შეიქმნა, რამაც სექტორში ინოვაციების შეტანას შეუწყო ხელი. მაგალითად, სამხრეთ ნორვეგიაში გაიხსნა Lysebotn 2 – ახალი ჰიდროელექტროსადგური. აქ გამომუშავებული ელექტროენერგია ყოველწლიურად 75 000 ოჯახს უზრუნველყოფს.



სამეზობლო გეოპოლიტიკა

მითი 87. ეკონომიკის ეფექტური ტრანსფორმირება არ გამოგვივა, რადგან მეზობლად არ გვყავს ევროპული დონის სახელმწიფოები

სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია გასაღების ბაზრების არსებობა, ურთიერთობების პირობები და

ბაზრების გეოგრაფიული სიახლოვე. თანამედროვე სახელმწიფოები უპირატესობას ანიჭებენ ღია საზღვრებსა და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს.

საკითხის მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს მეზობელ ქვეყნებში მყიდველობითუნარიანობა. გარდა იმისა, რომ გასაღების ბაზარზე უნდა გავიტანოთ ისეთი ტიპის პროდუქტი, რომელზეც არსებობს მოთხოვნა, ბიზნესი ყოველთვის ითვალისწინებს თუ საქონლის რა რაოდენობის რეალიზაცია არის შესაძლებელი, თუკი მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას, ბაზარი გაჯერდება, ხოლო პროდუქტზე ფასი ეცემა, რაც წარმოებას და ბიზნესს აზარალებს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სასურველია რომ:

ა. საქართველოში ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად გაიზარდოს ექსპორტი და სავაჭრო ურთიერთობები;

ბ. საქართველოსა და რეგიონში მეზობელ ქვეყნებში გაიზარდოს მოსახლეობის მყიდველუნარიანობა,

გ. მეზობელ ქვეყნებთან გვქონდეს ჯანსაღი და თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები.

რატომ არ ომობს დასავლეთ ევროპის ქვეყნები ერთმანეთთან მეზობელი ქვეყნების ტერიტორიების მისაკუთრებისათვის? ამას ორი მნიშვნელოვანი ეკონომიკური საფუძველი აქვს. პირველი - ეს ქვეყნები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან ჩართულნი სავაჭრო ურთიერთობებში, დიდია სავაჭრო ბრუნვა და სავაჭრო პარტნიორობაში ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან კერძო სუბიექტები, შესაბამისად მათ ეკონომიკურ ინტერესებში არ შედის მეზობელ ქვეყნებში დესტაბილიზაცია. და მეორე - რაც არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ამ ქვეყნებში დაკვიდრებულია კერძო საკუთრება, თუ ერთი ქვეყანა მიისაკუთრებს მეზობელი ქვეყნის ტერიტორიას, ის მიისაკუთრებს კერძო მესაკუთრის მიწას. კერძო მესაკუთრის ტერიტორია კი სამართლებრივად ხელშეუხებელია, ის არ დაუშვებს მის საკუთრებაზე უცხო ქვეყნის

ოკუპაციას, ევროპულ სასამართლოშიც გაასაჩივრებს და დაიბრუნებს მის საკუთრებას (რა არ უნდა დიდი დრო დასჭირდეს). მით უმეტეს, რაც უფრო ფინანსურად ძლიერი მესაკუთრე დახვდება ოკუპანტს, მით უფრო მეტი გავლენებით მოახდენს მის შეჩერებას, ფინანსურად ძლიერ სუბიექტებთან, კორპორაციებთან და მსხვილ ინვესტორებთან კი გარეშე ძალა უძლურია, ამავე დროს კერძო მესაკუთრეები, თუნდაც იმის შიშით, რომ ხვალ შეიძლება ისინი გახდნენ ოკუპაციის მსხვერპლნი, ქმნიან ბუნებრივ თავდაცვის ,,ქოლგას'' და ერთიანი ძალებით უპირისპირდებიან უსამართლო ქმედებებს. *აქედან გამომდინარე, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს შორის წარმოუდგენელი ხდება ომის დაწყება.*

მითი 88. ყველა მეზობელი ქვეყანა ჩვენ გვატყუებს

არსებობს გავრცელებული მოსაზრება, თითქოს "ყველა ჩვენ გვატყუებს", თუმცა ობიექტურად ყველა სახელმწიფო თუ კერძო კომპანია აქტიურად იცავს პირველ რიგში საკუთარ გეოპოლიტიკურ თუ ბიზნეს ინტერესებს და ეს აბსოლუტურად ბუნებრივია.

ის ფაქტი, რომ საქართველო ამ დრომდე ვერ ფორმირდა კერძო საკუთრებაზე ორიენტირებულ და მაღალმწარმოებლურ სახელმწიფოდ, რაც განაპირობებს მის დაბალ იმუნიტეტს საშინაო და საგარეო გამოწვევების წინაშე.

გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს ოკუპირებული ტერიტორიები, რომლებიც ქმნიან საქართველოს გეოპოლიტიკურ სისუსტეებს საკუთარ საზღვრებში. პრობლემის სირთულის გამო საზოგადოებაში და პოლიტიკურ წრეებში წლების მანძილზე საკითხის გადაჭრის არაერთი ვერსია განიხილება, მაგრამ ოკუპანტი სახელმწიფო სრულიად შეუვალია - მისთვის სრულიად მიუღებელია საქართველოს მიერ ტერიტორიული პრობლემების

მოგვარება, თუკი არ იქნება რეალიზებული მისი გეოპოლიტიკური ინტერესები ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური ინტერესების და ტერიტორიული დათმობის ხარჯზე. ეს კი თავის მხრივ მიუღებელია საქართველოსთვის, ხოლო მათთან საზღვრის დელიმიტაციის და დემარკაციის საკითხი რუტინულ მუშა პროცესად არის ქცეული.

ეს ყოველივე ხდება იმ ფონზე, როდესაც ორ ქვეყანას შორის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობა ინარჩუნებს ინტენსივობას, განსაკუთრებით - ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, საბანკო, ლოჯისტიკის და კვების პროდუქციით ვაჭრობის სფეროებში. მეზობელ სახელმწიფოებთან ჩამოყალიბებული სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები ხშირად პოლიტიკური სპეკულაციების საბაბი ხდება, რაც გამოწვეულია იმით, რომ ამ ქვეყნებში არ არის დამკვიდრებული კერძო საკუთრება, რიგ პროდუქტების იმპორტიორი არა კერძო სუბიექტებია (სადაც წინა პლანზე იქნება მათი ეკონომიკური ინტერესები), არამედ სახელმწიფო სექტორი, რაც კიდევ უფრო ზრდის პოლიტიკურ გავლენებს, მიუხედავად მსხვილი სავაჭრო პარტნიორობისა, აღნიშნულ ქვეყნებთან საექსპორტო/საიმპორტო სასაქონლო სტრუქტურა მწირია.

მაგ; გაზპრომი არის რუსეთის პოლიტიკური იარაღი, რომელსაც იყენებს პოლიტიკური მანიპულაციებისათვის, იმიტომ რომ კომპანიის ძირითადი მესაკუთრე არის სახელმწიფო (50%-ზე მეტი) რუსეთის ფედერაციის სახით. ანუ გაზის შეძენისას, ბიზნეს მოლაპარაკება მიდის არა კერძო კომპანიასთან, რომლის მიზანი ბიზნესის წარმოება იქნებოდა, არამედ სახელმწიფო კომპანიასთან, რომელსაც სხვა პოლიტიკური მიზნები აქვს ვიდრე ეკონომიკური, აქედან გამომდინარე გაზპრომთან თანამშრომლობა არამარტო საქართველოსთვის, არამედ სხვა ქვეყნებისთვისაც საფრთხის შემცველია და გაზპრომის სახით არა ეკონომიკური სუბიექტი არამედ პოლიტიკური მოთამაშე გვხვდება

ამდენად, სამეზობლო პოლიტიკის ძირითად პრობლემას წარმოადგენს ურთიერთობა ოკუპანტ სახელმწიფოსთან, მის არაკეთილსინდისიერ, ხშირ შემთხვევაში - არაკეთილგონივრულ დამოკიდებულებას და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის იდეის უპატივცემლობას.

მითიური კითხვა - გვეშველება რამე?

ISBN 978-9941-8-3328-1